

1

አንድነት ስ=.  
— ጥጋጂው.

პროლეტარები შველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბ 3 2 6 0 1 = — თ ა მ ი ა .

საქართველოს საგარენა მწერლების  
კავშირის უცხოურთხილი უფრისი.

13 949

1

0 8 3 0 6 0  
1 9 3 5  
0 8 0 3 0 6 0

## ପରୀକ୍ଷାବିଧାନ:

1. ମେତାଶ୍ଵରି ।

### ପରୀକ୍ଷାବିଧାନ ଲାଗୁଥିଲାଏହା

2. ଗ. କାଳାନ୍ଦାଙ୍ଗ—ଶାମିଲି । . . . .
3. ଗ. ଅଶୀଶିଂହ—କାରାଶ୍ଵର
4. ବ. ହିଂଜାନ୍ଦା—ଗାନ୍ଧାର୍ଜୁଲି । . . . .
5. ବ. ଦୁରକ୍ଷୁଲାଙ୍ଗ—ହାତୁଣି । . . . .
6. ଇ. ଶେନଙ୍ଗେଲାଙ୍ଗ—ମିମିଲି । . . . .
7. ଧ. ପରାଲିଂଦି—ମାମାର୍ଜିମି । . . . .
8. ଧ. ନନ୍ଦେଲି—ସିମ୍ବୁରା ପୁରିଲି ମାନ୍ଦ୍ରବାଲିଂଗ । . . . .
9. ଆ. ବାଜାବା—ଗାନ୍ଧାର୍ଜୁଲିଲି ଶେମି । . . . .
10. ଗ. ଅନ୍ତେବା—ଫରତାମନ୍ଦ୍ରବିଲି ମେରପବାଲି । . . . .
11. ଧ. ଗ୍ରାନ୍ତାଲିଂଗ—ସୁରାମି । . . . .

### ପରୀକ୍ଷାବିଧାନ

12. ଧ. ଶ୍ରୀନିତି—ହିଙ୍ଗନି ଲୋକ୍ଯରାତ୍ରିଶୁଲି ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ପରୀକ୍ଷାବିଧାନ କିମ୍ବା
13. ଧ. କାଲପ୍ରେସି—କ୍ଷେତ୍ରକାରୀଶ୍ଵରିଲି । . . . .

### ପରୀକ୍ଷାବିଧାନ ପରିପାଳନକାରୀ

14. ପରାମ୍ବର. ଶେରଗା ଦାନ୍ତେଲିଂଗ—ଅଲ୍ଲାଜ୍ଞଶାସନରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ପରୀକ୍ଷାବିଧାନ
15. ଆ. ପ୍ରେମପାତ୍ରି—ପିତ୍ତରାମା କିମ୍ବା
16. ଗ. କାନ୍ତିକା—ମିମିଲିଂଗିମିଲି—ଶାମିଲି—ତାରଗମନି
17. —— ଲାମିଲି ଅକ୍ଷ୍ୟାନ୍ତି—ତାରମ. ମ. ପାତ୍ରାନିଲିଲି

### ଫ୍ରାନ୍କ କାଲେକ୍ଟର ଲାଗୁଥିଲାଏହା

18. ଶ୍ରୀନାନ୍ଦିନୀଙ୍କ ଲୋକ୍ଯରାତ୍ରିଶୁଲା । . . . .
19. ଧ. କାନ୍ତିକା—ଅଲଲା—ତାରଗ. ମ. ପାତ୍ରାନିଲିଲି । . . . .
20. ବ. ଚିତ୍ତରାଜୁ—ଲୋକ୍ଯରାତ୍ରିଶୁଲି ମିମିଲିଲି । . . . .
21. କାନ୍ତିକା । . . . .

ამ. სტალინის ისტორიული სიტყვა წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე—ახალი ეტაპისა სოციალიზმის მშენებელ კადრებისათვის ბრძოლაში. ოოზუნგი „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“—ჩვენი მუშაობის პროგრამა ყოველ დარგში. ამ. სტალინის სიტყვა მოითხოვს მზრუნველ დამკიდებულებას ადამიანებისადმი, რომლებიც ახალ სოციალისტურ სინამდვილეს ქმნიან. აქ ჩანს უდიდესი სიყვარული ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა მიმართ. მხოლოდ ჩვენ დიად სამშობლოში აქვთ ადამიანს ყველა შესაძლებლობანი გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი, უნარი.

„კაპიტალიზმის განვითარება მიემართებოდა ადამიანთა წინააღმდეგ, სოციალიზმის განვითარება კი მიმართულია ადამიანთა საკეთილდღეოთ. კაპიტალიზმი ულმობელია. სოციალიზმი კი ჰუმანიტარულია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“ („პრავდა“).

ამ. სტალინის სიტყვა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს ჩვენ სალიტერატურო ორგანიზაციათა წინაშე. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა—აღზრდა, წინ წამოწევა ახალგაზრდა მწერალთა კადრებისა. ჩვენი ვალია ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ლიტერატურის ახალ კადრების მიმართ იყოს ნამდვილი მზრუნველი დამკიდებულება. ჩვენ უნდა შეექმნათ ყველა პირობები, რომ ახალგაზრდა მწერლის ნიჭი, შემოქმედებითი უნარი სავსებით გაიშალოს. ამისათვის საჭიროა შემოქმედებითი მუშაობის შესაფერი ატმოსფერა, ამ მუშაობის ახალ საფეხურზე აყვანა, სწორი გეზი.

იმისათვის, რომ ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა ნამდვილი ოსტატობის დონეზე ავიდეს, აუცილებელია წარსულის კულტურული მექანიზრების კრიტიკულად თვისება, იდეათა განვითარების საფუძვლიანი შესწავლა მთელი ისტორიის გასწვრივ. ახალგაზრდა მწერალს უნდა მივცეთ ცოდნის შესაფერი მარაგი. მას უნდა ჰქონდეს კულტურა შრომის, სიტყვის.

მაგრამ უმთავრესი და განმასზღვრელია ის, რომ ჩვენმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ ორგანიულად შეითვისოს პროლეტარული მსოფლმხედველობა, მარქსის, ლენინის, სტალინის მოძღვრება, მათი იდეები, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ახალგაზრდა კადრების სწორი შემოქმედებითი აღზრდა, მათი ნამდვილ ისტატებად ჩამოყალიბება. ჩვენი სოციალისტური პრაქტიკის ღრმად შესწავლა, აქტიური მონაწილეობა ახალი ქვეყნის მშენებლობაში აუცილებელი პირობაა ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის განვითარების, წინველის.

ახალი კადრების აღზრდაში დიდია როლი ლიტერატურული კრიტიკის, ურნალების, გამომცემლობების. განსაკუთრებით მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დაგას ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის ურნალის წინაშე („ახალგაზრდა მწერალი“), რომელიც ახალ რეორგანიზებულია და გამოდის სხვა სახელწოდებით—„ჩვენი თაობა“

უ. „ჩვენი თაობა“ ფართო ადგილს დაუთმობს ახალგაზრდა მწერლების მხატვრულ პროფესიას. ამავე დროს ყოველმხრივ შეეცდება გაუწიოს დახმარება ახალგაზრდა მწერალს მის თეორიულ სწავლებაში და შემოქმედებით მუშაობაში. რედაქტორი იმგვარად წარმართავს თავის მუშაობას, რომ ამ დახმარებას ექნეს რაც შეიძლება უფრო მეტი კონკრეტული და პრაქტიკული ხასიათი.

უურნალში რადიკალურად იქნება გაძლიერებული კრიტიკული განყოფილება და კონსულტაცია. შემოღებული იქნება სპეციალური განყოფილება „მომწერა ა მკითხველებთან“.

უურნალი „ჩვენი თაობა“ ენერგიულად იბრძოლებს, რომ ასწიოს ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის პოლიტიკურ-კულტურული ღონე. რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ლიტერატურული სწავლების საკითხებს. ეს შეხება როგორც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ლენინურ ათვისებას, ისე თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის პრობლემების გაშუქებას. უურნალი „ჩვენი თაობა“ სისტემატიურად მოათავსებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა—მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის შეხედულებებს. ლიტერატურის და კულტურის საკითხებზე. მათი შეხედულებათა ღრმად შესწავლა საუკეთესო საშუალება იქნება ჩვენი ახალგაზრდობის აღსაზრდელად, მისი პოლიტიკური და კულტურული ღონის ასამაღლებლად.

ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც ახალგაზრდობისათვის აქვს ჩვენი კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიის შესწავლას. ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის ლენინურ აღსაზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ. ლ. ბერიას მოხსენებას ტფილისის პარტაქტივზე—„ბოლშევიკური პარტორგანიზაციების გადასაცავის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში“.

ამს ბერიამ ამ მოხსენებაში მთელი სისრულით დაგვიხატა და სწორად გააშუქა ჩვენი პარტიის ბელადის ამ. სტალინის გიგანტური როლი ამიერ-კავკასიის მშრომელი მხსების რევოლუციური ბრძოლაში. მან გვიჩვენა თუ როგორ გამოსცედა ამ. სტალინმა მუშათა კლასის მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ პარტიული ორგანიზაციები.

ამს. ბერიას მოხსენების სახით ჩვენ უკვე გვაქვს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ნამდვილი ბოლშევიკური ისტორია და ამ მოხსენებაზე, თავდადებული რევოლუციონური ბრძოლის, იმ გმირულ ფაქტებზე, რომელთა შესახებაც ლაპარაკობს ამ. ბერია, უნდა აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდობა.

როგორც აღნიშნეთ განსაკუთრებით დიდი აღმზრდელობითი როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა კრიტიკამ. „ჩვენი თაობა“—ს რედაქცია შეეცდება, რომ უურნალში მოთავსებულ კრიტიკულ სტატიებს ექნეს წრაულველური, პედაგოგიური. მიღვმა ლიტერატურულ ახალგაზრდობის პროდუქციისადმი. ჩვენ შევებრძოლებით ახალგაზრდა მწერლის როგორც გადაჭარბებულ ხოტბის ტენდენციას, ისე ზოგიერთი ნაკლისათვის (რომელიც ბუნებრივია, ახალგაზრდა მწერალი: თავისი მუშაობის პირველ სტადიაზე ახასიათებს), მისი გაბიაბრუებისა. და „განადგურების“ ცდებს.

ჩვენი კრიტიკა არა თუ მარტო უნდა აღნიშნავდეს, აფასებდეს ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებას, არამედ უნდა ეს მარტო დეს მას წავიდეს. წინ, აჩვევდეს უფრო დაკავირვებულ, ღრმა მუშაობას.

შეიარაღებული ბოლშევიკური სიუთიზლით, მთელის დაუნდობლობით უურ. „ჩვენი თაობა“ იბრძოლებს კლასობრივი მტრის ნარჩენების იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენათა წინააღმდეგ ჩვენს ლიტერატურაში.

უურნალი „ჩვენი თაობა“ თავდადებულად იბრძოლებს, რომ ჩვენი საბჭოთა მწერლების რიგებს შეემატოს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც დაუფლებული იქნებიან ლიტერატურული ოსტატობის რთულ ტექნიკას.

# მეტაგვარი დუგერაციაგური

800-იანი ქალანდამა

## მამიწი

საღაც ტყენი ზღაპრულ დევებს ჰგვანან,  
ქარს გრიალით გაუშლია ფრთები,  
რა დინჯად და რა ზეიადად დგანან  
დალესტანის თეთრნაბადა მთები.

იქ, შყინერზე, თვალს გაუშვებ ცურვით,  
მზე და ქარი საღაც კლდებს ხრიან,  
აქ კი, ხევში გადაჰყვება ყური  
მთით მოწყვეტილ მეწყერების ხრიალა.

დაბლა ლია ნაპრალები მოჩანს,  
საძოვრები ულევი და ვრცელი:  
ავარეთის სათიბების ხონჩა,  
და ფარივით მოქნეული ველი.

ქედს ქედიდან აქსაია მიჯნაეს,  
ხან შხუილა, ხან წყნარი და მდორი;  
ფრთას გაშლის და ხევს გასცურაეს დინჯად  
ხუნძახიდან აფრენილი ქორი.

აქ, ამ მთებში, ამ ხევებში, ერთ დროს,  
საღაც ახლა შრომა ძმური ხარობს,  
აჩწივების ბრძოლის ცეცხლი ენთო  
და დიოდა სისხლიანი წყარო.

ვაჟკაცს მტრის წინ არ სჩვეოდა ძრწოლა,  
დედას შვილებს უხოცავდენ თვალწინ,  
მაშინ შამილ უმართავდა ბრძოლას  
იმპერიის ორთავიან არწივს.

შამილ, შამილ ამომტყდარი მთიღან  
ელვიანი გრიგალი და დელგმა,  
ნახევარი საუკუნე ლვრიდა  
შტრის სისხლსა და მთას გუშაგად ედგა.

მაგრამ, როცა ქარიშხალი მიწყდა,  
დაჭრილ ფოცხვერს მოუგრიხეს ქედი,  
მკურდში შერჩა დალესტანის მიწა  
და განწირულ მოძმების ბედი.

ახლა სხვაა, დღეს საბჭოთა მთაში  
ზეიძი აქვს გაუგონარ ხმაურს,  
დალი ჰასან შორს ცხვრის ფერმებს აშლის  
და იმედით გადახედავს აულს.

# ჩარაშუგი

ლრუბლებში თეთრად კარავს შლის უცებ,  
გამოკურდება ცის კაბადონზე,  
ააშრიალებს ლაქვარდის ფურცლებს  
და გაქვირვების ნიშანს გაგონებს!

უასაკო და უსულო თითონ  
გამოანათებს მალლა ელვასებრ,  
ქანაობს ქოლგა თოკებზე, თითქო  
მთვარე ასულა საქანელაზე.

ვით განწირული და დაღუბული  
ქარს მიაქვს, როგორც თეთრი ნაბალი,  
ამჩატებულა ცაში ბუმბული  
და კაცს მოაფრენს ნელი ფარფატით.

დაკარგა წონა, ზეცა იტაცებს,  
ნელა ეშვება დაბლა ჯიუტი,  
და დაჭრილივით დგება მიწაზე  
უცხო ფრინველი—პარაშეუტი.

ტანს ისევ უნდა ცაში ტივტივი,  
გალალებული ქროლვა ფრინველის,  
ცისა და ქვეყნის ზღაპრულ ხიდივით.  
მიწაზე დგება კომკავშირელი.

საღ იყო.  
ნისლში დანაეარდობდა.  
მხედვებზე ეხურა ზეცა შუშებათ  
და, როგორც დიდხნის ნაავადმყოფარს  
ფეხზე დადგომა ეხამუშება.

# გაზაფხული

ზამთარის შემდეგ, ხეებმა მარტში  
თვალების მსგავსად ყლორტები გახსნეს.  
მზემ გაიზმორა და მზემან მაშინ  
მოგვარა სითბო ბუნების სახსრებს.  
როგორც შანდალი დადგა ეზოსთან  
შვინდი, და შუქმა დაგკვრა შეინდიდან,  
ქარს სიარული უკვე მობეზრდა,  
ეგონა წაწნავს გადაიშლიდა.  
მწვანემ გარეცხა ქალწულის გული,  
ქალწულმა მწვანე გაშალა სუფრა  
საბჭოთა მიწის მზა გაზაფხული  
ბუნებასა და ლექსს დაეუფლა.  
ლაშვარდის გალმა დარჩა ავდარი,  
მგოსანი შვებით მიეყრდნო კედელს,  
სთქვა: გაზაფხული, ძმაო, ამგვარი  
მე არ მინახავს ბავშობის შემდეგ.

# ჩატავი

მოსდევს ტრამალებს მერნის ჭიხვინი და გმირ სარდალის ხმლის ელვარება, წინ რომ მიუძღვის ვეფხვებს ვეფხურებ, შეუპოვარი, ცისფერ-თვალება. ვთრთი და ადგილზე ველარ ვმაგრდები, თითქოს ეკრანზე თვითონ ვადაველ, თითქოს მივყვები ხმალამოწვდილი მტრის შესამუსრად ლომგულ ჩაპაევს. რა მიხარია, როცა ზედი-ზედ მოპირდაპირე ჩემწინ ეცემა, შეხეთ, დავაფრთხეთ, დასავლეთისკენ პირ-ი იბრუნეს შიშით თეთრებმა. მაგრამ ეს რაა, წითლების ბანაკს ჩუმად, ქურდულად, ხედავთ ვინ უვლის! ეს ვისი გვამი ჩამოატარა მლერი ურალმა მკერდდაცხრილული. ნუთუ დაღუმდა მთრთოლვარე ბაგე, ცეცხლს რომ ისროდა ცისარტყელებად... ენ, სად ვიყავი და სად გამტყორცნა მე ამბოხებულ ფიქრთა ჭენებამ... დაწყნარდი, გულო, ეს ურუანტელი გავლილ ბრძოლების დღეთა ტოლია, —ნეტავი, დედი, ადრე გეშობე, რომ თვით შევყროდი მე ამ გოლიათს. რომ თვით შენახა ამაყი სახე და შეტევები მტრებთან გმირული, თუგინდ მლელვარე ურალის ტალღებს შეც დავეძირე მკერდდაცხრილული. ... ნეტავი გრძნობდე, ჩემო ლამაზო, სოციალიზმის შშობელო მხარევ, რა რიგ მაშფობებს, რომ შენთვის ადრე ბარიკადებზე სისხლი არ ვლვარე. მაგრამ, მერწმუნე, თუ კი ოდესმე: „ფრონტზე“ ძახილი შენგან გაისმა, ვით ჩაპაევი გულანთებული, საიერიშოდ ფარხმალს ავისხამთ.

# რაბი

ჰასავ-იურტში, თუ ლაშქრობა არ იყო, ცხოვრება უფერულად მიღიოდა. კოშკის თავებზე, ქონგურებზე გუშაგები დადიოდენ მოსაწყენად.

ჩრდილოეთით ველები, აღმოსავლეთითაც, დასავლეთითაც. მხოლოდ სამხრეთით კავკასიონის კალთები ზღვის დალლილ ტალლებივით ეტლაშუნებოდენ. ამ ველს და ქვესკნელში იძირებოდენ.

ციხე-სიმაგრეში ერთადერთი მამალი იყო.

არავინ იკოდა ვისი იყო იგი. ყველას ერთნაირად უყვარდა, აქმევდა, ელოლიავებოდა და ისიც, ის ტურის შესაჭმელი, დადიოდა ციხის ეზოში ყეინივით ყოყლოჩინა. მსუქანი და ფეხბალიკარტიანს სისხლივით წითელი ფართო ბიბილო ნისკარტზე დარღიმანდულად გადმოჰკიდებოდა.

მამალს სახელად იმამი ერქვა. ალბათ, შამილის გამოჯავრებით. მოკლედ, ალერსისათვის—იმამუშკა.

ერთ დღეს ჰასავ-იურტის იმამმა მოიწყინა.

გარნიზონმა გადასწყვიტა, რომ მამალს სიყვარული მოსწყურდა, მაგრამ დედალი ვერსად იშოვეს.

მეზობელ ციხეს ვნეზაპნაიას მისწერეს, მაგრამ არა გამოვიდარა,—ქათმები არც იმათ ჰყავდათ.

გადაწყდა ჩანარების აულზე გაილაშქრონ და, თუ თვითონ არიან ქალის ალერს დაღირებული, იმამს მაინც უშოვონ ჩანის დედლები.

ბრძოლამ მთელი დღე გასტანა,

ბოლოს ყაზახებს გაუმარჯვდათ.

აული ცეცხლს მისცეს გაგულისებულმა ურუსებმა.

მთელი სოფელი განადგურდა. სამოცამდე სახლი დაიშვა, ორი ამდენი მარჩენალი პურის ძნა. ცამეტი ბასურმანი მოჰკლეს და ოცდაერთი გიცური. სამმა ოფიცერმა წარჩინება მიიღო, მაგრამ ყველაზე დიდი ბეღნიერება იმამს ჰქვდა წილად: მას ხუთი ჩაჩნური დედალი მოჰვევარეს ცოლად.

მამალი უცებ მოჯობინდა, ხრინწიანი ყელი გაეწმინდა და, ალიონზე რომ დაიყივლებდა, ყაზახთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ციხე-სიმაგრეში რამდენიმე ქალი იყო.

უსაქშო მხედრები თავს ევლებოდენ, დუელში იხოცებოდენ, ან-და ჟინისა და დროის მოსაკლავად სვამდენ, ვისტს თამაშობდენ.

თვეში ერთხელ ოკაზია ჩამოივლიდა და ეს შემთხვევა შემდეგ ოკაზიამდე ჰყოფნიდათ სალაპარაკონა.

ყველა გულისყრამდე ახლო იცნობდა ერთიმეორეს და ისე შესძლდათ ერთურთი, რომ დანახვა ეზიარებოდათ.

და აი, ერთ დღეს ჰასავ-იურტში მოვიდა ახალი კაპიტანი, — ციხე ეგორ-ლიკიდან გადმომწესებული.

კაპიტანი კაპიტანი იყო, გვარიც კაპიტანისა ჰქონდა! — კაპიტანი საცო.

არაფრით ჩვეულებრივ კაპიტანისაგან იგი არ განირჩეოდა.

ისევე ულვაშვაწევბილი, ისევე უპეტუო და ყოყლოჩინა, როგორც, საერთოდ, ყველა კაპიტანები, მაგრამ კაპიტანი საცი ერთით მაინც განსხვავდებოდა: — ყველა კაპიტანს ცოლი აშარი ჰყავს, ჯოჯო და უწესო. კაპიტანშა სულ სხვა იყო: აზანეადან გამოტაცებული ჩერქეზთ ბატონის ასული სეტანე.

გარნიზონის ყაზახები მას ჩუმად სატანა საციხას ეძახდენ.

ტანალორთქილი, თეძოგანიერი, საულვაშე ბუსუსებით ოდნავ ჩამუქებული და ეშხიანი მართლაც სატანასავით.

ყველას ძალზე ეშინოდა კაპიტანის.

ეშინოდათ და არა სჯეროდათ.

ისიც მართალია: ფიცხი იყო ბატონი საცი, ფიცხი და ავი. რომ ყვირთდა, ფეხებს ბრაზით აბაკუნებდა და ხმა, ეს სატიალე ხმა, იმდენად წვრილი ჰქონდა და წრიპინა, რომ არაფრით მის ტანს არ ეხამებოდა.

რისხვის შემდეგ უეცრად მშვიდდებოდა და ცისფერი თვალები უცინოდა მიამატად.

თქმა არ უნდა, ყველა ცოლის სიყვარული ერთია და ძალზე უბრალო.

სეტანეის ორმაგად უყვარდა თავისი ქმარი.

მის ძუ სიყვარულში დედური გრძნობაც იხლართებოდა და მხედარი ქმარი მისთვის მხოლოდ „ცაცოჩქა“ იყო.

კაპიტანშამ გადარია მთელი ციხე-სიმაგრე და, მართალია, „იმამმა“ ჰპოვა ნუგეში ცოლების ალერსში, ვნებაც დაიოკა, მაგრამ ახლა გარნიზონი ბორგავდა, ყველას კაპიტანის ცოლი ებოდებოდა.

სეტანეის ლექსებს მღეროდენ შამპანიურით გადამცერალი ოფიცრები საკრებულოში, სეტანეის სახელი გავარდა მთელ მარცხენა ფლონგის ციხე-სიმაგრეებში და საიდან არ მოდიოდენ მის სანახავად თავზე ხელალებული ოფიცრები? — დარუბანდიდან, გროზნაიდან, ენდერიდან, თემირ-ხან-შურიდან და ვინ იცის კიდევ...

მისი სახელი ელვასავით მოედო მთებს და თოხუმიდან თოხუმში, აულიდან აულში, ქოხიდან ქოხში სეტანეის სახელი წკრიალებდა დაირაზე დარხეულ ოქროს ეუვანებით. მთებიც, ეს გოროზი მთები, თითქოს ვერ უძლებდენ მის ეშხიანსა და სევდით მოპყრობილ თვალებს.

არავის ახსოვდა იმდენი ზვავები, მეწყრები და შვავები, იმ წელს რომ მოდიოდა კლდეებიდან გრუსუნით და დედამიწა ზანზარებდა.

დუელების რიცხვება ერთიორად იმარა, მაგრამ სეტანეის არ ეცალა აბეზარ ყმაწვილკაცებისათვის, — ქმარს უვლიდა.

კაპიტანი საცი ახალმა ადგილმა დასკუადა, ჭაობიან ეგორლიკიდან. ჩამოტანილი ციება გამოაჩნდა და მისი ცოლი თეთრად შეფეთქილი რუსული სახლის ცისფერ ფანჯარას ნაღვლიანი ლილინით რომ გაღმოეყრდნობოდა, ქვა გასკდებოდა, ხე ატირდებოდა სიბრალულით. ლილინებდა რაღაც სევდიანს თავის ბასურმანულ ენაზე და გრძელ ქუთუთოებით დაბინდული ქლიავისოდენა შავი თვალები ენამებოდა,—გასკეროდა ლაინისფრად ჩაღურჯებულ მთებს.

ჰასავ-იურტის გარნიზონის ტფრცერი თენგიზ დარბაშია მის მეზობლად სცხოერობდა, მათსა საღილობდა და სალამოობით, კაპიტნის ცოლი რომ ავადმყოფს ვერ შორდებოდა, ის ართობდა. ის იყო მისი ნუგეში და ტებილ ბასში ხშირად შუალაშეც წამოპარევიათ.

ბაასობდენ ისინი წყნარად:—თენგიზ თავის ქვეყანაზე, სეტანეი. მშობლიურ აზანეაზე.

მათ ბაასს საერთო მეგობრის მოგონებაც აცოცხლებდა. ეს მეგობარი დარბაშიას ძმა და ფიცვერცხლნაჭამი ლეკი იყო,—წახურელი მურიდის შვილი სელიმბეკ ცადასტა.

შუა ზმთარში შუალამით მოკვდა კაპიტანი საცი.

ყუბანის ციებას თერგის ციებაც ზედ დაერთო, გასიებული ტყირპი გულს მიეძალა, გულმა ვერ აიტანა, გასკდა და, აი, იყო კაცი და უეცრად ალარ არის კაცი.

ექვს თვეში გამოიგლოვა სეტანეიმ ქმარი.

დარტიანი გული რომ მოიხსა, მამეულს გაბრუნება მოითხოვა, მაგრამ მამა შისი მოსისხლე იყო რუსებისა და არ უშვებდენ. პირდაპირ არ ეუბნებოდენ, მაგრამ ოკაზიას განზრახ არ უწყობდენ. უოკაზიოთ კი ძეხორციელი ვერ გამოდავდა ციხის გალავანს იქით ფეხის გადალგმას.

მთიელებს არ ემეტებოდათ თავისი ქალი გიაურებისათვის:

რამდენიმეჯერ გატაცებაც სცადეს, მაგრამ ვერ მოუხერხდათ და ციხეში შემოპარულებმა თავები იქვე დასტოვეს.

ეს თავები, მარგილებზე აგებული: გამხმარი და კბილდალრჭენილი, ამკობდა კოშკის ქონგურებს.

შუალამეს გადასული იყო, თენგიზ დარბაშია, მისი მხლეცელი შეთე გულურხაიძე და კაბარდინსკი პოლკის ორი ყაზახი—ტარას ტუპიცა და კუზმა ხაპკო ჰასავ-იურტიდან რომ დაიძრენ.

შემოდგომის მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭიქული და წამობერილ ნიავს მოპქონდა ველებიდან დამღრალი თვეის საამო სუნი და ლამის სუსხი. ყურში ჯერ ისევ რეკლა შექეიფიანებულ ოფიცრებისა და დამების სიცილ-კისკისი.

კლუბიდან რომ გამოდიოდა, თან პოლკის უფროსი გამოპყევა და შეაჩერა.

დარბაშიამ კეხიან ცხვირზე გაღმოშუქებული თვალებით მიმინოსავით გადმოხედა ბურთივით მრგვალ ციხის ქომენდანტს და მარცხენა ბაგის კუთხე ნერვიულად აუთრთოლდა.

პოლკოვნიკი აფიცერი ცალკე გაიწვია და, აჭეთ-იქით აცეცებულ თვალებით რომ დარწმუნდა ირგვლივ არავინ არის, მუნდირის ლილში ხელი ჩასჭიდა და ისე დაიწყო იღუმალად:

— ბატონი, პორუჩიკო!.. ჩემს ხანს თუ არა, გამოცდილებას მაინც დაეჯერება... არ გირჩევთ!.. სიკედილთან უბრალო თამაში ვაჟეცობა არაა...»

— ბატონი პოლკოვნიკო!—მოუჭრა სიტყვა მუაცრად უფროსს დარბაში—ამ და იქვე მიყიდებულ ოფიცერთა ნაცრისფერი თხელი პალტოები, მოსასხა—მები, რედინგოტები და მაზარები რომ დაინახა რატომღაც გული მოუვიდა.— მომეცით საშუალება, რომ ჩემი მოვალეობა მამულისადმი პირნათლად შევასრულო...»

— თქვენი ნებაა!.. — დაპყაბულდა უეცრად პოლკოვნიკი. და ისედაც მრგვალი და დაბალი, კიდევ უფრო დამრგვალდა.— მე კი გირჩევდით!.. მით უფრო, რომ ამბავი მოვიდა,— აქსაის ტყეში ვილაცანი შეუნიშნავთ... არ იშლით... კეთილ ინებეთ. ოღონდ ფრთხილად, ციხიდან გასვლისას არავრნ დაგინახოსთ! იმამს ყველგან თავისი კაცები ჰყავს, ისევე, როგორც ჩვენ,— ხომ იცით, აქ კედლებიც იხედებიან? მაშ ასე...»

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს კარი გაილო და სეტანე გამოვიდა, თან აღევნებულ მოვრალ ოფიცერს ნაზად, მაგრამ ნამდვილად იგერიებდა:

— ნუ ირჯებით, ბატონი როტმისტრო, ნუ ირჯებით! აი ჩემი ქართველი მეზობელიც შინ მიღის და ერთად წავალთ.

როტმისტრი მაინც არ ეშვებოდა, როგორლაც უსიამოვნოდა იყინოდა და სალერლელაშლილი შეწყვეტილ ფრაზას ბლუკუნით განაგრძობდა:

— თქვენ ისე აღაგზნეთ ჩემი გული... თქვენ, ქალბატონო, ცეცხლი ხართ და მე თოფის წამალი!.. თქვენ მართლაც სატანა ხართ და მომეცით ნება სული მოგყოლოთ...

თენიანი არაფრათ ექაშნიკა გადაპრეხილ ოფიცრის ეს გადაპრეხილი ქათინიანები და გულში შურვილის გრძნობამ ციცასავით გამწერა.

— მაღლობთ! grand merci!— გამოსათხოვარი სიტყვებით იგერიებდა ქალი, მოძალებულ ოფიცერს ჭირვეული უინიანობით და, რომ არაფერი გაუვიდა, გაოცებით სთქვა:— რათ მინდა მე თქვენი სული, როცა საკუთარი ცოდვები ისედაც მძიმე ტვირთად მაწევს?

აბეზარი მხედარი მაინც რომ არ მოეშვა, სეტანეიმ მიზეზიანად გააწყვეტინა:

— ახ, ღმერთო ჩემო, რამდენი ლაპარაკი გყვარებიათ თქვენ? ნუ ლაპარაკობთ, ბატონო როტმისტრო, ნუ ლაპარაკობთ!.. ვაჟეცაც ბევრი ლაპარაკი არ შეშვენის...— და თან შესაქცევი მოუთმენლობით მარაო შხარში დაპკრა, მერე შემობრუნდა და პორუჩიკ დარბაშიას ნებიერ ბავშვივით მიმართა:

— გამაცილებთ, ხომ, ბატონო პორუჩიკო?

— სიამოვნებით, ჩემო ბატონო, დიდის სიამოვნებით!— მიუგო გაზეპირუბულივით ყმაწვილმა კაცმა და ქალს თავაზიანი მოწიწებით თავი მდაბლად დაუკრა. ზრდილობისათვის ქუსლი ქუსლს რომ მიაბჯინა, დეზები მისი გულივით აწერიალდენ.

როტმისტრმა პორუჩიკის ამ თავაზიანობაში რაღაც საეჭვო გაშინაურება: და ფამილარობა იგრძნო. აიმრიზა, ტუზეზეც ტუჩების ჩაკვნეტით გადახედა

და მამალ ინდიურივით. აფხორილმა მარჯვენა ულვაშის ნერვიული გრეხა დაიწყო.

ეს დოკელის მოახლოებას ნიშნავდა, მაგრამ არც თენგიზ დარბაშია იყო ისეთი, ვინმესოთვის ტოლი არ დაედო!

სეტანეი, სკანდალი რომ არ გამხდარიყო, თენგიზს ზურგით მოუბრუნდა და:

— ჩამაცვით! — ბრძანა კისერმოლერებულმა და პალტოს მოლოდინში როტმისტრს სიტყვა დაყვავებით გაუგრძელა:

— Fine done!.. რათა ხართ ყველა მამაკაცები ასე ერთნაირი... მოსაწყენია, სხვა არა იყოს რა... — და მოწოდებული პალტო უკანიდან რომ მოეფათურა, ხელები შიგ საჩქაროდ გაუყარა.

რომ აცმევდა, ყმაწვილმა კაცმა ქალის შავგვრემანი ტანის მრუში შეინვა შოპინოსა, ნაცდურსა და სიმარტივეში ნამყოფ ვაუკაცს თავბრუ დაესხა.

— სეტანეი!.. სეტანეი!.. — ამოხდა.

— ციცი!.. — შეუტია ქალმა ახლა პორტჩიქს და, თითო რომ მუქარით დაუქნია, თან ცოდვილიანი შავი თვალები მრუმე ღამეებივით შეატეთა სურვილებით აფანცქალებულ ვაუკაცის გულს.

— იღბ აღი გაქვთ და რას იზამთ!.. ახალგაზრდობა დაუზოგველია... მუღამ ასე ყოფილა... — მეტი ვერა მოახერხა რა სახტად დარჩენილმა პოლკოვნიკმა და მელოტიანად გაწითლებულმა გაწმილებულ როტმისტრს დასაშოშმინებლად შელავში ხელი ძალზე მეგობრულად გამოსდო.

— მაშ ასე, ნახვამდის... — გამოეთხოვა იგი უკვე ჩაცმულ ქალ-ვაჟს და მერე მკაცრი კილოო დაუმატა: — ოლონდ ფრთხილად, — სხვა არაფერი!

როტმისტრი იდგა ბრაზით თვალგამწვანებული და ისევ ისე მოუთმენლად იგრეხდა ულვაშს, მხოლოდ ახლა არა მარჯვენას, არამედ მარცხენას.

და ახლა, ამ თვალუწვდენ მინდორ-ველებში რომ არის გასული თარეშად, დედას სძინავს, ალბათ, იქ, შორეულ სამეგრელოში იქნებ, არცა სძინავს, — ძილგატეხილი ლოცულობს სახატეს წინ დაჩოქილი და ავედრებს თავის ერთადერთ ვაჟს გულთამხილავს.

სანამ ხედებას გაიტეხდა, ბნელოდა ისე, რომ თვალში მიტანილ თითს ვერ არჩევდა. წინ მიმავალ თუშის ცხენის ხმას ბრმად მიჰყებოდა.

ცხენი მისი ჩერქეზულად იყო ნახედნი, ბნელ თავლაში ნაბამი კატასაცით მოქნილი, ფრთხილი და ფრუტუნი არ იცოდა.

უკან, ციხიდან, „იმამის“ შორეული ყიყილი მოისმა უდროვოდ. კარგა გადაშუალამებული იყო, მაგრამ წინ, გათენებამდე, ჯერ კიდევ გრძელი ღამე იღო.

კარგა ხანს იარეს მათ ამ თვალშეულგამ მინდორ-ველად ჩამოხვავებულ უმთვარო ღამეში.

იქ, ჰასავ-იურტში, დარჩა მისი მყუდრო ლოგინი, ლამაზი მეზობელი და გარნიზონი.

— სეტანეი, სეტანეი, სატანა ხარ შენ!..

თვითონვე გაელიმა ამ რიტორიკულს წართქმაზე და ბავშობის დროის „ესტეტიკებრი განსჯათა“ წიგნი ტკბილად გაახსენდა. ამ წიგნზე ასწავლიდა მას დედა პირველ ანბანს.

ორი-საში საათი მანიც იქნება მას შემდეგ, რაც კაპიტანის ცოლი შინ მიაცილა.

ის უცნაურად იყო ატანილი და არ უშევებდა. ეშმაკსავით შეუჩნდა, სულ-ში ჩასდია, რომ ეთქვა სად მიდიოდა. ბოლოს, რომ არაფერი გაუკიდა, გაბრაზდა და ისე უსაყვედურა:

— ქალის ჭირად ხართ გაჩენილი კავკასიელი ვაჟკაცები, ქალის ჭირად!...— და გაბუტული თავის ოთახში ჩაიკეტა,

ფიქრი ფიქრს წაება, მოგონება მოგონებას და ღამის ამ გულჩახურულმა დუმილმა ისე გაიტაცა, რომ სულ დაავიშუდა თუ ის მტრის შესახვედრად მიდიოდა.

ეს პალტოებიც იქ, ჰასავ-იურტის ოფიცერთა საკრებულოს დერეფანში რომ ეკიდა, ეს სატიალე პალტოები და მაზარები, რა არის ასე უცნაურად რომ აეკვიატა, გულს ებურება და სუნთქვას უხუთავს? ახელა ცას,—ცაც პალტოსავით გაშლილა ბნელად, ეს ვარსკვლავებიც ანთია, კიაფობს სალდათის დაფერილ ფოლაქებივით.

ბევრი იარეს, თუ ცოტა, იარახ-სუს მიადგენ.

ეს ის მდინარე იყო, ჰასავ-იურტს რომ გვერდით ჩაუდიოდა და ახლა უკან დატოვებულს ისევ ზედ წაადგენ, გზა წყლის გასწვრივ მიდიოდა და ისინიც ამ გზას გაჰყუნენ.

აქელან მდინარე საამოდ ჩხრიალებდა რიყიანში და მის ხმაურში ცხენის ფეხის ხმა თითქმის არ ისმოდა.

სამიოდ ვერსი რომ გაიარეს, გულუხაიძე შედგა.

რაღაცას მიაყურა.

შეეჭვდა.

უნაგირს საჩქაროდ გადმოევლო და მიწას ყური დაადგა.

ერთხანს უსრინა თუშმა მიწას, უსმინა, მერე წამოდგა და ცხენს რომ მოახტა, წაიბურტყუნა:

— მშვიდობიანი უნდა იყვნენ... იორლით მოდიან! მთაჩი ცხენს იორლით არ გაევლების.—და ოთხივ საიმედოთ მოფარებულ ადგილას გაჩერდენ.

მთებისა და ტყეების მბრძანებელს იმამ შამილს ყველგან თანამერჩნობი და თავისი კაცები ჰყავდა. ამიტომ ვისიმე შეცვედრა ახლა სახიფათო იყო. შართლაც, რამდენიმე წუთს შემდევ ყაყანი მოისმა და მალე ბარის ყარანოლაელი თათრები გამოჩნდენ. წყლის ხმაურის გამო ისინი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდენ, რომ მთლად აყრუებდენ იქაურობას. ერთი მათგანი მაინც ნამეტანი იყო,— კი არ ლაპარაკობდა, ჰყეფდა, წყავწყავებდა ნაცემ ძალლივით.

კარგა მანძილი რომ ჩაიარეს, იმ ერთის ყაყანი მაინც ისმოდა. ისიც რომ მიწყდა, გიაურებმა გზა ისევ განაგრძეს.

ასე იარეს მათ, სანამ ციხე-სიმაგრე ვნეზაპნაიას კირით შეთეთქილ თეთრ გალავანს არ მიადგენ. აქ დონის ყაზახთა მოწინავე პიკეტი იდგა. ამ სიმაგრის

იქით კი ვაჟკაცობა, კიდევ უკეთესი ხირიმი, ალმასის გორდა და მაღალი ღმერთი იყო კაცის შემწე.

ვნეზაპნაიასთან აღმართი მოილია და ერთხანს ავლაბრად იყო სავალი.

ღამეში ქონგურებიან ციხის კბილდაღრჭენილ გალავანზე ელავდა ფოსტორიულად ჭოკზე აგებული კაცის თავები. გუშაგები დადიოდენ მარშით და დრო და დრო გასძახოდენ უკუნეთში ჩაყურულ მთებს:

— Слу-ша-აშ!..

— а-აშ!..

— ...აშ!...—ეხმაურებოდენ მათ საგუშაგო გადაძახილს აზავთებული მთები, ღრეუები და ჭიუხები.

ეს მრისხანე მუქარა მიდიოდა ამ საშოსავით მრუმე ღამეში გაქნეული იკარგებოდა ორწოხებში.

სადღაც პასუხად შეავი მოსკდა. ზათქით, ღრიალით წავიდა გამოძახილის გამოძახილებად ხევჭუებში და თენგიზს ეგონა: ცა ჩამოიქცა და მთები ხვავდებოდა...

— Слу-şa-აშ!..—მაინც არ დრკებოდენ ურუსები და სადღაც ბუჩქარში მიმალული აბრეკი ყურს უგდებდა ამ მუქარას და ბრაზითა და ჰაზარტის ცეცხლით განრისხებული გული კიდევ უფრო უგოროზდებოდა.

სიყუჩე რომ ჩამოვარდა, ახლა ტურები ატყდენ და მათი შემზარავი კივილ-ხარხარი აყოლებდა ცასა და მიწას.

ცოტაც რომ წაიარეს, გზას აუქციეს და იარახ-სუს გაღმა გავიდენ. ძეგნარ-ჯაგნარი დაფენილი ტაფობიც მალე მოლიეს და ახლა მდინარე იამან-სუ დახვდათ წინ.

ეს მდინარე ისევე პატარა იყო, როგორ იარახ-სუ და, ისიც რომ გადალახეს, ძეგნარში ნადირისაგან თუ მწყემსებისაგან გათელილ ბილიკს დაადგნენ..

ჯაგნარი საქმეს აჭირებდა, ცენსაც და კაცსაც ხორცის ტანისამოსს აგლეჯდა, მაგრამ აქასის შორეული ბორგვა და ღრიანცელი რომ მოესმათ, გულს ქადილი მოემატა. და გზაც უფრო ხალისიანად განაგრძეს.

აქასის რომ წაადგენ, მდინარე მოდიოდებული დახვდათ და სახლისოდენა მოგორებულ ლოდნარს პირდორბლიანი წყალი ზედ ეხლებოდა.

შეთემ რომ ცხენი შიგ ჯიქურ შეაგდო, თენგიზიც თან მიჰყა. მათ არც ყაზახები ჩამორჩენ.

ამიერიდან კიდევ მეტი სიფრთხილე იყო საჭირო და წინდახედულობა. ჩინჩხვარის ყოველ უცაბედ მსხვრევას შეიძლებოდა სროლა მოპყოლოდა. მთიელი კი დენთს უბრალოთ არ დასწვავდა,—რომელიმე. მათგანს თვალის სინათლეს უეჭველად დაუბნელიბდა.

მარცხენა ნაპირით თავქვეს დაჰყვენ და, რამდენი დრო გადიოდა, იმდენი წყალი მატულობდა. სჩანს იქ, მთაში, თქეში იყო და იქაური ნიალვრები აქ უწევდა.

ამ ძეგნარმაც რომ ძალა წაილო!

ერთ ადგილას კალაპოტი დავაკებაში იყო გაჭრილი. მდინარე ფონად გაშლილიყო და ოდნავ. შემდორებულად მიედინებოდა:

## შეთე შედგა.

გვერდით ატუზულ ტარას ტუპიცას რაღაც გადუჩურჩულა. ყაზაზმა ბევრი არ ახანა, ცხენი ბუჩქნარს მოაფარა და თითონაც იქვე ჩაწევა სამზირში. ასიოდ ნაბიჯიც და კუზმა ხაპკოც ისევე მოიქცა. კიდევ ასიოდ ნაბიჯი და ახლა ჯერი თენგიზ დარბაშიაზე მიღვა. შეთეც იქვე ჩაჯდა ოციოდ ნაბიჯის მოშორებით და გაყუჩდენ.

ეს ადგილი ერთადერთი ყელი იყო, რომელსაც ვერც ერთი თარეშიდან დაბრუნებული აბრევი ვერ ასცდებოდა.

დარბაშია პირველად იყო ასეთ საქმეზე. მთელი ზამთრის ექსპედიციები გამოიარა ტყის კაფვითა და ჭაპანწყვეტით, შეტაკებებითა და თავდასხმებით, შაგრამ ეს სულ სხვა იყო. ახლა, ჯერ განუცდელი ხიფათის წინ რომ იღვა, გული უცნაურად უცემდა.

ვინ იცის, იქნებ ბედმა უმართლოს და მართლა წააწყდეს აბრევებს! ეს ხომ ნადირობას ჰგავდა!

ვაჟკაცობისა და გულის ქადილს გარდა, ბევრი რამ ილბალზე იყო დამოკიდებული.

იქვე მის ახლოს ტურები აკნავდენ, საიდანლაც ფოცხვერის ხავილიც მოისმა და თენგიზს მშობლურ რიონის ფშანები და ჩქონები გააქსენდა. ისედაც მოლოდინით გაწვრილებული გული სულ მთლად გალწვრილდა და რიყის ქვა-სავით შეეყურსა.

არც ვნეზაპნაიას გუშაგთა ხმა ალწევდა.

კალია და რწმი სმენას აყრუებდა.

უეცრად ძმადნაფიცი სელიმბეკ გახსენდა.

ასე სჭირდა მუდამ: სიმარტოვეში, გაჭირვებაში მოაგონდებოდა და მერჯწვიდოდა ერთად გატარებული დღეები, თვეები და წლები. მოგონება მოგონებას გადაეცმოდა.

თენგიზ დარბაშია ობლობისა და კეთილშობილ წარმოშობისა გამო პეტერგურლის პაეთა კორპუსში სწავლობდა სახელმწიფო ხარჯზე. მასთან ერთად იყო აგრეთვე ახულებოს ალების დროს შამილის შვილთან ერთათ გაშოტაცებული შეიდი წლის სელიმბეკ ცადასტა. სელიმბეკის მამა მართლმორწმუნე მურიდი იყო დი იმამის მარჯვენა ხელი. ურუსების ჩიშტით გულგანგმირული დაწევა იგი ადულებოს ციხის ბოგირთან და არ ამდგარა. შვილი რომ ჩამოატარეს, მამა იწვა პირალმა და სალდათები გვამს დედისა და პირის გინებით აუურითხებდენ.

ბავშვმა საყვარელ ცხედრის ასეთ წამუდვლაზე კბილები სიმწრით გაახრა-ჭიალა. ცემით დასისხლიანებულ სახეზე ბურბუშელასავით ჩამოშლილ შავ თმებს ჭვეშ თვალები მუგუზლებივით აენთო. რომ შედგა, ვიღაც ოფიცერმა დამბახა ღორმით ზურგში დააშილა და წინ ისე გაიგდო. სელიმს ხელი ბაწრით ჰქონდა გაკრული და, სხვა რომ ვერა ილონა რა, ნერწყვი უხვად მოიწუწნა და ისე შეაფურთხა სახეში გიაურს.

ცადასტამ მხოლოდ ერთხელ გაიხსენა ეს დღე. ძმადნაფიცს რომ უამ-ბობდა. ეს საზარელი ამბავი ახლაც ისე აღელვებდა, თითქო გუშინ მომხდა-რიყოს.

კორპუსში ლამით ყველას რომ ეძინა და დორტუარებში დუმილი იყო ჩამოხვავებული,— ისინი სევდაატანილნი საბანს პირზე იფარებდენ და ეძახდენ:— სელიმბეკ მშობლიურ მთებს და დარბაშია იქ, სამეგრელოს ბარში ჩატოვებულ დედას.

სწავლა რომ დაასრულეს, ოფიცრის ჩინით კავკასიის ამში იქნენ წარმოგზავნილი:— თენგიზ ჰასავ-იურტში, სელიმბეკ ეგორლიკში.

სანამ ფრონტზე გაემგზავრებოდენ, თენგიზ შეუჩნდა ძმადნაფიცს და მანამ არ მოეშვა, სანამ ერთი თვით თავის სამშობლოში არ წაიყვანა. სელიმბეკიც დაპყაბულდა. ან სად უნდა წასულიყო, როცა მამა მოუკლეს ამ თუთხმეტიოდ წლის წინად და ორსულ დედას თოფის კონდახს ჭვეშ აღმოხდა სული. როცა არც ნათესავი იცოდა და არც თავისიანი.

ერთი თვე ცხოვრობდენ ისინი ლალად „დიადეკების“ მეთვალყურეობისა-გან განთავისუფლებულნი. ოდიშში ყველა ირეოდა ლეკის მოხდენილობით, ვაჟკაცობითა და განათლებითა. ევროპული უზადო ზრდილობა და იმდენად ალერსიანი, სათუთი და ტკბილი მოპყრობაში, რომ ყველას აოცებდა მისი ესოდენ სიფაქიზე. ერთი რამ იყო მხოლოდ სელიმბეკს რომ გულს უკლავდა: დარბაშიასა და მისი დედის ალერსს თვალს რომ შეასწრებდა, იღუშებოდა, თვალები ენამებოდა, და მერე რამდენიმე დღით იყარებოდა, მიღიოდა სანა-დიროდ, დაბორიალებდა უგზო-უკლოდ გულაწრიალებული რიონის ჭაობებში.

თენგიზს არასოდეს აქამდე არ შეუმჩნევია ძმაკაცისთვის ეს თვისება და ახლა რომ შეამჩნია, ერიდებოდა დედასთან ალერსს.

დარბაშიხეს იგი საკუთარ შეილში არ გამოერჩეოდა და ორივე ვაჟკაცი რომ იძინებდენ, საფერხელთან ჩამჯდარი უკრავდა ჩონგურზე ტკბილ ძილის-პირს, რულს უტკბობდა.

საფელში გატარებულ ტკბილ დღეებს შემდეგ გზად რამდენიმე დღე. ტფილისში დარჩენ. დედა ვერ შეელია შეილის ლოლიავს, უნდოდა მეტ ხანს ყოფილიყო მასთან და ტფილისამდე გამოპყა. თან ნათესავებს ინახულებდა და მოსწრებულ ვაჟკაცით თავს მოიწონებდა.

წვეულებები, ბალები, რაუტები.

თენგიზ დარბაშია და სულიმბეკ ცადასჩა თვალი იყვნენ და ზინეთი საზოგადოებისა, სულ დაახუნეს აქაური ხახვისა და ვარშავის ფრანტები.

ჭალები მუმლივით ეხვეოდენ, მაგრამ სელიმბეკი ველური იყო და მიუკარებელი.

ტფილისიდან რომ გადიოდენ, დარბაშიას დედაშ საბაჟო ზასტავამდე მიაკილა ისინი.

გამოთხვებისას სელიმთან უფრო ნაზი იყო და ალერსიანი, ვიდრე საკუთარ შეილთან. ეშინოდა უთვისტომო ვაჟკაცს გული არ დასჩაგვროდა და იმა-საც ისევე აპრუნებდა წალმა, როგორც თენგიზს, მაგრამ ჯვარი ვერ გადასახა. შვილობილი თათარი იყო, სხვა რჯულისა და ადათის, ეშინოდა არა სწყენოდა.

სელიმს გული ბავშვევით აუყუჩდა, მუხლთ მოიყარა, ძმადნაფიცის დედას ძუძუზე სასოებით აკოცა და სთხოვა ისიც დაელოცა გიაურთა წესისამებრ.

გულამომჯდარმა მოხუცმა ლეკს ლოცვა არ დაუკავა და ჯვარი გადასახა.

თათარი წამოდგა. გაბრუებულმა შუბლზე ხელი გადაისვა, მერე ჩაიქნა და:  
— ბალი!... ბალიო!... — რომ დაიძახა, შარაბანისკენ გაიქცა. შიგ რომ  
ჩაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ლოჭინის ხევამდე თავი არ აულია.

დარბაშიამ რანდენიმეჯერ სცადა საუბრის გაბმა, მაგრამ ძმად ნაფიცი  
ავი ძალლივით იყო აღრენილი და პასუხს არ იძლეოდა.

ბოლოს შემობრუნდა. ძმობილს ბარივით ფართო ხელი მხარში დაჰკრა  
გაბრწყინვებული თვალები შეანთა.

— კარდაშ!.. — სთქვა. — დედა!.. უუჰ, დედა!.. — და მეტი დამაჯერებლო-  
ბისათვის სალოკი თითი მაღლა ასწია.

— გასწი, გააქანე!.. — გასწი მეთქი, შენი ღმერთიც არ იყოს! — დასჭიუ-  
ლა უეცრად იამშჩიკს ისე, თითქოს გულს რალაც საშინელი შემოახტაო და შა-  
რაბანიც გაქანდა ახლადგაჭრილ ტრაქტზე ჯინჯილებისა და ეუვნების ულ-  
რუნით. დარჩა უკან გვიფად ამდგარი კორიანტელი..

ორი თვე იმსახურა სელიმბეკმა ეგორლიკში.

ერთ დღეს დარბაშიამ საგანგებოდ გამოგზავნილი კაცის ხელით წიგნი  
მიიღო.

დალუქული პაკეტი რომ გახია, მიწაზე აბრეშუმის სადარბაზო ბარათი  
დავარდა.

აიღო:

### ძირიფასო ძმაო!

კარგათ მოვეწყვე. შესანიშნავი შემოდგომაა. კაპიტანი საცის  
ოჯახში ვცხოვრია, მაგრამ მაინც არ შემიძლია. მივდივარ. ჩემია-  
ნებთან ომის ძალა არ შემწევს. წამოხვალ, — დაიღუპები, დარჩები, —  
დალუპული ხარ. აირჩიე. ხომ გახსოვს ძალისა და მგლის ამბავი?  
მე მგლობა ვარჩიე. სალამი ტკბილ დედას. გისურვებ საუკეთესო  
კარიერას. მაპატიე. მშვიდობით!

შენი სელიმბეკ.

რომ არავის ენახა ბარათი ნაკუჭათ აქცია.

ცოტა ხანს შემდეგ ამშავიც მოვიდა: ცადასტა აბრეკად გავარდა და  
თავი ნაიბ მახმატას შეაფარა. კაცმა არ იცოდა რისთვის გადავარდა. იქნებ  
მთებმა დაუძახეს? იქნებ სეტანეის ამაო ტრფობას ვერ გაუძლო?

ერთის მოქნევით დასთმო უმაღლესი განათლება, უცხო ენები, ლიტერა-  
ტურა, ბრწყინვალე ოფიცრის ჩინი, ევროპული კომფორტი და პეწი.

სახლის მაგიერ თავი ცას შეაფარა, გული სეტანეის ტრფობას, ბედით  
გორდა ხშალს დაენდო. სიცოცხლე ველად გაჭრილ ქარს გაატანა და ვინ იცის  
ახლა სად აწყვეტებდა, ანდა სად სწერდა მის გულს აწრიალებულს.

მისი სახელის გაონებაზე ძრწოდენ ყაზახთა სტანიცები, მის სახელით ბავ-  
შებს აშინებდენ ურუსები.

დღეს რომ ყიზლარის მიღამოებში იყო, ხვალ მოზღოვში გამოჩნდებოდა  
ციდან ჩამოვარდნილივით, ზეგ ბათალ-ფაშინსკს არბევდა, ან სტავროპოლის  
სტეპებში ჭეროდა ბარად ჩამოჭრილ არწივივით და მოჰკონდა თან ცეცხლი,  
ტრამა და შურისძიება.

სელიმბეკ ცადასტა..

სატანა საციხა..

ყველას ეს სახელები ეკერა პირზე და ჰასაფეიურტის ბეღნიერი შამალი არავის ახსოვდა. არც „იმამი“ დარჩა ვალში. მას არ ეხებოდა ეს ცნებათა ლელვა. ცოლების ლოლიავში, ოჯახურ ზრუნვაში გახდა, ქონი დაჰყარა და ცხოვრობდა თავისთვის საქათმო საქმეებით დატვირთული.

ტყეში ტურების კივილიც მიწყდა და ლამის ღუმილს მხოლოდ აქსას შხუილი არღვევდა.

მალე გობისოდენა მთვარეც ამოვიდა და ეს ფონი თვალწინ ხელის გულივით გადიშალა.

დარბაშის ჰშურდა ძმადნაფიცის ბედი, რაღვან გრძნობდა, რომ უღმერთო იყო მისი აქ მში.

არც სელიმთან წასვლა იყო გამოსავალი.

„ხომ გახსოვს ძალლისა და მგლის არაკი?“ თენგიზს არც მგლობისა ეშინოდა, არც ტყვიით სიკვდილის. მას რაღაც შინაგანი უზილავი კანონები ამყოფებდა აქ, რაღაც აუცილებლობა, რომ აღმოსავლური წესები ქვეყნის თემური მართვა-გამგეობისა უნდა მოსპობილიყო თავისი გარდასული ადათებით, ტარიკატითა და შარიატით, ყოველივე ეს შეეცვალა ბიუროკრატიულ-ჩარჩულ წყობილებას. შპიცრუტენებით, პლაცარადებით და იქ შერენგებსა და როზგებს იქით მოსჩანდა სალდათის მაზარასავით უსიხარულო ნაცრისფერი ცა. ეს მაზარები, ეს პალტოები გულს მძიმედ ებურებოდა, სუნთქვას ხუთავდა, მაგრამ ერთი ნაპერ-წერალი მაინც ენთო ამ ცაში იმედათ და რომ გალვივდებოდა...

რა უნდოდა, რისთვის მოვიდა აქ, როცა მისი გალატაკებული, უქალამნო ხალხი წელს იწყვეტს იქ სამშობლოში განუზომელ ჯაფითა და ჭაპანწყვეტით ბატონის კირთების ქვეშე? როცა მისი საუკეთესო შეილებით იგსება ქობულეთის, ტრაპიზონისა და სტამბოლის მონათა ბაზრები? მშრომელ გლეხობას წელი სწყდება ჯაფაში, ჭაპანწყვეტაში და პირუტყვივით იცვლება მწევრებში და მექებრებში? როცა დიდი „დამპყრობელი ერი“ რუსის მუჟიკიც ამავე დღეშია და ერეკებიან რეკრუტებით ამ შორეულ ბასურმანულ მიწისა და ცის დასპყრობად?

განა მისი მამა არ იყო 1832 წლის შეთქმულებისათვის სიმბირსკის გადასახლებაში სული რომ ამოხდა? ახლა ამ კაცის შვილი და სელიმბეკ ცადასტას ძმადნაფიცი მტრებს ამოუდგა გვერდში და თეთრი ხელმწიფის, „კულტურისა“ და მამულის სახელით ებრძების უსწორო ომში იმ ხალხს, რომელიც კბილებით იცავს თავის მარჩენალ ყანებს, საძოვრებს, თავისუფლებასა და თოხუმის აღათს. ებრძების არაყს, მექრთამეობასა და მლიქვნელობას.

ან რა ძალა ის ძალა ახლა აქ, ამ დალუსკუმებულ ლამეში, რომ მოიყვანა იგი სიკვდილთანა და სინიდისთან სათამაშოდ?

გალმიდან ტყეში შრისლი გაისმა. დარბაშია გასაფრდა.

შიაყურა:—ხმაური. თანდათან ძლიერდებოდა და მალე ყურამდე ფეხის ხმამაც მოალწია.

ეს ხმა თითქოს კვენისა იყო.

დარბაშიამ შეთეს გახედა, მაგრამ ის მიწაზე ისე გართხმულიყო, რომ ვერ გაარჩია რა აღგილას იწვა.

— იქნებ არ ესმის? ან დაეძინა? — უნდოდა ახლოს მიცოცებულიყო, შაგრამ ხმაურმა რომ ერთიორად იმატა, გაშეშდა, ფეხი არ მოუცვლია.

ხმაური წუთით ისევ რომ მიყუჩდა; გულმა არ მოუთმინა და თუშისკენ გველივით გასრიალდა.

— აბრეკები!..

— იყუჩე, ბიჭაუ! — იყო პასუხი.

ახლა უფროსი თენგიზი კი არა, შეთე იყო და ეს „ბიჭაც“ ყურს არ ეხად მუშებოდა,

ვნახოთ, ერთ ადგილას ბუჩქნარიც გაირღვა და მის სიხმოდან უზარმაზარი ცხენისოდენა ხარირემი გამოვიდა. წყალში რომ ჩამოდგა, მას ფურიც მოჰყევა.

ირემს ვაჟაცავის გაშლილი შელავების სიგანე რქები თავზე ჯიღასავით ედგა. ნარბენი ხარი მტრის დასაზვერავად თავს აქეთ-იქეთ რომ აბრუნებდა, ეს თავი თავისით კი არ ბრუნავდა, შტონაყარი რქები აბრუნებდენ მოღერებულ კისრზე.

ალბათ ბილიკი ვიწრო იყოან იქნებ, სიყვარულიც მოსწყურდა და იმიტომ? — ფური ფერდით ხეადს აელამუნა და ოდნავ წინ წამოვიდა. უფრო ღრმა წყალში რომ გაჩერდა წელში ოდნავ ჩაიზნიქა და ციკ ჩანჩქერში ალბათ ძეძვით დაკაწრულ ჯიქნებს იგრილებდა.

რას არ მისცემდა ახლა ის სროლა რომ შესაძლებელი ყოფილიყო!

ნეზე წყალს ხარბად დაეწაფა, მაგრამ წამობერილმა ნიავმა ნადირს ადამიანის სუნი რომ მიაყარა, თავი მაღლა აილო და ზურგზე რქაგადაყრილმა შავი დრუნჩით საეჭვო ჰაერი ხარბად მოჰყნოსა. მოჰყნოსა და შედრეა. ერთი უეცრად დაიფრუტუნა და დაეშვერ წყლის დასავალზე.

ირმები კაცისაგან უნდა ყოფილიყვნენ დამტრთხალი და აქეთ მოგდებული.

— მოდიან! — წასჩურჩულა თენგიზშა თუშს.

— იყუჩე, ვაჟაუ! — იყო პასუხი. მერე დაქანებულ ნაპირზე წყლის გასწვრივ გასრიალდა და ბილიკის პირდაპირ ჯაგს საიმედოდ მოეფარა.

კოტა ხანიც და გაღმა, ირმების ნავალში, ისევ ფეხის ხმა მოისმა.

— იქნებ ესეც ირმებია? — დარბაშიამ ფიქრის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ მთვარის შუქზე წყლის პირად ხელით გადაწეულ ტორებში ცხენოსანი გამოჩენდა. წყალს აღმა-დაღმა გაჰქედა, მერე გაღმა რომ გაიხედა, თენგიზს ეგონა მას უცქეროდა და ყოველ შემთხვევასათვის თოფი გამოუნიშნა. ეს გამოუცდელ თენგიზს მოეჩენა ასე, ცხენოსანი მხოლოდ იკეირებოდა მისკენ, — მას არ ხედავდა. მერე ვიღაცებს ფრთხილად დაუსტევინა და სამი ცხენოსანი კიდევ გამოვიდა წყლის პირას. დანარჩენებისთვისაც რომ გზა მიეცა, წინ წამოწია და თენგიზმა მხოლოდ ახლა გაარჩია, — მეთაურს უნავირის კოტაში ბაწრით ჩაბმული ტყვე მოჰყავდა.

ტყვეს თეთრად ეცვა. ეტყობა, ფეხშიშველი იყო და ფეხის ყოველ გადადგმაზე კვნესოდა, პირუტყვივით ზმუოდა. ნაპირზე გადმოფენილ ტყის ჩრდილში ვერ გაარჩია ქალი იყო იგი, თუ კაცი. საცოდავი უკან იწევდა, ძალიანდებოდა და ცხენოსანს წყალში არ მიჰყვებოდა.

მოთმინებიდან გამოსულმა აბრეკმა შეუტია, მდინარეში ძალით ჩაითრია და, სანამ თენგიზ გამოერქვევოდა, უეცრად აფეთქდა რალაც უზარმაზარი, ცა და მიწა დაინგრა, დაშვავდა ქვეყანა და გუგუნი იგი წავიდა შხუილით ტყეებში, ხევებში, ლარდა-ლრეებში.

ეს შეთეს ხირიში იყო.

აბრეკის ცხენი შედრეა. უკანა ფეხებით კიშმიშზე შედგა, წინა ტორები ჰერეში დაიქნია და მერე დგვეფა მოაღინა წყალში.

არც ლეკებმა დააყოვნეს, სროლაზე სროლითვე გასცეს პასუხი, და საკუთარ თოფების კვამლში და გვიფში გახვეულნი დაეშვენ წყალდაწყალ.

—იი!—დასჭყივლა თუშმა და ხანჯალამოლებული წყალში გადავარდა.

თენგიზს ეგონა აბრეკებმა თავს უშველეს.

— აჰაიტ, დიაცები! — ამოხდა სინანულით და ბრაზით კბილები გააღრძიალა. ნაპირთან რომ მიიტრა, მდინარეში დგაფუნობდა, ბორგავდა სასიკვდილოდ დაჭრილი ცხენი და წყლის კორიანტელში კაცი ვერ გაარჩევდა რა ხდებოდა, ან რა დაემართათ შეტაკებულებს.

ლეკებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ მათ ყაზახებმა გასცეს პასუხი და ეს მიდამოები, ამ რამდენიმე წუთის წინ გულის გამავერანებელ დუმილით რომ იყო მოცული, ჯოჯოხეთად იქცა.

ამ წუთისათვის, ამ ურუანტელისათვის მოვიდა აქ დარბაშია, დასტოვა ჰასავ-იურტში დროს ტარება, თბილი ლოგინი, ტებილ დაპირებებით სავსე ლამაზი შეზობელი და ახლა ადამიანის ნასახდაკარგული ისროდა თოფს, სტენიდა, ისევ ისროდა.

გიაურებს არც ლეკები რჩებოდენ ვალში.

ტყვიები ტყეს აცხავებდა, ჰაერი სიოდა და აშრიალებულ შტოებში ყურ-შუმით მოსხებილი ფოთლები ძირს ფაჩუნით ცვივოდა.

ამხანაგების ნასროლი ტყვია მოწინააღმდეგესთან შეტაკებულ ლეკსაც რომ მიეძალა, განრისხებულმა ერთი ისეთი დასჭყივლა თავის ენაზე რალაც, რომ დარბაშია ურულამ აიტანა. ლეკის დაჭყივლება და სროლის შეწყვეტა ერთი იქნა, მაგრამ ყაზახები მაინც არ ეშვებოდენ, ფეხდაფეხ მისდევდენ მათ და სროლის ხმა თანდათან შორიდან მოისწოდა.

წყალში შეტაკებულნი ბდლინავდენ ლომებივით და ვინ იცის ამ ორთა-გან, რომელს ჰქონდა სიკვდილი ტანში წელეავად გამდგარი?

თენგიზს უინითა და ბრძოლის წყურვილით შეაცივა. ძაგლებებდა, ელოდა როდის დადგებოდა მისი ჯერი, რომ ისიც გადავარდნილიყო წყალში და თუ: გულუხაიძე დაიღუპებოდა, მერე მისი ჯავრი მას ამოეყარა.

დაჭრილი ცხენი ისევ დგაფუნობდა, ლამობდა აღგომას, მაგრამ რომ ვერა დგებოდა, უნაგირის ტახტაში ჩაბმულ ქალს აქეთ-იქით აწყვეტებდა და ტყვე წიოდა გულის გამგმირავად, კივილი ტყესა და ცას ჰზარავდა.

უეცრად თუშმა ავაზაქს ხანჯალი მოუქნია. ლეკმა მოასწრო, მაჯაში ხელი უტაცა და ახლა მან მოუქნია სამაგიეროდ, მაგრამ არც თუში დარჩა ვალში, ახლა ის ჩაკვდა ხელით მაჯაში.

ასე იდგენ ისინი ცაში გაკავებულ ხელებით ისე, თითქოს თამაშობდენ. ახლა ვაკეაცობა მკლავის ღონებზე და გამძლეობაზე იყო მიმდგარი. ჩაც ძალი და ღონე ჰქონდათ აწვებოდენ ერთურთის ხელს და ვისი მკლავიც ჩატყდებოდა, ხანჯალიც იმას ჩაესობოდა მკერდში და დედის თვალები აუტირდებოდა.

ლეკი ტანხელი იყო, კაფანდარა, მოქნილი და ფოცხვერივით ონავარი.

თუმი მძიმე იყო და ლომის ტორივით ღონიერი მაჯა მძლავრად აწვებოდა მოწინააღმდეგის ხელს. რომ ტრიალებდენ, ლიპ რიყიანში ფეხები უცურავდათ, იღრინებოდენ, ხვნებოდენ და ჰაერში გველის წიწილივით ასივლებული ფოლადის ორი ენა ელავდა ცივად მთვარის სხივებზე.

წუთი საუკუნეთ იქცა.

უცურად ქალის ხმაც მიწყდა და დუმილი ჩამოვარდა.

ლეკი შეკრთა ამ სიყუჩეზე, წონასწორობა დაჭკარგა, წუთიც და:

— იი, ბართალმანო!.. — გაისმა ბდლვინვა.

მთვარის შუქე გამოჩნდა როგორ გაშავდა მდინარე ერთ აღვილას და მერე ეს სიშავე წილო წყალშა.

შეთე ნაპირისაკენ წამოვიდა. მოდიოდა დაფორხილებული, სიპ რიყიანზე ფეხი უცურავდა.

მკლავებზე გულშელონებული ქალი გადაესვენა, პირში სისხლიანი ხანჯალი ეჭირა და ცალი ხელი აბრეკის გადაპარსულ თავისთვის წვერებში ჩაებლუჯა.

მოჭრილი თავიქალს ძუძუსთან ეხებოდა და ლორთქო ტანჩე შემოჭდობილი სველი პერანგი უსისხლიანდებოდა. როგორც ეტყობოდა, ტყვე ლოგინიდან იყო გამოტაცებული.

— ნაბაღი! — ბრძანა თუშმა ისე კუშტად, თითქოს ის ყოფილიყოს უფრო-სი და არა დარბაშია.

თენგიზმა ნაბაღი ხელდახელ გაშალა.

გულუხაიძემ ნაღავლი ზედ დააგდო, ისევ წყლისკენ გაიქცა და ახლა აბრეკის მარჯვენა მკლავი ამოიტანა.

ქალს ხელზე თოკი საჩქაროდ შეაჭრეს.

დარბაშიამ დახედა მას და:

— სეტანეი! — ამოხდა.

მეორე ღილით ცაში მერცხლის ბუდესავით გადმოკიდებულ აულს სამი მწუხარე ცხენოსანი მიუახლოვდა.

ერთ მათგანს უნაგირზე მკლავმოჭრილი უთავო კაცი გადაესვენა და ისე მოუძლოდა წინ ფეხდაუებ.

ცხენოსნებმა ცხედარი ქვაზე დაასვენეს.

ცხენები შემოვებებულ ბიჭებს გადასცეს და, სოფელში რომ შევიდენ, წა-ვიდენ ბანი-ბანად თავზალუნულნი.

მთელი აული გარეთ გამოეფინა. უცქეროდენ, ხმას არავინ იღებდა, თითქოს ძალლებმაც იგრძეს უბედურების სიახლოვე და გაჩუმდენ. ერთმა გაწუწ-კებულმა დაიყეფა მხოლოდ, მაგრამ:

— ასგაშო!.. — შეუტიეს და იმანაც ჩაიგდო გულის ხმა.

ბანზე გაღმომდგარმა უხუცესმა მახმატამ ვაჟკაცები რომ დაინახა, გულმა ფარსაგი არ უგრძნო და შორიდანვე მიაძახა:

- ნა ხაბარ? — კაცები შედგენ და მოხუცის კითხვას კითხვითვე უპასუხეს:
- სტუმარი ხომ არ დაბრუნებულა?

და ამ პასუხზე აულმა რომ შეიცხადა, ცა ძირს ჩამოვიდა.

ატყდა ვაება, ვიში და ლაწვოა ხოკვა მონუმენტილ ვაჟკაცისა და ჯიგიტის დალუპვაზე.

ეს აული „იმამის“ ცოლოური იყო, მის ამქვეყნიურ ბედნიერებისათვის გაპარტაზებული და ისევ აშენებული.

იმავე დილით კოშკის თავზე რომ აბრეკის თავი ჭოკით მალლა ასწიეს, თენგიზმა შეხედა მას და:

— სელიმ! სელიმ!.. — აბლავლდა ზარდაცემული. უქან რომ მოაწყდა, ფეხი მოუსხლტა და თავი ვერ შეიკავა; თუ არ შეიკავა, არავინ იცოდა, — გადაიხაფურა კოშკის თავიდან.

მამალი ამაყად რომ დადიოდა ციხის გალავანში, და მომხდარ უბედურებაზე გამოქცეულ ხალხს ფეხებში წამოედო და კინალამ მეორე უბედურებაც არ დატრიალდა. მაგრამ „იმამს“ მაღალი ალლაპი შეეწია ცოლებისა და ციხის საბედნიეროდ.

თავი სამშვიდობოს რომ დაიგულა, ერთი ლალად მიიხედ-მოიხედა, მწყაზარი ფრთები გაისწორა და, ბანზე რომ შეფრინდა:

- ყიყლიყო-ო!.. — დაიყივლა, მამალმა კი არა, სიცოცხლემ.

1926-35 წელი.

მ. ებრალიძე

## ეამაჩემი

ფეხებაკრეფით მიახლოვდება  
ის, ოთხმოცი წლის ჯანმოტეხილი,  
მაკვირვებს, როცა მომაგონდება,—  
გუშინ ეზოში დარგო ხებილი.

ჟოქვა: „გაიზრდება საშვილიშვილოდ,  
ბეღნიერ მერმისს გამოადგება,  
ეზოს ექნება კარგი საჩრდილო,  
საამო ხილით ბევრი დატებება“.

გავლენ წლები და ნორჩი ხეები  
აყვავილდება, ნაყოფს მარისხამს,  
შენ ხომ მას ხელით ვერ შეეხები,  
კაცი, ტანჯული, წარსულ დროისა.

მხოლოდ ეს ლექსი დარჩება, იტყვის,  
რომ ეს ხე დარგო მოხუცმა კაცმა,  
იმის სიცოცხლეს ეხურა მინდი,  
ოთხმოც წელს სტანჯა ცხოვრებაშ მქაცრმა...

მომაგონდები, მოგიგონებენ,  
იტყვიან, იყო მუდამეამს გამრჯე,  
(გაუკვირდებათ, როგორ ცხოვრობდენ)  
არ აჩერებდა დალოცვილ მარჯვენს...

...ოთხმოცი წელი, როგორც ოთხმოცი  
შემოფგომისას მჭერარი ფოთოლი,  
ქარი რომ კვნესით ხეს გამოსტყორცნის,  
შემდეგ მიღამოს დაფარავს თოვლი,—

ასე მოსულა მამის ცხოვრების  
დღეს მეოთხმოცე წლის შემოდგომა,  
დაცვივდენ წლები მჭკნარ ფოთლებივით  
და სახეს წვერმა შემოათოვა.

მაინც ლიმილი დათოვლილ სახეს  
შეეპარება მზის სხივის მსგავსად.  
შუბლზე ნაოჭთა ლრუბლებს შეარჩევს,  
თითქოს მზემ ყინვას სხივები დასცა.

გამოიზამთრა ოთხმოცი წელი,  
დღეს მასაც თითქოს ჩვენი გული აქვს,  
ლალატობს წლები, სიცოცხლის მცველი,  
ახლა, როდესაც გაზაფხულია.

გამოიზამთრა, და იმ სუსხის დროს  
არ ლირებია ერთხელც სინათლე,  
დღეს სურს სიცოცხლეს კვლავ ჩაეჭიდოს,  
რომ ამ ცხოვრების სხივებით გათბეს.

## ሸጋዣና ቃጥሪስ ማመራሪያ

ከጊዢ ቁጥር በግዢር መግለጫውን ተዋልኝበት,  
ዘመኑ ተመዝግበት ሚኒስቴር የዚህ የዚህ የዚህ የዚህ,  
ተዋልኝ ተመዝግበት ሚኒስቴር የዚህ የዚህ የዚህ,  
የዚህ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ.

በ, ከጊዢ ቁጥር በግዢር መግለጫውን ተዋልኝበት,  
ዘመኑ ተመዝግበት ሚኒስቴር የዚህ የዚህ የዚህ የዚህ,  
ዘመኑ ተመዝግበት ሚኒስቴር የዚህ የዚህ የዚህ  
ዳን ተዋልኝበት የዚህ የዚህ የዚህ.

አምስት የዚህ የዚህ የዚህ የዚህ,  
ዳን ተዋልኝበት የዚህ የዚህ የዚህ,  
አሸቃ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ  
ዳን ተዋልኝበት የዚህ የዚህ የዚህ.

አሁን የዚህ የዚህ የዚህ የዚህ,  
ዳን ተዋልኝበት የዚህ የዚህ የዚህ,  
አሸቃ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ  
ዳን ተዋልኝበት የዚህ የዚህ የዚህ.

ዘመኑ ተመዝግበት ሚኒስቴር የዚህ የዚህ  
የዚህ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ  
የዚህ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ  
የዚህ የዚህ የዚህ የዚህ የዚህ.

## კაზაფხურის ჭირი

მოდის სიცოცხლე ჯერ არნახული,  
უჩვევის გრძნობით ვული მაისობს.  
გაბრწყინვებული დღე გაზაფხულის  
მდუღარ სისხლით და ფერით აიგსო.

მოდის ტყემლების ყვავილის თოვლი,  
სიცოცხლის გზნება ადიდებული,—  
ველებზე ლურჯად აშსედარი მოლი  
და ყინეარწვერზე მზე დიდებული.

მოდის ენგურის აღმუილება,  
მთებში დამღნარი თოვლის ბრავილი,  
მზეში ატმების აყვავილება  
და ჯეჯილების ნიაღვარები.

გული ქარიშხალს შენაჭიდები  
სინათლით სავსე გრძნობით მაისობს,  
მოდის სიმღერა ტყიდან ჩიტების  
და ჩუმ ჭანდრების სიღარბაისლე.

მოდის ჩქრიალა ნაკადულები  
და გაზაფხულის დღეთა დიდება.  
მზიურ სიცოცხლის ძალა ულევი  
ძარღვიან მიწის მკერდში ღვივდება.

მოდის დიადი მხნე გაზაფხული,  
ახალ ცხოვრების აქოჩრილ გზაზე  
გაბრწყინვებული და არნახული  
მოდის ვაჟკაცი ფერსისხლით სავსე.

## ორთა მოგახირი მარსხარი

პირველ ქართველი მფრინავი ქალის  
ამზ. ნინა ხუბულავას წსოვნას.

სიკვდილი შავი და უეცარი  
შეხვდა გოგონას, ძალლონით სავსეს.  
ფრინავდა იგი როგორც მერცხალი,  
მოკრიალებულ საბჭოთა ცაზე.

იგი მგზნებარე იყო მარადის,  
გამბედაობის ცეცხლის მფლობელი,  
აიჭრებოდა ცაში ნავარდით  
მზიან დღეების მახარობელი.

მტკვრის ხეობაში მწვანე გორებთან  
გაიშლებოდა ნისლის ზეწარი,  
საქართველოს მთებს გადუქროლებდა  
მეგრელი გოგო—ჩვენი მერცხალი.

თვითმფრინავიდან სჩანდა ხეხილი,—  
ავლა-დიდება მიწის მუშისა.  
სურამის მკაცრი ულელტეხილი  
გადაულიახვს ბევრჯერ უშიშრად...

ველარ შეხედავს ფირუზის ზეცას  
და აეროდრომის მოქარგულ ბაღჩას.  
მოულოდნელად ფრთა მოსტყდა შერცხალს,  
ჩვენც მწუხარება გულებში ჩაგვრჩა.

კომქავშირელის სახე ბრწყინავდა,  
ცისფერთვალება, წაბლისფერ თმებით.  
მე თვითმფრინავთან ვნახე პირადად  
პილოტ გოგონას მამაცი დები.

მათი მნახველი ავმლერდი მეცა,—  
ვამბობ: ჰაერში თქვენც ავარდებით!  
გასჭრიან ფრთებით შორეულ ზეცას  
კავკასიელი ქორ-შევარდნები.

ქალიშვილები ვაჟკაცურ ძალით  
თვითმფრინავების დასძრავენ რაზებს,  
და სულ იფრენენ როგორც მერცხალნი,  
მოკრიალებულ საბჭოთა ცაზე.

# სურამი

მეორე ნაწილი \*)

პირველი თავი

I

უცნაური გაზაფხული დადგა. ხაშურის პირდაპირ მაღალ გორაზე ასულ კაცს მთელი ერთი საათი რომ ეთვალიერებია გარშემო მიდამო, ვერსად შეამჩნევდა გრძლად გაბაწრულ ყევრებს, ნასიმინდარების და ნაკაფის ბბჟუტავ კოცონებს და ჰაერში უწესრიგოდ გაფანტულ, ხოლო ალაგ-ალაგ სვეტებად ალმართულ ტყვიისფერ კვამლს.

ვერც ლირლიტას შორეულ ჭრიალს და ოროველას მოჰკრაცით სოფელში ყურს. თითქოს ღამე აყრილიყვნენ და მთებში შეხინულიყვნენ, საგაზაფხულო ხმაური აოსაიდან ისმოდა. სადღაც გაიჭრიალებდა ურემი და გაჩერდებოდა; სადღაც ნახირი ბლაოდა და სქელკისერა ხარები უსაქმოდ დაყიალობდენ.

\* \* \*

ბესარიონ ლობჟანიძე მთელი დღე იჯდა რაიონულ კომიტეტში, მაგრამ ახლა მისთვის არავის ეცაოდა. პირიქით, რაიონული კომიტეტი მოითხოვდა ელექტროფიკაციის სამუშაოებისაგან სწორედ იმას, რისთვისაც ლობჟანიძე აქ მოსულიყო.

ლობჟანიძეს ხალხი უნდოდა სურამის სამუშაოებისათვის. ისინი აქამდის უნდა ჩამოსულიყვნენ სოფლებიდან, მაგრამ ალარავინ ჩამოდიოდა. სრულებით არც ერთი კაცი არ ჩანდა. სამუშაოდ კი არა, კვირაობითაც ბაზარი ცალიერი იყო, გლეხები არც ყველისა და კვერცხის გასაყიდად იცლიდენ.

რაიონულ კომიტეტსაც ესაჭიროებოდა ხალხი... საჩქარო წესით სოფელში გასაგზავნად, სოფლისათვის დახმარების გასაწევად; იქ ახლა ისეთი ორომტრიალი ბობოქრობდა, რომ სურამი ვასთან სახსენებლადაც არ ღირდა.

\*) ამხ. გვასალიას „სურამი“ იბეჭდებოდა უურნალ „ახალგაზრდა მწერალში“, მოთხრობას ცალკე წიგნად სცემს სახელგამი. მეორე ნაწილის წინამდებარე თავი რომელიც იბეჭდება „ჩვენი თაობის“ პირველ ნომერში შეეხება საკოლმეურნეო მშენებლობას, 1930 წლის პერიოდს.

დასაწყისი იხილე უურნ. „ახალგაზრდა მწერალი“ № 6-7, № 8-9 1934 წ. და № 1-2 1935 წ.

რედ.

ლობჟანიძე ცეცხლმოკიდებული დარბოდა აღმასკომიდან კომიტეტში და კომიტეტიდან აღმასკომში, უკან დასდევდა გურჯიშვილი, გალინა და ოისები, — მაინც არაფერი გამოვიდა, სრულიად არაფერი. ხალხი არ იყო, მშენებლობა კი მოითხოვდა ხუთიათას კაცს. ბესარიონს ასი კაცი ძლიერ პყავდა, მთელი გეგმები და ნახაზები ლობჟანიძეს შეეძლო მოეხვეტა და საიმედო ალაგას შენახა.

ბესარიონმა ყველაფერი მოიმოქმედა. ტფილისში გაემგზავრა, იქიდას წარმომადგენლები საქართველოს რაიონებში გააგზავნა, ამრიგად სამასი კაცი შეაგროვა, ეს იყო და ეს.

ვერაფერმა გასჭრა. ბესარიონი კი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა, ასე უაზროდ შეეჩერებია მუშაობა.

— არა, ეს შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია, მშენებლობას ვერ გავაჩერებთ! — იძახოდა ბესარიონი ომახიანად, მაგრამ გამოსავალი მაინც ველარსად ნახა.

— თუკი მუშახელი არ იქნება, ისე, აბა, რას გააწყობ! — შესთავაზა პასუხი იოსებმა.

— ეს შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია. — იმეორებდა ბესარიონი მაგრამ ეს შეუძლებელი, ნამდვილ ხორცშესხმულ სინამდვილედ გადაიქცა და ლობჟანიძის ომახიანობას ფრთხები უმოწყალოდ შეამსხვრია.

— რა ვქნათ, მჭედლიძე თქვი, რა ვქნათ?! — ეუბნებოდა რაიონულ კომიტეტიდან დაბრუნებული ბესარიონი თავის შეგირდს, ენაგამშრალი და ალანძული.

მჭედლიძეს რა უნდა ეთქვა?! შეწუხდა და მხრები აიჩეჩა. დალონებული თვალები გადროატრიალა და ტუჩები მოკუმა.

\* \* \*

— ალექსი მჭედლიძე!! — დაიძახა ფოსტალიონმა და ჩანთიდან შესხვილი პაკეტი ამოიღო. მჭედლიძე მივარდა: მან იცოდა, ეს ვერიასაგან იქნებოდა; მართლაც ასე გაძოდება.

ხელი უკანკალებდა. გახსნა, უცნაური ხელნაწერი იყო, დაბლაჯნილი: სწორედ ისე, როგორც ქალალზე ტალახში გასვრილი წიწილები გადაატარო, ორჯერ წაიკითხა და რეტდასხმული, რომ არ წაქცეულიყო, იქვე ქვაზე ჩამოჯდა.

ბესარიონი მოვიდა, რაღაცა უთხრა და საჩქაროდ განშორდა, მაგრამ მჭედლიძეს არაფერი გაუგონია.

ცოტა რომ შოსულიერდა, თვალებს არ დაუჯერა და ახლა მესამედ ჩაიკითხა. ვერია სწერდა, თვითონ თავის ხელით სწერდა:

„ამ ბარათს თვითონ მე ვწერ, მასწავლა გაჭივრებამ, ახლა ყველაფერს გეტქვი, რაც ჩემს გულსა სწვავს და მატირებს. მრცხვენოდა, სხვათა გოგოს როგორ დავაწერინებდი ამაქტს. ვაიმე, ჩემო ალექსი, დავილუპეი. და ეს, ალაზათ, უკანასკნელი წერილი იქნება შენთანა. მეტ ბარათს ჩემგან ვერ მიიღებ, ვერც თვალითა მნახავ. ჩემი სიკვდილი იყოს, ჩემი თვალების დავსებაი და შენი გახარებაი,

შენი გულის გახარებაი; ვენაცვალე მე შენს გულს, ბიჭო! მითხრეს, დიდი კაცი გამხდარხარ და მე კი დამივიწყეი, დამაგდე ზოგიერთასავით, გულმოკლული და სიცოცხლეგამწარებული. რაღაც ჩემი სიცოცხლე შენს შემდეგ, მაგრამ რა უშავს, შენ გაიხარე, შენ კი გენაცვალოს ვერიას თავი, და გინდა მე გამეხაროს, სა-თვალავში ისე ჩავაგდებ.

ასლა მე ჩემი უბედურება უნდა გაუწყო. მიხომ გირადა, გიცადა, შენზე დიდი ნაწყენია. თავი დამალოცია, მე ხომ ყეინი არ ვიყავიო. მერე ახლოსაც არ გამექარაო, ახლა შილოკაძის ბიჭზე მათხოვებს. ვაიმე, ჩემო ალექსი, დავი-ლუპეი. ჩე უშენობით საით მეცხოვრება? ამიტომ ჩამოდი, ეგრემც ვერია დაგე-ნაცვლება.

მე კი საშველი არ მამცა შილოკაძის ბიჭმა და ესეც არის დამლუპა. მე შენი ვიყავი და, ვაიმე, ვისი გავხდი. ნუ ალექსი, მე ნუ მსპობ აგრე განუკით-ხავად, ჩამოდი, თუ არა და მე ჩემს თავს მოუხერხებ რამე... ძალს კი ცოცხალი არ შევიჭმევინები... მაშინ, ვიცი, ჩამოხვალ, მაგრამ მე ვერაფერს გევიგებ და ასეთი ჩამოსვლა რად მინდა, მეტი არაფერი“.

ალექსიმ ქალალდი ორად დაკეცა და შემდეგ მუჭში ჩაიმწყვდია, საჩქაროდ ისევ ვაშალა და ახლა წერილის ბოლოს რიცხვი ამოიკითხა, ორი თვის წინათ იყო ნაწერი. ალბათ შილოკაძეს ბიჭმა თუ გააჩერებია ფოსტაში... ალექსი მშე-ნებლობისაკენ გაიქცა, მას ახლა უნდოდა ბესარიონი. გუშინ, გუშინწინ, ასე მწველად და ყველაფერის დამჯარავად, ის არ განიცდიდა ვერიას სიყვარულს, მას გული საგულეს ჰქონდა, ვერია თავისად ეგულებოდა. ახლა ალექსი გადა-რბოდა ლიანდაგებს. განიერ თხრილებზე მიტოდა. წინ ვიღაც შავი მუშა შე-მოეფეთა, ჰქითხა, იმანაც ძლივს მოახერხა პასუხი:

— ოსრ ხარ და არ იცი, სენი წირიმე, რა ლაპარაკობ.

ქვესადგურებთანაც ვერ იპოვა, ვერც სასადილოში; შემდეგ გაიგო, ლობ-უანიძე ტფილისში გამგზავრებულიყო, ახლა კი მიხვდა, თუ რას ეუბნებოდა ბე-სარიონი, ალექსი რეტდასხმული რომ იჯდა ქვაზე.

რატომ ის ფოსტალიონი მაინც არ გალახა? იქნებ იმის ბრალიც იყო წე-რილის დაგვიანება, მაგრამ ამას მოესწრება! მხოლოდ ვერიას შეიძლება ვერ მოუსწროს, ამიტომ ალექსი არავის შეეკითხება, ისე გაემგზავრება ამაღამვე, მაგრამ ფულიც აღებული არ აქვს... ბაბუციძე შემოეფეთა, სხვა პირობებში ის ვერც გაბედავდა იოსებთან გამოლაპარაკებას, გაჭირებამ ყველაფერი ჩა-აღენია:

— მე თქვენთან მუშაობა არ მინდა, იოსებ, ამაღამვე უნდა წავიდე სო-ფელში!—გადაუჭრა გზა ალექსიმ ინუენერს. ბაბუციძემ გაოცებით შემოხედა და გაიცინა:

— ხუმრობ ხომ?! ბედდამწვარო ყმაწვილო!

— არა, მაგის გუნებაზე არა ვარ. უნდა ახლავე გამანთავისუფლო!

იოსებმა შეამჩნია, მჭედლიძეს კაცის ფერი არ ედო და დაინტერესდა:

— რა მოგივიდა, რაშია საქმე?!

— ამის მოყოლა შორს წამიყვანს. უნდა გამიშვა, აპა წერილი!

იოსებმა ჩაიკითხა და აღტაცებაში მოვიდა. რამდენიმეჯერ გადაიხარხარა, შემდეგ გაიოცა:

— ბიჭის, ეს ორი თვის წინაა დაწერილი! საწყალი ბიჭი! მე ვერ გაგი-შვებ, დილამდის მაინც მოიცადე, ბესარიონი ჩამოვა! რად უნდოდა ახლა ალექსის იოსების რჩევა დილამდის მოიცადეო, ამას უიმისოდაც გააკეთებდა. ბაბუციძე იდგა და იცინოდა, თან ახველებდა. შემდეგ, ერთხელ კიდევ ურჩია: — საქმე მაინც წამხდარია, ბესარიონს მაინც მოუცადე!..

ბესარიონი ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა და მჭედლიძეს განთავისუფლებაზე უარი უთხრა, მაშინ გაცეცხლებულმა ალექსიმ პირველად დაუყვირა თავის ისტატს:

— ახლავე გამათავისუფლე აქედან, თორემ მე თვითონ წავალ!

— წახვალ და სოფსაბჭოს მივწერთ, უკანვე გამოგიწვევთ! — შეაგება გაჯავ-რებულმა ლობურიძემ.

— სოფსაბჭოს მაგის უფლება არ აქვს!

— არ გაგიშვებთ, ალექსი, ახლა ხომ იცი, როგორ გვიჭირს, ხალხი არ გვყავს!

— ვიცი, მაგრამ მეც მიჭირს!

ბესარიონი გაჩუმდა და ჩაფიქრდა, შემდეგ თავიც ჩალუნა და მაგიდაზე გაფიტრებული თითები ააწეარუნა, რამდენიმე ხანი იყო ასე და მერე გადა-წყვიტა:

— რახან ასეა, ერთი თვის შვებულებას გაძლევ!

ალექსის გაეცინა, იფიქრა, ერთი თვე გამიშვას და მერე მდიოს და მე-ძიოსო. ანგარიშები გაასწორა; ალექსის ჯერ არ შეეძლო ამ ფულით უღელი ხარიც ეყიდა, ქოხიც დაედგა და ეცხოვრა თავისთვის ვერიასთან, ეფრემის ნა-მოსახლარში, მაგრამ ეგ არაფერი, უმთავრესი იყო, მარტო ვერიასათვის ჩაეს-წრო, დანარჩენი მოეწყობოდა.

იმავ საღამოს თხინარას მოაშურა, უმოკლესი გზით წამოვიდა, სურამე-ლას ფეხით გადაცურვა მოუხდა, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა, ეკლიან ჩირ-გვებში და ჯაგებში გაძერა, ახლა სურამი გურიეად წავიდა უკან, ხოლო გო-რის სერები თვალსაჩენი შეიქნა. ქვევით კასპამდე მთელი ველი გადაიშალა, შემდეგ ტირიფონის არხის შორეული ხაზიც გამოჩნდა და გორი-ცხინვალის თემშარაზე ავტოს აყნებული კორიანტელი შეამჩნა.

აგერ თხინარა, ვაშლის ბალები, კუდწაგრძელებული კაჭკაჭები. ძალები ყეფენ სად წავიდეს ალექსი, მიხოსთან? არა, ეს შეუძლებელია, მიხო ახლა მისი მოსისხლე მტერია, თავის ქოხში? რისთვის, იქ არ შეიძლება. გაჩერდა და დიდხანს ჩაყურებდა მიწას. შემდეგ თავჩალუნულმა გააბიჯა ისე, რომ არ იკო-და, საით მიდიოდა. წინაუბნელი პატარა ბიჭი შემოეფეთა, დაუძახა, მიუა-ლერსა და ყველაფერი გამოპყითხა:

— შილოკაძემ იქეიფა?

— არა, ახლა რა აქვთ საქეიფო, მათ ძალიან ეშინიათ!

— მიხომ იქეითა?

— არა!

ვერიას შესახებ უსაშველო საკითხავი ენაზე ადგა, მაგრამ შერცხვა, ძლიერ აზრი დაუბრუნდა და შუბლზე ხელი მოისეა. ქული მოიხადა და ოფლი შეიწმინდა.

— იცი, ალექსი, ეკლესიდან ზარი ჩამოსხნეს და ჩვენს სკოლაში ჩამოკიდეს! — უთხრა პატარა ბიჭმა, რადგან ეგონა, ალექსის ესეც აინტერესებდა.

— ვიცი! — უპასუხა ალექსიმ, შემდეგ შილოკაძის ეზოს თვალიერება უწყო, ვერია ხომ არ იყო იქ? — ვერაფერი შეამჩნია, ახლო მეზობლის ეზოსკენ გადაუხვია.

— ოო, ალექსი! როგორ ხარ, როდის, საიდან! — გამოეფინენ ეზოში მეზობლები, მაგრამ ალექსის უსაშველო საკითხავი ენაზე ეყრა. ჩქარა დრო იშოგა და თავის ძევლი ტოლი მიიმწყვდია:

— ვერიას ქორწილში იქეიფეთ?

— არა! — გაოცდა ყმაწვილი, — როგორ, ხომ არ გათხოვდა?!

— შე კაი კაცო, აქეთ მეკითხები?!

— მე არაფერი ვიცი, გუშინ ნახირს მირეკავდა, ჩემი თვალებით ვნახეი!..

\* \* \*

შეხედე შენ მაგ ვერიას! რამდენი უშმაქობა შესძლებია. ეს წერილიც ალექსის ჩამოსატყუებლად დაწერა თურმე. განზრახ რიცხვიც ძევლი დაუსვამს. მიხო ხარხარებს, ვერია ბროწეულის ყვავილივით გაწითლებულია, თავსაფარი ჩამოფხატნია და კერიასთან ზის. ალექსი კი ისე ჭირქილებს, კაცი ვერ გაიგებს, ტირის თუ იცინის.

— მოხვედი, ჩვენო ალექსი, მოხვედი, ახლა მოზერები რომ იყიდო გაისად პატარა საქმეს მოკიდებს კაცი ხელს.

ალექსის აღარ უნდა ილაპარაკოს სოფელზე და თავის გაჭირვება კი შემდეგისათვის გადასდომს:

— შილოკაძეები რას ამბობენ, მართლა ხომ არაფერი შემოუთვლია იშბიჭს ვერიას თაობაზე?

— რა უნდა თქვან! თუ მართლა ეგრე წავიდა საქმე სოფელში, როგორც ამბობენ, შილიკაძეებს აქედან გაასახლებენ. თურმე სხვა სოფელშიც ეგრე მოქცეულან. იმ დღეს ეზოში ვიჯევი, ეერია ვაშლებს სხლავდა, ურმით ოსმა ჩამოიარა და ამბავიც მოგვიტანა: „თქვენი ჭირიმე, სოფლელებო, გულს ნუ გაიტეხთ, მე სულ მართალს ვამბობ, ჩქარა ქალაქებიდან კაცი ცხენით წამოვა, თქვენს სოფელში კოლექტივს ჩამოიტანი, მდიდრებს ყველაფერს წართმევენ, კიდევაც ნაობახტში ჩასვამენ... ვაა, რა ხალხია ეს კომუნისტები! — და ახლა მთელი სოფელი ამ ცხენოსანის მოლოდინშია! — გადააგდო მიხომ ისევ საუბარი იმაზე, რაც ახლა მთელს სოფელს აინტერესებდა, გაგულისებულმა მჭედლი-ძემ არაფერი უთხოა, მაშინ მიხომ სიტყვა გააგრძელა:

— რა მოგივიდა, რაშია საქმე?!

— ამის მოყოლა შორს წამიყვანს. უნდა გამიშვა, აპა წერილი!

იოსებმა ჩაიკითხა და აღტაცებაში მოვიდა. რამდენიმეჯერ გადაიხარხარა, შემდეგ გაიოცა:

— ბიჭოს, ეს ორი თვის წინაა დაწერილი! საწყალი ბიჭი! მე ვერ გაგი-შვებ, დილამდის მაინც მოიცადე, ბესარიონი ჩამოვა! რად უნდოდა ახლა ალექსის იოსების ჩრევა დილამდის მოიცადეო, ამას უიმისოდაც გააკეთებდა. ბაბუციძე იდგა და იცინოდა, თან ახველებდა. შემდეგ, ერთხელ კიდევ ურჩია: — საქმე მაინც წამხდარია, ბესარიონს მაინც მოუცადე!..

ბესარიონი ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა და მჭერილის განთავისუფლებაზე უარი უთხრა, მაშინ გაცეცხლებულმა ალექსიმ პირველად დაუყვირა თავის სატატა:

— ახლავე გამათავისუფლე აქედან, თორემ მე თვითონ წავალ!

— წახვალ და სოფსაბჭოს მივწერთ, უკანვე გამოგიწვევთ! — შეაგება გაჯავ-რებულმა ლობჟანიძემ.

— სოფსაბჭოს მაგის უფლება არ აქვა!

— არ გაგიშვებთ, ალექსი, ახლა ხომ იცი, როგორ გვიჭირს, ხალხი არ გვყავს!

— ვიცი, მაგრამ მეც მიჭირს!

ბესარიონი გაჩუმდა და ჩაფიქრდა, შემდეგ თავიც ჩალუნა და მაგიდაზე გაფითრებული თითები ააწეარუნა, რამდენიმე ხანი იყო ასე და მერე გადა-წყვიტა:

— რახან ასეა, ერთი თვის შვებულებას გაძლევ!

ალექსის გაეცინა, იფიქრა, ერთი თვე გამიშვას და მერე მდიოს და მე-ძიოსო. ანგარიშები გაასწორა; ალექსის ჯერ არ შეეძლო ამ ფულით ულელი ხარიც ეყიდა, ქოხიც დაედგა და ეცხოვრა თავისთვის ვერიასთან, ეფრემის ნა-მოსახლარში, მაგრამ ეგ არაფერი, უმთავრესი იყო, მარტო ვერიასათვის ჩაეს-წრო, დანარჩენი მოწყობოდა.

იმავ საღამოს თხინარას მოაშურა, უმოკლესი გზით წამოვიდა, სურამე-ლას ფეხით გადაცურვა მოუხდა, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა, ეკლიან ჩირ-გვებში და ჯაგებში გაძვრა, ახლა სურამი გურიუად წავიდა უკან, ხოლო გო-რის სერები თვალსაჩენი შეიქნა. ქვევით კასპამდე მთელი ველი გადაიშალა, შემდეგ ტირიფონის არხის შორეული ხაზიც გამოჩნდა და გორი-ცხინვალის თემშარაზე ავტოს. აყენებული კორიანტელი შეამჩნია.

აგერ თხინარა, ვამლის ბაღები, კუდწაგრძელებული კაჭკეშები. ძალები უფენ სად წავიდეს ალექსი, მიხოსთან? არა, ეს შეუძლებელია, მიხო ახლა მისი მოსისსლე მტერია, თავის ქოხში? რისთვის, იქ არ შეიძლება. გაჩერდა და დიღხანს ჩაყურებდა მიწას. შემდეგ თავჩალუნულმა გააბიჯა ისე, რომ არ იკო-და, საით მიდიოდა. წინაუბნელი პატარა ბიჭი შემოეფეთა, დაუძახა, მიუა-ლერსა და ცველაფერი გამოჰქითხა:

— შილოკაძემ იქეითა?

— არა, ახლა რა აქვთ საქეიფო, მათ ძალიან ეშინიათ!

— მიხომ იქეიფა?

— არა!

ვერიას შესახებ უსაშეელო საკითხავი ენაზე ადგა, მაგრამ შერცხვა, ძლიერ აზრი დაუბრუნდა და შუბლზე ხელი მოისვა. ქული მოიხადა და ოფლი შეიწმინდა.

— იცი, ალექსი, ეკლესიიდან ზარი ჩამოსხენს და ჩვენს სკოლაში ჩამოკიდეს! — უთხრა პატარა ბიჭმა, რაღაც ეგონა, ალექსის ესეც აინტერესებდა.

— ვიცი! — უბასუხა ალექსიმ, შემდეგ შილოკაძის ეზოს თვალიერება უწყო, ვერია ხომ არ იყო იქ? — ვერაფერი შეამჩნია, ახლო მეზობლის ეზოსკენ გადაუხვია.

— ოო, ალექსი! როგორ ხარ, როდის, საიდან! — გამოეფინენ ეზოში მეზობლები, მაგრამ ალექსის უსაშეელო საკითხავი ენაზე უკერა. ჩეარა დრო იშოგა და თავის ძელი ტოლი მიიმწყვდია:

— ვერიას ქორწილში იქეიფეთ?

— არა! — გაოცდა ყმაწვილი, — როგორ, ხომ არ გათხოვდა?!

— შე კაი კაცო, აქეთ მეყითხები?!

— მე არაფერი ვიცი, გუშინ ნახირს მირეკავდა, ჩემი თვალებით ვნახეი!..

\* \* \*

შეხედე შენ მაგ ვერიას! რამდენი უშმაკობა შესძლებია. ეს წერილიც ალექსის ჩამოსატყუებლად დაწერა თურმე. განზრახ რიცხვიც ძელი დაუსვამს. შიხო ხარხარებს, ვერია ბროწეულის ყვავილივით გაწითლებულია, თავსაფარი ჩამოფხატნია და კერიასთან ზის, ალექსი კი ისე ქირქილებს, კაცი ვერ გაიგებს, ტირის თუ იცინის.

— მოხვედი, ჩენო ალექსი, მოხვედი, ახლა მოზვრები რომ იყიდო გაისად პატარა საქმეს მოკიდებს კაცი ხელს.

ალექსის აღარ უნდა ილაპარაკოს სოფელზე და თავის გაჭირვება კი შემდეგისათვის გადასდომს:

— შილოკაძეები რას ამბობენ, მართლა ხომ არაფერი შემოუთვლია იმ ბიჭს ვერიას თაობაზე?

— რა უნდა თქვან! თუ მართლა ეგრე წავიდა საქმე სოფელში, როგორც ამბობენ, შილიკაძეებს აქედან გაასახლებენ. თურმე სხვა სოფელშიც ეგრე მოქაცეულან. იმ დღეს ეზოში ვიჯეტი, ერია ვაშლებს სხლავდა, ურმით ისმა ჩამოიარა და ამბავიც მოგვიტანა: „თქვენი ქირიმე, სოფლელებო, გულს ნუ გაიტეხთ, მე სულ მართალს ვამბობ, ჩეარა ქალაქებიდან კაცი ცხენით წამოვა, თქვენს სოფელშიც კოლექტივს ჩამოიტანს, მდიდრებს ყველაფერს წაართმევენ, კიდევაც ნაობახტში ჩასვამენ... ვაა, რა ხალხია ეს კომუნისტები! — და ახლა მთელი სოფელი ამ ცხენოსანის მოლოდინშია! — გადააგდო მიხომ ისევ საუბარი იმაზე, რაც ახლა მთელს სოფელს აინტერესებდა, გაგულისებულმა მჟედლი-ძემ არაფერი უთხოა, მაშინ მიხომ სიტყვა გააგრძელა:

— მიხო, შილოკაძის ბიჭია თუ შემოგითვალა რამ ვერიაზე! — გაახსენათავისი კითხვა ალექსიმ. გუთნისდედა გაჩუმდა და მჭედლიძე მიუხვდა საქმე: არც დაწყობილად იყო; ვერიამ უფრო ჩალუნა თავი და წყვილი ცრემლიც გამოაპარა.

— კი შემომითვალა! — გაბედა მიხომ, — მაგრამ მე შემოდგომამდე გაღა- ვუდევი! — და ამ საშინელ უხერხულობიდან თავი რომ დაეხტია საუბარი უფრო შორს, ცხრაას ხუთის რევოლუციაზე გადაიტანა:

ის ლაპარაკობდა, წამოზრდილი წვერ-ულვაში საუბრის დროს ბაგეებზე ედებოდა და ალექსი ამ ულვაშს უფრო აქცევდა ყურადღებას, ვინემ საუბარს, ამიტომ მიხოს მოგონებებიდან ბევრი არაფერი გაუყარა.

ცხრაას ხუთში მიხო იარალით ხელში გამოვიდა, ხმამალლა ყვიროდა, ჩაფ- რებს აგინებდა. ამისთვის ის დაიჭირეს და სცემეს. როგორ დაუნაყეს ცხვირ- პირი, როგორ გადაურჩა ნაობახტის ვირთაგვებს, სოროს ჭიებს და ობობებს. „მაინც ეგ ვერანა სიკვდილი არავის საშველს არ დააყრის ქვეყანაზე, მის ნაფე- ხურსაც კი მოშლის და წარხოვავს“. მიხომ ესიცოდა და არ ეშინოდა, სულ ეშინოდა.

აფორიაქებული საუბარი რომ გაათავა და ამით ალექსასთან ბოლიშიც მოიხადა, კარგა ხანს სამთავენი ჩუმად იყვნენ.

— შილოკაძეებს შართლა გადაასახლებენ?

— გადაასახლებენ! — უპასუხა მიხომ და გაიცინა, თითქოს ამით ალექსის- გულის მოგება სდომებოდეს, ცოტა ხნის შემდეგ კი დაუმატა: — იქნება დაიჭი- რონ კიდეც და ნაობახტში ჩასვან, მაშ! — თან გადიხარხარა.

— იმას ხომ ხარები ჰყავს!

— ჩვენ დაგვრჩება! გაწყდეს მაგათი სინსილა, — აბა როგორ იქნება!

## II

შესრულდა ალექსის წლობით ნაფიქრალი. მას ექნება საკუთარი კე- რია და ეყოლება ხარები. შილოკაძეს გადაასახლებენ აქედან, აბა რა ეგონა შილოკაძესა?

თავაღებულ ფიქრებში წაეიდა ის დღეები... ყოველივე საჩქაროდ დატ- რიალდა და გათავდა. იმ დღეს ჩამოვიდენ: მიხოს ქოხის კარები ლონიკრალ გაიღო და კედელს მიეხეთქა: ქოხიდან ალექსი გამოვარდა. ძალები ყეფდენ- ორლობებზე გლეხები გაღმომდგარიყვნენ, მოღიოდა უცნობი ცხენოსანი და მას- გვერდით მიხო მოპყვებოდა. მჭედლიძე გაიქცა და ლობეს მიაწყდა.

ვერც მჭედლიძემ მოახერხა სიტყვის ამოღება, ცხენოსანი დაქვეითებული- ყო, მარჯვენა ხელით ალექსი ჰქონდა მოზიდული.

ეს მიხო რამ გამოსულელა? ალექსი მჭედლიძე გვერდით უდგას, სტუმარს- შიგ თვალებში ჩაჰყურებს, მიხო კი არ აცნობს; აგერ თხინარელები მოჯგუფ- დენ, მაშინ მან გაიცინა.

— ხალხო, როგორ შევყაროთ სოფელი!!.

— ზარს დავრეკავ, — დაიყვირა ალექსიმ და სკოლისაკენ გაიქცა.

თხინარამ იცოდა, რომ ქალაქიდან ახალი ამბები ჩამოიტანეს, ამიტომ ზარის ხმაზე წყობით საქართველო მოდიოდენ ქალები და ბავშვები. პატარა ბიჭუნები და გოგონები ისხდენ ჩალის ცხენებზე და შარაზე დაუზოგავად მოაჭერდენ, მსუქან ფეხებს არ არიდებდენ გამხმარ ტალახს და გოროხს. ბობოქარი წყებებით გაიცხო მინდორი და მოუთმენელი ყაყანი ატყდა. ძველი დანჯლრეული მაგიდა გამოიტანეს, ხალხი არ წყნარდებოდა.

რადგან ზარი არ ჰქონდათ, მოვლენილმა ათროთოლებული ხელით მაგიდაზე სამჯერ დაპკრა, სამჯერვე ძლიერი ჭახანი გაისმა და თხინარა დაშოშმინდა. ამ დროს ალექსიც მოვიდა, მაშინ მას მოვლენილმა რალაც გადაუჩურჩურდა და შემდეგ ხმამალლადაც უთხრა:

— ყოჩალ, შენზე ბევრი რამე მითხრეს! აი, უბის წიგნაკში ჩაგწერე, გამგეობაში უნდა გაგიყვანოთ.

ალექსიმ ზედიზედ ნერწყვი გადაყლაპა, მას სირბილისაგან ფილტვები ყელზე აღებოდა და ძლიერ წამოიხრიალა:

— მაღლობელი, ბატონო, ღარიბი კაცი ვარ, ეგ ოხერი!..

— ჰო, ყოფილხარ, მითხრეს! — უპასუხა სრულიად დამშვიდებულმა სტუმარმა და დაიწყო ის უცნაურობა, რომელსაც ეს არის უძილოდ მოელოდენ თხინარელები. ალექსი ცქმუტავდა, ერთ ადგილს ველარ იცდიდა, სწორედ ისე, როგორც ქორწილში დაუპატიუებლებს მოსდით ხოლმე, მოვლენილი მაგიდას დაყყრდნო და წარმოსთქვა:

— გთხოვთ, შაქსილებმა დაგვტოვოთ!.. — და მაშინვე მოაყოლა:

— აქ ახლა მარტო ღარიბები დარჩეს, დანარჩენებიც, საშუალო გლეხებიც ცოტახან განზე დადექით!

\* \* \*

და აი. ბოლოს, როგორც იყო, მჭედლიძისათვის გათენდა სანეტარო დილა. ალექსი ლოგინიდან წამოხტა, თვალები ამოიფშვნიტა, იმის გასაგაბად, გაგარეთ სინათლე იყო თუ არა, კარი გამოალო.

სოფელი სამუშაოდ უნდა გამოსულიყო. მოდიოდა პირველი დღე, როდესაც ერთად იმუშავებდნენ და ყველას გაურკვეველი გრძნობა იპყრობდა.

ბიბინებდა შემოღომის ჯეჯილი და ველებზე სიმწვანე კიაფობდა. გადაშავებული ანულები ზოლებად მოყვებოდენ დაღმართს. ნაწვერალები და ნასიმინდარები გუთნეულებს ელოდენ. ჯერ ადრე გაზაფხული იყო და მინდვრებზე მხოლოდ ლრმა ორმოებში ჩარჩენილი თოვლი აქა-იქ კიაფობდა. ასეთ დროს ქართლი საამო სურნელებას უშვებს, გაზაფხულის პირველ ანაორთქლს, თვალგახელილი ბაიები პირველი ცვარით იბანენ ნორჩ ფრთებს.

ზარის ხმაზე გლეხები შუაუბანში შეიკრიბენ: იცოდნენ, რომ პირველ დღესვე სამუშაოდ ოციოდე კომლი თუ გამოვიდოდა, მაგრამ ამით ალექსი გულს არ იტეხდა:

მიხო შუა ადგილას ჩამდგარიყო და ქადაგობდა:

— წავიდეთ, ხალხნო, მაგათ რას უყურებთ, დე, ნულარ მოვლენ!.. გა-  
მოიტათ გუთნები, მჭედლიძე, ყვეარები შეაბი. გუთნისდედა სადაა... ააა, ერთი  
გულით ვიმუშაოთ, რა ხანია მინდვრად არ გავსულვარ!..

ამ დროს მოვიდა მომაგრებული მჭედლიძეს მიუახლოვდა და რაღაც  
უთხრა, მჭედლიძემაც ამის საპასუხოდ სოფელს გადასცა.

— ხალხნო, ცულები და ხერხები მოარბენიეთ! საზღვრებზე დარგული სა-  
ფიჩხე ხეები უნდა მოვჩეხოთ... ააა, ჩქარა!

— რას მიქვარავ, ბიჭო, ხერხი კი არა, სანამ დაუქიქინებდეს და მიწას  
გააშრობდეს, ჩვენ თესვა უნდა მოვასწროთ, ხეები საით გაგვექცევიან, დღეს გუ-  
თანი უნდა შევაბათ! — შეუტია მიხომ, რომელიც წელან ხალხს სამუშაოდ აქე-  
ზებდა.

სტუმარმა მოთმინებით მოისმინა მიხოს აზრი და შემდეგ თავისი აზრიც  
გამოსთქვა:

— ამხანაგებო, მე ვიცი, რომ კარალეთშიც ჯერ საზღვრები მოსპეს. სა-  
ზღვრებს რომ გავჩეხავთ, მერე უფრო მტკიცე იქნება ჩვენი კავშირი.

— გაჩეხვას შემდეგაც მოვასწრობთ, შენ სხვა რამე შითხარ, თორემა,  
გაჩეხვას ვერ მოვასწრობთ?! — ამტკიცებდა გაჯიუტებული შიხო.

— მიხო, პირში გეტყვი, შენი აი რატომ ქაქანობ ძალიანა, გეშინია შვი-  
ლოსან, პირველად შენი საზღვრები არ გასჩეხონ, — შეუტია მაშინ ალექსიმ.

— რა-ო! — წამოიძახა გაჯავრებულმა მიხომ — ახლავე მივდივარ და მე  
თვითონ ვჩეხავ საზღვრებს, ახლავე! — ყვიროდა მიხო.

და კოტა ხანში გვერდჩათლილი ალვის ხეები თრთოდენ, უმოძრაო გაყი-  
ნული ჰაერი თითქოს წონასწორობას უნარჩუნებდა, შეშინებული ბეღურები  
ტოტებიდან მოწყდენ და გადაკიკრევენ; ხე შეირხა, შეზანზარდა ალმაცერად,  
გადაქანდა და ფოთლების შეუილით დაეცა. ტირიფის ხის უკანასკნელი ძარღვი  
წიებილით გაწყდა და მეტობელს ზემოდან დააწყება: ხერხს, როგორც ლერლილი  
დოლაბს, ნახერხი გაჭერნდა და გამოჭერნდა, ლონივრად სცემდენ ცულებს...  
ესეც მიხოს მშვენიერი ბალის საზღვრებზე მორჩენ ყველაფერს... გაჩეხს, მიწას-  
თან გაასწორეს... მეორე დილით მჭედლიძის ნამოსახლარს მოადგენ.

მთელი ერთი კვირა სჩეხეს ასე საზღვრები, მხოლოდ ფიჩხების ცალკე შე-  
კვრა, წკნელის და მესრების აკაფვა ველარ მოასწრეს. ახლა უფრო გვიან და  
გვიან გამოდიოდენ სამუშაოდ... გუთნისდედა მიხოც ცუდ გუნებაზე იყო...

### III

სოფელში ერთი ამბავი იყო, ვიღაცებს აპატიმრებდენ, თვითონ მოვლე-  
ნილს პარტიიდან რიცხავდენ. დამახიჯებას გადაჭრით ასწორებდენ. კრებებზე  
ამუშავებდენ ამხანაგ სტალინის წერილს. მთელმა თხინარამ წაიკითხა: თავ-  
ბრუდახვევა მიღწევებისაგან“. დაფანტული ძალები კვლავ თავს იყრიდა და  
ებმებოდა საკოლმეურნეო მოძრაობის ფერხულში. შილოკაძის შემოჩენილი ხალს  
ხი იაპოვეს, მაგრამ ალექსი იჯდა ფიქრებში გართული და ქალამნის თასმებს  
ისწორებდა.

— რაღა ვქნა ახლა მე, ა?!

იჯდა, თითქოს სიცივისიგან მოკუული, თავის ქოხის მოშორებით, უკან,  
ძელქვაზე და გაპყურებდა გრძელ შარას სოფლის წინა, შუა და უკანა უბანს

ერთმანეთთან რომ აერთებდა. ის თითქოს პირველად ამჩნევდა გზისაგან გამოყოფილ პატარა ბილიკებს და შუკებს კიბორჩხალის კიდურებივით რომ იყო სახლებსა და ეზოებს ჩაჭიდებული.

მის ნამოსახლარისაკენ გამოშვერილ ბილიკს კი ანწლი და უვერი პფარაფა და, ეზოს ღობე შემოცრეცოდა, ხოლო ქოხში კაცს არ შეესვლებოდა. ახლა ალექსი რომ აქ იჯდა და ხანდახან თვალს საცხოვრებლისაკენ გადააპარებდა, ამაზრზენ სანახაობას ხედავდა: ბოყვებში უშველებელი მწვანე ხელიკები ბუღობდენ, მხურვალე მზეს მუცელს უფიცხებდენ, ჩხუბობდენ, სჭამდენ ერთმანეთს, ან თვალებდაწკურულნი ნებივრობდენ, ცხრებოდენ.

ალექსი მათ ყურადღებას არ აქცევდა, ისინი კი ხანდახან წიოდენ, უცნაურად ჩალის ლერს ახმაურებდენ, დასდევდენ ერთმანეთს, ლალობდენ.

ალექსი გაძყურებდა შუკებს ისე დაშვიდებული, თითქოს ეს არის წყვილი მოზევერი ეყიდნოს, სახლიც დაედგას. და შუკაზე მომავალ დაგვიანებულ ხარებს თვალით დაეძებსო.

შუაუბნიდან მოსჩანდა კოშკის ნანგრევები, ეკლესიის გუმბათი და ასწლოვანი მუხა, რომელსაც ირგვლივ ტოტებივით შემოსხმია უცნაურად დახორკლილი და დაგრეხილი ფესვები.

ქართლის სოფელში თითქმის ყოველგან უნახავს ალექსის სწორედ ასეთივე კოშკი, ეკლესია და მუხა... მაშასადამე მას ყველგან სოფელი აგებდა, საერთო ძალით და ლონით.

ალექსიმ შეხედა ქოხს... თუ სოფელი მოინდომებდა, ხომ შეეძლო მისთვისაც გაეშენებია საცხოვრებელი?.. გულიანად გაეცინა.

და აი, ასე, სრულიად უბრალოდ, ალექსი მიხვდა, რომ გათავდა, რომ მისი საშველი თხინარაში ალარ იქნება...

ყველაფერი თავის რიგზე! ვაშლის ბალებში დაფრინავენ კუდწაგრძელებული კაჭკაჭები, სადლაც ნაგაზი ყეფს, ბოლი სვეტივით ამართულა და ირწევა, ხოლო ალექსის საქმე გათავდა...

და ეს შარები და ბილიკები კი არ არის, უშველებელი მსახვრალი ხელია; თხინარას უკეთურად ჩაჭიდებული, ეს ქოხი არ არის, ეს ჯოჯო, ჯოჯო! შავი და უნამუსო, ბინძური, შუა ეზოზე დამხობილი და აფოფრილი.

ტყუილა ოცნებობდა ალექსი, განა აქ კაცი გაიხარებს? განა ღირდა ამდენ წვალებად? დაწყევლილი იყავ ჯოჯოვ! ბინძურო, უნამუსოვ! ცეცხლიც წაგეიდებია!

რა უნდოდა ალექსის? რა უნდოდა, რა?! რისთვის მუშაობდა, კაპეიკს კაპეიკზე აწებებდა, ლამის სიცოცხლე სურამზე დატოვა, ნიველირმა, წერაქვმა, ბარმა და ლომმა სული ამოჭხადა, ეკალმა თვალები ამოსთხარა; ხარი უნდოდა ეყიდნა, დედა თბილი კაბით შეემოსა და ქოხი გადაეხურა. რა უსაშველო გახდა ყველაფერი, დიდი რამეა ვითომ ეს? რა გაჭირდა? რა მუხთალი ყოფილა სოა ფელი, ხედავ?

— ვახ, ჩემო თავო! მამის დარგული ხეები გავაჩეხიე! — აღმოხდა ალექსის და ყელზე ძარღვები სისხლით გაებერა...

განა დიღი რამეა ქოხი გადახურო, დედა შემოსო, ვინც გიყვარს შეირთო  
და იცხოვრო, განა ვინმეს უნდა შურდეს ეს, განა ალექსი ბევრ რამეზე ოკუ-  
ნებობდა?

რა ტყუილა, უთენებია ღამეები, რა მურტლად დაუკარგავს სიცოცხლე?!

— რაღა ვქნა ახლა მე, ა?...—გაიმეორა სასოწარკვეთილმა ალექსიმ.

შუა უბნიდან მოჩანს მრისხანე კოშკის ნანგრევები, ეკლესიის გუმბათი და  
ასწლოვანი მუხა, რომელსაც ირგვლივ ტოტებივით შემოსმია უცნაურად და-  
ხორკლილი და დაგრეხილი ფესვები. ბოყვებში უშველებელი მწვანე ხელიკები  
დაბუდებულან, ლალობენ, ცხრებიან, მზეს მუცელს უფიცხებენ, ვაშლის ბალებ-  
ში ჩხავის კაჭკაჭი და ალექსის, როდესაც ის ასე რეტდახხმული იჯდა ძელ-ქვა-  
ზე, იმ წუთს, რაღაცნაირი უსაშველო გულგრილობის გრძნობა დაუფლა ყო-  
ველივე იმისადმი, რასაც ხედავდა, რასაც აქამდე გულშვიდად უთვალთვა-  
ლებდა.

დილის მზებ ჩქარა წამოიწია მალლა და გაზაფხულის ულონო სიცხე ჩამო-  
წვა. ფუტკარი ზუზუნებდა გამომშრალ ყვავილებზე და ბალახებში. მიწას ოშეი-  
ვარი უარდა, მინდოოჩზე მზარე ქათქათებდა და ულმოსავლეთის ბორიო ღონივ-  
რად ქროდა. გუთნისდედები და მეხრეები კი ისევ სახლში იჯდენ, ნამალევად  
ხოცავდენ მუშა-საჭონელს და ღამით ქალაქში წასალებად ამზადებდენ. ვიღაც  
გამბედავს ხარები ერთმანეთზე ბაჭრით გადაება და ყევარში შესაბმელად მიე-  
რეკებოდა.—ჰი, ჰოო!...—მოისმოდა შუკიდან, შემდეგ ისიც მიწყდა, სწორედ  
ისე, როგორც შუალამით დაგვიანებული მეურმის მოძახილი.

აი, სამი დღე იყალა მჭედლიძემ, აჩავინ იცის, საღ იძინებდა, ბიძაშვი-  
ლებთან ათევდა ღამეს და ახლა, როდესაც ის ძელქვაზე იჯდა, ახლა ყველაფე-  
რი გადაწყვეტილი იყო.

ალექსიმ გაიფიქრა, მოდი, წამოვდგები და ქოხს ცეცხლს წავუკიდებო,  
მაგრამ ახლა ეს ალარ ლირდა, მეზობლები სულმდაბლობაში ჩამოართმევდენ

დღეს თავდებოდა მჭედლიძის შეებულება და, ცხადია, ხაშურში მას მო-  
უთმენლად მოელოდენ. მჭედლიძეც წავიდოდა, მაგრამ ახლა კი სამუდამოდ. საღ  
გაექცევა კაცი თავის ბეღისა და წერას, მჭედლიძის ბეღში, ალბათ ასე ეწერა  
და ეგ არის.

— ჰაა, ჩემო თავო, მამის დარგული საფიჩე ხეები გავაჩეხიე!—ისევ აღმო-  
ხდა გაცეცხლებულ მჭედლიძეს და მას დაებადა უცნაური წყურვილი, ჩასაფრე-  
ბოდა შილოკაძის ბიჭს, გუთნისდედა. მიხოს, და რამდენიც შეიძლებოდა ეკემა...  
ამით მაიც მოეხეხებინა გული... მაგრამ არც ეს ლირდა ახლა. რა საჭირო იყო,  
უკულმა შეტრიალებულ საქმეს რა უშველიდა?

— ჰი, ჰოო!...—მოესმა შუკიდან, გაიხედა, კერია მირეკავდა ძროხებს, მაგ-  
რამ მინდოოში კი არა, საღლაც სხვაგან. ძალიან კარგი! სწორედ ვერიას დაე-  
ძებდა ალექსი, ეგ სამი დღე სწორედ სამჯერ იჩხუბეს და ახლა უკანასკნელად  
უნდა დალაპარაკებოდა. საჩქაროდ წამოხტა ძელქვიდან, ეზო გადაიჩინა:

— ვერია, მოდი აქა!—დაუძახა ორლობიდან—ჩანს ვერია ისევ. ნაწყენია,  
ქეშ-ქვეშ შემოხედა, გაოცდა, ეტყობა, შერცხვა კიდეც, მეზობლების შერცხვა.  
ეს ალექსი ხომ არ გავიუებულა? რატომ ეძახის, ის მარტო ხომ არ არის თხ-  
ნარაში?

— ჰი, ჰოო!.. — არ მიაქცია ყურადღება ვერიამ ალექსის დაძაძახილს დაძროხები გარეკა.

— ვერია!.. — უფრო ხმამალლა დაუყვირა მაშინ ალექსიმ და ქალიც უკან გამოაბრუნა, ის მძიმე ნაბიჯით მოვიდა და ტალახში შიშველი ფეხები ღრმად ჩარგო. სახრე ექავა, იდგა თავდახრილი.

— ვერია, მე მივდივარ დღეს!.. — შეაპარა ალექსიმ და ვერიაც უფრო მოილუშა, ამოიხვნება და ეტყობოდა, რაღაც გადაწყვიტა, შემდეგ ამ გადაწყვეტილებით ალექსის დამღუბელი თვალები გაუსწორა და პასუხიც შეუბედა:

— წაბრძანდი, შენ ხომ სამი წელიწადი მატყუე ასე! ახლა მე არათვერი მეკითხება!

სამი დღე ესმოდა მჭედლიდეს ასეთი პასუხი...

ალექსი ახლაც აენთო, გულმოსულმა ფართოდ გააღო თვალები და შემდეგ ეს ანთებული თვალები ისევ უცაბედად ჩაიქრო:

— კი, მაგრამ — ლულლულებრა ის სრულიად ხმადაბლა და ნაძალადევ დამშვიდებით, — კი, მაგრამ ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის, ვერია?! — და როდესაც ვერია ამ სიტყვებს ისმენდა, ქალი მიხვდა, რომ ალექსიმ სწორედ ამ დაბალ ხმაში და ნაძალადევად დამშვიდებულ სიტყვაში ჩაიქსოვა პირველი ზიზლი ვერიასადმი.

— ბრალი! მა ჩემი ბრალია?!.. — შეუტია ვერიამაც.

— არა, არც შენი ბრალია... მე ხარი მინდოდა მეყიდნა და ვერ მოვახერხე, ხომ მართალია, ვერია!..

— ჰო!

— მე სახლი უნდა დამზღვა და საამისო ფული კი ვერ შევაგროვე!

— ესეც მართალია!..

— მე მინდოდა მქონოდა ჩემი ეზო, მყოლოდა მოხუცი დედა! მე მინდოდა ბედნიერი, უზრუნველი ცხოვრება! ალარ მოხერხდა.

— ეს ყველა კაცს ასე უნდა!..

— მე, ვერია!.. — და აქ ალექსიმ სულ ჩაუწია ხმას — ხომ იცი კიდევ რა მინდოდა და აი შენ რა ყოფილხარ თურმე!..

— ოხ! არა, ბაჟონო!.. მე ნულარ მახსენებ, რა გინდა თქვა ამით? — სრულიად ცივად შეაგება გულგატეხილმა ქალმა და ალექსი რაღაცნაირად მოეშვა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ქალსაც თვალი აარიდა:

— არაფერი!.. მე არაფრის თქმა არ მინდოდა! მხოლოდ ის არის, ვერია, რომ მე დღეს მივდივარ!..

— ამის შესახებ ვიცოდი, შენ ხაშურიდან რომ დაბრუნდი იმავე ღამეს!.. ეს არ არის ჩემთვის ახალი!.. წაბრძანდი! ქვეყანაზე ვაჟები არ გამოლეულან!.. სამი დღეა წასვლით მეტუქრები და მაინც აქ გხედავ!

ალექსი დიღხანს იდგა უძრავად. ღრმად სუნთქვდა, შემდეგ თავისთვის ჩუქმად თქვა:

— არც ქალები გამოლეულან!..

ძროხები გაფანტულიყვენ, ღობეებზე მიმდგარიყვენ და ტირიფის ტოტებს წაგრძელებულ ენით იჭერდენ, ტკვერავდენ. ვერია უნდა წასულიყო, მაგ-

რამ მას მაინც არ სჯეროდა, რომ ეს არის მან ალექსი დაქარგა... გული, ეს ოხერი გული, სულ სხვას ეუბნებოდა, ხოლო თვალებზე ღადარივით ცხელი ცრემლები ადგებოდა.

— მშეიდობით, ალექსი,—თქვა. ვერიამ და ნაბიჯიც გადადგა; მაშინ მჭედლიძე უცნაურ ფიქრებიდან გამოერკვა. ისევ ფართოდ აანთო თვალები და წინ გაირბინა, თითქოს გოგოს უნდა გამოეკიდოს:

— ვერია, დაიცადე!..

ეს იყო ანატირ კაცის შეძახილი, უცნაურად გაბზარული და გატეხილი. ვერია შეაშფოთა ალექსის ასე შეცვლამ, შემობრუნდა და ერთბაშად მოლბა:

— რა იყო, ალექსი!..

და კლავ, ხმაამოულებლივ გაირინდენ, მაგრამ ეს ერთი: წუთით იყო... გვიან ვერია ისევ გულდაწყვეტილი ესაუბრებოდა ალექსის...

— გემდური, ალექსი, გემდური... შენ მე მატყუე ამდენი ხანი და. ახლა ისევ მიხვალ! კარგი, წადი, არ დამივიწყო მაინც! ვნახოთ! მაგრამ მიხოსთან არ მიგესვლება, ხომ იცი ისიც გემდურის, წადი და თუ ჩამოხვალ, შენ იცი... სხვა რა გიყო!..

— კარგი!—უთხრა უკანასკნელად ალექსიმ—ასე იყოს, წადი ახლა!..

და როდესაც ვერია შეუმჩნევლად მოშორდა იქაურობას და მარტოდ დარჩენილმა მჭედლიძემ ანგარიში მისცა თავს: პირველად ეზოში მიმოიხედა, ყველა-ფერი დაათვალიერა, და ახლა მეორეჯერ დაებადა აზრი ცეცხლი წაეკიდნა ქოხისთვის, ამით ვერიასთვის დაენახვებია თავის გულისტყვივილი, მაგრამ არც: ეს ლირდა ახლა, არა!.. მას უცაბედად გაახსენდა ლობების შესახებ, რომელთაც ანგარიშის გაწევა იციან, ხოლო ვერია აი რა გამოდგა! აი, რა ყოფილა ვერია!.. მასთანაც ამაოდ კარგავდა თურმე ყველაფერს ალექსი, მასთანაც, შეცდომაში შედიოდა და რაც არაფრად ლირდა, მას სიცოცხლეს სწირავდა.

ბარბაცით გამოვიდა ეზოდან და ფართო გზას დაადგა... ვერც კი გაიგო როგორ ამოათვა უდიდესი აღმართი; მხე შუა ცაზე აჭრილიყო და საცერ ბეჭდის ოდენად ქცეულიყო, ასლა კი დაბლა ხევში მოსჩანდა თხინარა: ზავი, პატარა ჯოჯოსმაგვარი ქოხმახები, ეზოები, შუაგამყოფელი ტირითები, გომურები, ბილიკები და შარები; გრილი ნიავი ქროდა სურამიდან, ალექსიმ შეისვნა, წყლით სახე მოიბანა და გამოცოცხლდა.

#### IV

ალექსის ხაშურში მოეჩარებოდა... როგორც იქნა სალამოს ჩააღწია. ლობებანიძე კი უცნაური გულგრილობით შეხედა, ეს მაშინვე ახსნა მჭედლიძემ: ალბათ, საქმეები იყო სულ მთლად არეულდარეული.

ინუნერი იდგა დახურულ ქვესადგურის ნახევრად ამოშენებულ კედლებთან და ათიოდე კაცს გაცხარებით ელაპარაკებოდა. ალექსი სულ ახლოს რომ მივიდა, ლობებანიძემ მოიხედა და უნიათოდ გაიცია:

— ა, გამარჯობა შენი!—ხელიც ჩამოართვა;

მოუპარსავ აბურძგვნილ სახეს დალვრემა დაუფლებოდა და გაცინება სრულებით არ მოუხდა. ალექსიც მიესალმა.. შემდეგ ცნობისმოყვარეობით გადახედა მუშებს, რომლებიც არ აშენებდენ, თუნუქით ფუთენიდენ ამოსულ კედლებსა ალექსის გაახსენდა ლობჟანიძის სახლის კედლები, შედრკა. მინდორზე კიდევ ერთხელ მომოიხდა: თითქოს დასვენების დღე ყოფილიყოს, ისე დაცალიერებულიყო იქაურობა. ორთქლმავალი შიშინით მოატრევდა ცალიერ ვაგონებს, აქა-იქ რამდენიმე კაცი შეჯგუფულიყო და რა-რაცას ჩაკირქიტებდნენ.

— ჰო, ასე დაფარეთ, ეგ საოხრე, რამდენჯერ უნდა გითხრათ!.. — გაცხარდა რალაცაზე ლობჟანიძე და ალექსის ყურადღება მიიპყორ, მაგრამ ალექსიმ მიხედვაც ვერ მოასწრო, ლობჟანიძემ კიდევ წამოიძახა:

— დაფარეთ ეგ საოხრე, ჰო, ასე!..

რაღაც უცნაური ამბავი დატრიალებულიყო ალბათ! ლობჟანიძესაგან. ასე— თი ჭირვეულობა და თავის საყვარელ საქმის შეგინება ალექსის არასოდეს გაეგონა; ნეტავ რამ გაუტეხა გული ბესარიონს, ნეტავ რამ შეაშფოთა ასე განუკითხავად?

მჭედლიძემ ველარ გაბედა რამე ეკითხნა თავის ოსტატისათვის, იდგა შეწუხებული და შეფიქრიანებული. როდესაც ქალაქში შემოდიოდა ორ-სამ ალაგუმუშები შეხვდენ და ასე უთხრეს ალექსის:

— სურამის საქმეები წავიდა ხელიდან!..

— რატომ, რას ამბობთ?!..

— წადი და თვითონ ნახავ! მშენებლობის იმედზე არასოდეს არ უნდა იყვე კაცი! — მაშინ ეს გასხრობად მიიჩნია...

— ალბათ მართლაც წასულა ხელიდან! — გაიფიქრა ახლა ალექსიმ და ამდენი გეგმა, რაც თხინარადან ხაშურამდე გზაში დღეს შეაწყო, ერთის ხელის მოსმით დაეფანტა.

ამასობაში მუშებმა კედლები დაფარეს. ლობჟანიძე გატრიალდა და წასულა დაპირა.

ბესარიონ, მე რა ვქნა?! — შეეკითხა მაშინ შეშფოთებული. ალექსი და ადგილი შეინაცვლა:

— ჰო, მართლა! — გამოიტხიზლდა ინუნერი — შენ, ჩემო ალექსი, წადი, იბანავე, ისადილე და დაისვენე, დილას სამუშაოდ გამოხვალ!..

ისე გულცივად თქვა, მჭედლიძეს ეწყინა, მაგრამ ლობჟანიძეს ეტყობოდა ახლა მეტი არ ეცალა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და წავიდა.

ალექსი კი მივარდა მუშებს და ყველაფერი გამოიძია. შემდეგ უფრო შეტად შეფიქრიანებული სასალილოსაკენ გაემართა.

ცუდათ წარმართულიყო სურამის საქმეები!

როგორც ჩანდა, ახლო-მახლო სოფლებში, წრომში, ღირბში, ქვენადკოცა-ში, სატივეში, რუისში, ქარელში ისეთივე ორომტრიალი ბობოქრობდა, როგორიც ალექსი მჭედლიძის გულ-ლვიძლში და მშობლიურ თხინარაში ხან წვიმდა, ხან თოვდა და ხოშკავალს აყრიდა ქვეყანას. სად ეცალათ გლეხებს სურა-მისათვის. ლობჟანიძეს საქმეები ხუთი ათას კაცს მაინც მოითხოვდა, აქ კი სინამდვილეში სამას მუშისათვის მოეყარათ თავი და ისინიც ულელტეხილზე და ექსაქსათ, რათა წაშოწყებული საძირკვლები მაინც შეეფუთხათ და ამდენი ნა-ოფლარი დანგრევას და გატიალებას გადაერჩინათ.

ეს იყო პირველი და გადამწყვეტი დაბრკოლება მაგრამ ამას ერთოდა სხვებიც: მთელი რიგი მოწყობილობები: ტრანსფორმატორები, ზეთის ამომრთ-შევლები, მოტორ-გენერატორები და გამტარები, ჯირგინები, იზოლატორები და ელექტრომონტაჟისთვის საჭირო დეტალები, რომელიც უნდა მიეღოთ იტალიის ქარხნებიდან, აგრეთვე მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, იგვიანებდენ. არც ერთმა ქარხანამ დროზე არ შეასრულა სურამის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი დაკვეთები.

იმედამად მაინც რაიმე სამონტაჟო შუშაობის წარმოებას შეუძლებელს ხდიდა სპილენძის მავთულების მარაგის ამოწურევა. ახალი პარტიები აღარსად ჩანდა, ბოლოს გამოირკვა, რომ საერთოდ სპილენძის გამტარს სურამი ვერასოდეს მიიღებდა... ცნობა მოვიდა, რომ სპილენძის სანაცვლოდ შესაძლებელია სურამში ეჩთი წლის შემდეგ ალიუმინის მავთულები გამოგზავნონ, მაგრამ აქ მაშინვე თავი იჩინა მეორე დაბრკოლებამ. ინუენერ ბუდაგოვს შეეძინა და ჩამოეტანა რამდენიმე მილიონის მანეთის ისეთი დეტალები და იზოლატორები, რომელიც გამოდგებოდა მხოლოდ სპილენძის მავთულით მონტაჟის პირობებში, ამიტომ ალიუმინის მავთულების მიღება მაინც უდრიდა მუშაობის შეწყვეტას, ვინაიდან უფრო ძნელი იყო შესაფერის იზოლიატიორების შეძენა და ჩამოჭანა.

ბესარიონ ლობჟანიძე ველარ გამორკვეულიყო; როგორ მოხდა, რომ სურამისათვის ბუდაგოვმა შეიძინა უვარგისი იზოლატორები. ბუდაგოვს შშვენიერი საფარველი პქინდა, მას შეეძლო განეცხადებია, რომ ის არავითარ შემთხვევაში წინასწარმეტყველი არ არის და არ კ სხვა ვინმე აღამიანის გულში ზის, რომ ის დარწმუნებული იყო მიიღებდა სპილენძს და სხვა. რაკი არც მუშახელი იყო და არც ის მოწყობილობა, რაც ამ გაზაფხულზე ყოველ ბიზეზგარეშე უნდა მიეღოთ, საქმე თაგის-თავად გადაწყდა და ბუდაგოვმა დასწერა ბრძანება უკვე შესრულებული სამუშაოების დაცვის შესახებ.

ოსსებ ბაბუციძე რაღაცნაირად მსჯელობისა და კამათის გუნებაზე იყო. შუა მინდორზე გადაეყრებოდა ვინმეს და დაუსრულებლივ ქაქანებდა, ხოლო ზებო შორიახლოდან ზვერავდა და თვალყურს აღევნებდა, ან ნალველს ამოატანდა, ისე ხვენეშოდა:

— ეპე-ჰე, ჩვენი ცოდვა!

გურჯიშვილი ყოველლამე მართავდა რაღაც თათბირებს, მიუხედავად იმისა, რომ შენებლობას მუშები შემოეფანტა, უჯრედი გაზრდილიყო და დავაუკაცებულიყო, ოცდაზოთამდე კაცი იყრიდა თავს. გურჯიშვილმა მთლიანად სამხედრო ფორმა შეიკერა და მეთაურივით გამოიყურებოდა, თოფნაკრავივით დარბოდა; ღამლამობით რაღაცებს სწერდა და ვაი მას, ვისაც რაიმე უმსგავსოებისათვის ხელში ჩაიგდებდა. კველზე მე აად მისი ეშინოდა ზებოს და სასადილოს მუშაობის შესახებ უჯრედში მოხსენების გაკეთებას სიკვდილი ერჩია.

რაკი სპეცტანსაცმელების დარიგებას დააგვიანდა და დააგვიანდა ასეთი ამბავიც მომხდარა: ხუთი მისულან ლობჟანიძესთან და შეკითხვა მიუციათ.—როდის აპირობთ, ბესარიონ, აიღოთ ხელი მუშა-კაცის მოტყუებაზე?! სანამ მოთმინებიდან არ გამოვალთ, მანამდს არაფერი იქნება, არა?..

— არა, ამხანაგებო, თქვენ ვინ დაგარიგათ ასე!.. — უპასუხა თურმე ბესა-რიონძა. მაშინ ერთ-ერთმა ყვირილით მაგიდაზე მჯილი დაარტყა და გინება დაუწყო:

— მე რა შენი ამხანაგი ვარ. მე შენი ღმერთი...

იმ დღეს მუშაობისათვის დირბელ გლეხს თავი გაუნებებია, ხოლო რამ-დენიმე პარტუჯრედში დაუბარებიათ.

ალექსი მჭედლიძე პირდაპირ გაოცებული იყო; რას არ ამბობდა ეს ხალ-ხი... ის პირდალებული ისმენდა და ვეღარ გამორკვეულიყო, ისევ სურამში და-ბრუნდა, თუ სხვაგან მოხვდა, სულ სხვა ხალხში, სხვა ქვეყანაში.

მჭედლიძე, როდესაც თავისი ოსტატი ეგზომ დაუმცირეს, იმდენად შეშფოთ-და, რომ დასასეუნებლად გული ალარ მიუღიოდა. ჯერ გადასწყვიტა, მისულიყო ლობუანიძესთან სახლში, მაგრამ ეს შეუფერებლად სცნო, რცხენოდა. როგორ უნდა ელაპარაქნა ოსტატთან?

— კარგი, ნუ მელაპარაკებით, არ მინდა!.. — აღმოხდა მჭედლიძეს, როდესაც ზოგიერთმა მუშებმაც კი ლობუანიძეს გინება დაუწყოს და მოხერხებული კაცი უშოდეს, რომელიც, სულ ერთია, როგორც საპნის ბუშტი, ისე გაქრება!

— შენ რაღა კუდი გეწვის, რას იღვედები, არ ვიცი!.. — შეუტია მჭედლი-ძეს ცისელმა გლეხმა ხუციშვილმა, რომელიც ერთხელ ლობუანიძემ გაჯორა, რადგან ზებო ინაიჩი საწყობიდან ორი ნაჟერი საპონი მოპპარა.

— გადი, შე საპნის ქურდო, იღვედები და არც არა იცი რა!.. — წამოიძახა მჭედლიძემ და მაშინათვე ხუციშვილი მისკენ ბურტყუნით წამოვიდა.

სასადილოდან ზებო ინაიჩი გამოვარდა და მათი გაშეელება სცადა, ხოლო, გარშემო შეყრილი მუშები იდგნენ და მოჩხუბრებს შეცეკეროდენ.

მჭედლიძე ხუციშვილს დაემუქრა და წავიდა... ხოლო ზებო ინაიჩი ქაქა-ნებდა და მუშებს ჭუას არიგებდა:

— ჩემი გულისათვის არ იჩხუბოთ, ბატონო! ხალხნო, რატომ მჭრით თავს, რად მლანძლავთ, რა გინდათ, კაცო, ჩემგან!.. — (შემდეგ ხმას ჩაუწია და ისე ჩაილაპარაკა:

— ახლა ამას გაიგებს გურჯიშვილი, უჯრედში გამომიძახებენ და, ა! — ამას იიტყვებზე ზებომ ყელზე ორი თითი გამოისვა.

## V

მჭედლიძეს გული არ მიუღიოდა აბანოში წასულიყო და თხინარას ჭუკუი ეხეხა. დაწვა და დაძინება სცადა, დილით ლობუანიძეს სახლში უნდა ხლებოდა და ოსტატისაგმან საქმის ვითარება გაეგო.

მაინც თუ სურამში ხალხი საჭირო აღარ იყო და ამიტომ შეხვდა ოსტა-ტი. გუშინ ასე ცივად, მჭედლიძე სადღაც გადაბარებულიდა, ან ქალაქისკენ და-ადგებოდა გზას, ან იპერეთში გადავიდოდა; ნეტა არ ეჩხუბნა დღეს, სირცხვი-ლია, რას იტყვის ბესარიონი.

ასეთ ფიქრებში ჩასძინებოდა... დილას ვიღაცამ. გამოაღვიძა. ოსტატი თავზე დასდგომიდა სამხედრო ფორმაში გამოჯგიმული... ალექსი შეკრთა და წამოხტა. ლობუანიძე კი იქვე ჩამოჯდა და თუთუნი გააბოლა:

— ალექსი მჭედლიძე, შე ყურუმსაღო, შენზე მაღარიჩია; — უთხრა ბესა-რიონბა, როდესაც შეგირდმა, როგორც იქნა, ტანთ ჩაიცვა.

— რაშია საქმე? — იკითხა ყურებამდე გაწითლებულმა ალექსიმ და ქამარი მოიჭირა.

— აგრ წამოდი და გეტყვი!..

მჭედლიძე ველარ გამორკვეულიყო თუ რა უნდა ეთქვა ოსტატს, წამოვი-დენ, მინდოოს რომ მიუახლოვდენ, მჭედლიძე უფრო დაინტერესდა:

— მითხარი, რაშია, მართლა, საქმე. მშენებლობა გამოცოცხლდება?

— არა! — უპასუხა ბესარიონბა და სახელდახელოდ მოიღუშა!!.

მჭედლიძემ იფიქრა, ალბათ სამუშაოდან მანთავისუფლებენ და ოსტატს ჰერინია, მე ეს გამეხარდება, ამიტომ თვითონაც მოიწყინა, რად უნდოდა მჭედ-ლიძეს ახლა განთავისრცლება, სადღა წავიდოდა.

— ბესარიონ, მე შენთან გუშინ უნდა მოვსულიყო და მეღაპარაკნა!.. ეს რა ამბავია სურამზე; რა გავიგონე!.. გაგონება კიდევ არაფერი, რას ვხედავ, ჯველაფერი ჩაფუშულა! ნუთუ ეს მართალია...

— ეგ არატერი! განა ამან უნდა გაგიტეხოს გული, ა, ალექსი?! არაფერიც არაა ჩაფუშული!..

ბესარიონი ამბობდა, სრულიად ვაჟკაცურად და ქვასავით მტკიცედ. და მჭედლიძეს გუშინდელი, საშინელი ნააზრევი ერთის მოსმით შეეცვალა.

ორიგენი მოდიოდენ ხმაამოულებლივ და ალექსი ამჩნევდა, რომ ამ წუთს ბესარიონი სურამის აწერილ საქმეებზე ფიქრობდა და ალექსის იჭვი შეეპარა, იქნებ ბესარიონს აქამდისაც ეთქვა საღმე, სურამის სამუშაოებზე „ეგ საოხრეო“, მაგრამ მას პირადად მარტო გუშინ შეემჩნია, რადგან წინასწარ სხვანაირად იყო განწყობილი.

ხმაამოულებლივ მოდიოდენ, სანამ ბესარიონმა კვლავ არ გაიმეორა:

— ა, იქნება თუ არა მაღარიჩი?!.

— იქნება, ჩემმა მზემ, იქნება! — მიუგო ალექსიმ.

— მაშ კარგი; აი, რა... მაგრამ არა, ჯერ მითხარი, როგორ მაღარიჩს იყისრებ?

— როგორიც სახარობელია, იმის შესაფერის!

— იმის შესაფერის... გამოკირდება! — ბინა მოგცეს, ალექსი, საცხოვრებე-ლი ბინა, ახლად გაშენებულ მუშათა სახლში, მეორე სართულზე, ორი ოთახი, გესმის! აბა, რა მაღარიჩი უნდა გადაგიხადო შენ, ამის შესაფერისი!..

— ბინა?! — იკითხა დაფანტულად მჭედლიძემ და მეტის ველარაფრის თქმა ვერ მოახერხა....

— ჰო, ბინა! სწორედ ისა! რა იყო?..

— ბინა მე რად მინდა!.. — აღმოხდა მას, სიღუბჭირეს, სიღატაკეს და და-ძაბუნებულ ცხოვრებას მიჩვეულს, დაყვედრებულ ლუკმა-პურით გაზრდილს.

— მე რათ მინდა ბინაი!.. მე სხვა რამე მეგონა!..

— რაო!.. ხა-ხა-ხა!.. — ხმამაღლა გადიხარხარა ლობუანიძემ, — ვაი შენ რა გი-თხრა მართლა! წამოდი: აქ!.. — და მაჯაზე ათრთოლებული ხელი მოავლო, — ბინა არ გინდა? მოდი და ამას ჭიუა კითხე ახლა?!.. რატომ არ გინდა, ბიჭო, ბინა?

ბესარიონ ლობჟანიძეს ეგონა, მისი შეგირდისევ თხინარასკენ მიიწევდა და ბინის მიღებაც ამიტომ არ უხაროდა. ხომ ერთი წელიწადი იბრძოდენ ამაზე ოსტატი და შეგირდი. ოსტატი არ უშევებდა და მარწუხის მკელავებით თავისკენ იჩიდავდა, მჭედლიძეც ბუზღუნით მოჰყვებოდა, გამოწყობილი გეგმაც ეშლებოდა და გზა ებნეოდა. ერთხელ მჭედლიძემ ფული მიიღო, თავისი ბარგი მავთულით შეჰქრადა თხინარაში წასვლა დააპირა. ლობჟანიძემ კიდევ ერთხელ გააბრუნა. ოსტატი რომ ამ ჭიდილში გამარჯვებული რჩებოდა ეს შემდეგ და შემდეგ, რაღაცნაირად მჭედლიძესაც უხაროდა.

— მამა გიცხონდა, ოთახი არ გინდა? — დღესაც ეუბნებოდა ალექსის შემოჩენილი ოსტატი — მომყე აქ, ექვსი თვე კიდევ მოიცადე, შემდეგ წადი! მაგრამ იმ პირობით, რომ არც მერე დაგვივიწყო!..

ალექსის გულმა რეჩხი უყო. რა იცოდა ოსტატმა რა ამბავი დატრიალდა მჭედლიძის თავზე. რა იცოდა, რომ მას არსად წასასვლელი გზა აღარ აქვს, ეწყინა, რატომ ექვსი თვის შემდეგ გასანთავისუფლებლად იმეტებდენ, მაგრამ მჭედლიძემ იკოდა, ამას ოსტატი ლაპარაკობდა ისე, განზრახ, მჭედლიძის დასამშვიდებლად:

— ეეჟ! — ამოიხვნება ალექსი და ნაბიჯს მოუჩქარა.

დაიწყო მუშათა კვარტალი. ათიოდე სახლის მშენებლობა მთავრდებოდა. ხარაგოულის თეთრი ქვა საოცარი სილამაზით აეკინათ. სახურავიც ქვის პატარა ფირფიტებით გადახურათ, ეს იყო ახალი სააღმშენებლო მასალა, რომელიც პირველად ლობჟანიძემ გამოიყენა:

მჭედლიძე ამ სახლებს თვალი რომ მოავლო ერთბაშად ყველაფერში შეეჭვდა. ეს ამდენი თეთრად შელებილი რიგიანი სახლები რომ მწყრივად ერთი მეორის გვერდით ჩაჯიმულიყვნენ, ეს მართლა მჭედლიძისთვის იყო გაშენებული, თუ ლობჟანიძე მასხრობდა. — რაღაცნაირად შეეჭვდა ამაზი, დიხ, ლობჟანიძე, ალბათ, მასხრობდა და ეწყინა, გული აუჩეილდა, რად უნდოდა ალექსის ასე მოტყუილება, ბაეშვი ხომ არ იყო!..

— წამოდი, შენი ოთახები დავათვალიეროთ! .. — თქვა ლობჟანიძემ და კიბის საფეხურზე ფეხი შედგა, დაეჭვებული მჭედლიძე უკან გაჰყვა, მეორე სართულამდე ამოიარეს:

— აჰა, ესეც შენ! .. ეგ ორი ოთახი, — წამომყევი აქეთ, — ეს ორი ოთახი შენია! — და ლობჟანიძემ ორივე მკლავები ფართოდ გაშალა, შემდეგ ამ მკლავებით წრე შემოხაზა. ფანჯრებისაში წკინებული, წითლად შელებილ იატაკიანი, თეთრად შეფეთქილ კედლებიანი ოთახები. ორგან განიერი ბუხარი იცინოდა, კარებზე მბზინავი სახელურები იყო მიხრახნილი. ახლა ლობჟანიძე რომ ლაპარაკობდა, ხმა გუგუნებდა, ოთახის კედლები გამოძახილს აძლევდნენ:

— ბიჭოს, ეს კაცი არ მასხრობს! — გიაფიქრა ალექსიმ და გაოცებული თვალები გარშემო ერთხელ კიდვე მიმოატარა, შემდეგ თაებრუდასხმულს სრულიად უადგილოდ აღმოხდა:

— ვახ! რა კარგად გაუკეთებიათ! მაგათი მამა ვაცხონე, ეპე, პი, ვახ, დედასა!

ფანჯარა გააღო და გადაიხედა, ბუხარში შეიჭვრიტა, იატაკზე ფეხი ააბრახუნა, კედელს თითი წაუსეა და ბეჯითად დაასკვნა:

— ძალიან კარგია!

ლობუანიძე იდგა, ჯიბეში ხელები ჩაეწყო და იცინოდა. ოთახები რომ დატოვეს ალექსის ისევ იჭვის ჭია შეუძრავია:

— ეგ ოხერი და ტიელი, თუ ასე იყო საქმე, რატომ წუხელისვე არ მოვიდა ბესარიონი და ყველაფერი არ ახარა?!

მაგრამ, როდესაც ქვესადგურის შენობის გვერდით შეყრილ მეარმატურებს შეხვდა, მათ საუბარი გაუმართეს და გაემასხრენ კიდეც:

— რა გიჭირს, ალექსი, ბებიამ, ალბათ, შენ რბილზე დაგურა ხელი, ძმაო, ლობუანიძე ყველაფერში გიცავს, იმისი მანა ვაცხონე, რა იქნებოდა ჩვევთვისაც მოეცა ოთახები, შენზე ნაკლები ბიჭები ვართ, თუ რა?!.

— როგორ, მართლა მომცეს მე, და თქვენ არა?

— არ მოგვცეს? როგორ გითხრათ ახლა?. ხვალისთვის გვპირდებიან, მაგრამ მაგათი ხვალე, ხვალზეითის იქითაა, სადღაც შორს, დასაკარგავში!

ახლა ალექსიმ მეარმატურების წინაშე სახელდახელოდ გამოსხებნა მიზეზუბი, თუ რატომ მას ერგებოდა სხვებზე ადრე ოთახები, ერგებოდა კი უეჭველად...

— ჯერ ულელტეხილზე რამდენი ვიწვალე, ძმაო. მე ვარ აქ უპირველესი მუშა, ვარ თუ არა, თვითონ თქვით, ვარ. შემდეგ დამკვრელად ვირიცხებოდი თუ არაই ვირიცხებოდი. ვარ თუა არა უსახლყარო და არაფრის მქონე? ვარ, ეგეც თქვენ!

იმავე დღეს, სახელდახელოდ თავის ოთახებში ლოგინი გადმოათრია და საცხოვრებელს მაგრად დაეპატრონა. ძალიან დაიღალა, მაგრამ არაფრად აგდებდა. უფრო უცნაურ ფიქრებისაგან დაიღალა, რომლებიც ლურსმანივით ჩაეჭიდა თავში და იქ, სადღაც შიგნით, უმოწყალოდ ბურლივით ტრიალებდა. არც სადილი გასხვნებია და არც ვახშამი. ბუხარში რომ ცეცხლი დაანთო, უკვე ღამდებოდა. იმ დღეს ხუციშვილს მიეტოვებია სამსახური და წასულიყო, ხოლო ალექსი უჯრედში გამოეძახებიათ. არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა მჭედლიძისათვის

პირველ ღამეს ლამფა ვეღარ იშოვა, საცხოვრებელში ბნელოდა, ბუხრიდან ცეცხლის შუქი კედლებს ეცემოდა და ოთახებში უცნაური წამოზრდილი ჩრდილები დარიალებდენ, ალექსიმ ალარ იცოდა რა გაეკეთებია, გაოთლიანებული ბუხრის წინ იატაკზე დაჯდა და ჩრდილებს გზა გადაუქრა, ახლა ისინი მის ზურგს უკან დაფოფხავდენ, ისევ წამოდგა ალექსი, ლოგინში ჩაწვა, შემდგინავნებიაც წამოდგა:

ალექსი ხედავდა, რომ ეს იყო რაღაცნაირი უცნაურობა, ხუმრობა ცხოვრებისა, ალექსი ხედავდა, რომ ასეთ დროს არ შეიძლება ლაპარაკი ან ამესაქმის გაეკეთება, ასეთი რამის მხოლოდ განცდა შეიძლება, ისიც ათრთოლებით და დაფანტვით. ის მიაჩერდაფანჯარის, სიბნელეში გააპარა მხედველობა და ერთბაშად ამაღლებულ ადამიანის სიხარულის ცრემლები მოადგა თვალზე. რა იყო ეს? რა უცნაურად იყურება. ეს საცხოვრებელი, რა უცნაურად იცინის ეს ბუხარი.

არა, ალექსი უნდა გაიქცეს აქედან, თორემ უხლა. ამ ოთახში აღარ ეტევა, სად არის ახლა ნეტავ ლობუანიძე—სად არის, ა? გარეთ ბნელა, გააღო

ფანჯარა, სადღაც შორს სერები უჩინრად დგანან და ეს ლამე კი არ არის ეს აქ თხინარა მოცურდა შავი ქოხებით, ბნელი და უკუნი. ეს ალექსის ცხოვრება ამ ფანჯარასთან რომ დგას, ხოლო მჭედლიძე ქვის კედლის შიგნითაა დარჩენილი.

მჭედლიძემ უკან მოიხედა და ისევ მორიალე ჩრდილებს შეეფეთა.

ალექსი უნდა გაქცეულიყო აშედან, თორებ დაისრიბოდა, მაგრამ ამ დროს გაიგონა კიბეზე ნაბიჯის ხმა, ამ ხმაზე იცნო ილექსიმ თავის ოსტატი, მიეგება. სამხედრო ფორმაში გამოჯგიმული ლობისანიძე შემოვიდა ოთახში, როგორც თვით სიხარული და მეგობრობა, დადგა. შუა იატაკზე და ქუდი მოიხადა;

— გლეხო, გლეხო, აანთე ლამფა, ვაი, მართლა გლეხო!..

— არა მაქეს!...

— ხვალ შემოგიყვანთ ელექტრონს!.. დღეს უკვე გვიანაა!..

— ძალიან კარგი იქნება! — წამოიძახა ალექსიმ და შემდეგ დაენანა, რატომ მადლობა არ გადაუხადა.

— შენ რა ჩხუბის გუნებაზე ხარ, ერთი კაცი კიდევ გამიქციე აქედან! — შეუტია ბესარიონმა და შემდეგ თვითონვე გაუცინა, რაღან ხედავდა, ალექსი აიბურძნა.

— მაინც უნდა მომეხსნა, ზებო ინაიჩს საპონს ჰპარავდა! საშველი არ დაადგა! იმ დღეს კბილის საჩიჩქი ჩიოთქი წაელო, რაღად უნდოდა ვერ გავიგე!... ჩხუბი მაინც არ შეიძლება.

ალექსის შერცხვა და ვერაფერი უპასუხა, ან რა უნდა ეთქვა:

— გაგინებდათ, ოსტატო და გამაჯავრა!.. ისე კი არ განირტყამს, ჩემსკენ წამოიწია და რა მექნა, — გავაჩერე! — იძართლა თავი.

— როგორ მოწყვევ! მოიტა ერთი წყალი დამალევინე!.. — ალექსის გაეცინა ალბათ, ბესარიონი განზრას ეუბნებოდა, რაღან ჯერ ალექსის არ შეეძლო ვინმესთვის წყალი დაელევინებინა, არც ჭიქა ჰქონდა, არც დოქი.

— რას დგახარ, ბიჭო, დამალევინე წყალი!..

— არ ამომიტანია ბესარიონ!

— ვაი შე მართლა გლეხო!.. სტყუი, ჭიქა არ გაქვს?!.. — შემდეგ ხმას დაუწია: — ალექსი, რაღაც ძალიან მიხარია, ბიჭო, შენ რომ დაგაბინავე, ახლა წამო და რახან შენ წყალი ვერ დამალევინე, მე სამაგიეროთ ღვინოს გასმევ. დარუმ დაგპატიჟა!.. — ახლა კი ალექსი სულ დაიბნა და თავბრუდახვეულმა ძალაუნებურად მოიხოცა ცხვირი, შემდეგ ოსტატს უთხრა:

— აჲ! არა, ბატონო — მე თუთუნს არ ვეწევი, არც ღვინოს ვსვამ!

— წამოდი! — შეუტია ლობისანიძემ და კიბე ჯუჯგურით ჩატარა.

— ოთახს მაინც დავკეტავ! — გახსენდა ალექსის, ამოირბინა, სიბნელეში გასალები ააჩხარუნა და შემდეგ ხელი ჯიბისკენ რომ წაილო იგი გრძნობდა, რომ ამ ქვეყნად არის სადღაც გადახურული ცა, რომელიც ექუთვნის მას და ეს რკინის ცივი გასალები, ჯიბეში რომ უდევს, მისი ცხოვრების უცნაური ჯადოა.

და ასე შემთხვევით აღმოაჩინა ალექსიმ, რომ ის ამის შემდეგ სურამიდან ველარსად წავა, სურამი, რაღაც მოჯადოებულ სამყოფლად გადააქცეოდა მას, და ეს მისი უბრალო სიყმაწვილე, ისე უბრალო, რომ შეიძლება ლობჟანიძის-თანა ნასწავლმა კაცმა ანგარიშში არც ჩააგდოს, უკავშირდებოდა ელექტროფიკაციის პროექტებს და გეგმებს, ამიერიდან სურამის სამუშაოები იყო მისი ცხოვრების წამყვანი და არა ის წვრილი ამბები ცხვრის ნაოხრალის სუნი რომ უდიოდა, ჯოჯოთქულ ფხინარაში რომ ტრიალებდა, გათავდა.

თხინარა არ ასვენებდა მაინც ალექსის და ამ საღამოსაც, როდესაც ალექსიმ ბესრიონას სახლის გზაზე სიმღერა წამოიწყო და გულდათუთქულმა ვერიაც მოიგონა:

ჩამოსხდებიან ყორნები,  
არ გაირევენ ძერასა!..

ჩონგურივით აკვნესდა და ლობჟანიძემაც ბანი შეაგება:

კაცი ვერ გადაურჩება  
თავის ბედსა და წერასა.

სასოწარკვეთილმა ალექსიმ წამოიძახა: დიახ, ასეა! მართალი უთქვამო! ბედის წიგნში, იმ ტიელში, ალბათ, ასე ეწერა და ეგა!..

(გაგრძელება იქნება)



როლი უნდა შეასრულოს სოციალისტური ლიტერატურის დამკვიდრების საქმეში.

ასეთი დიდი ამოცანები ისახებიან ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის წინაშე, ცხადია, ამდენადვე დიდია პასუხისმგებლობა, რომლითაც უნდა შეუდგეს ეს ახალგაზრდობა მწერლობის ურთულესი ხელოვნების დაუფლებას. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ახალი სამწერლო კადრების განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით ახალგაზრდობის ინიციატივას, შრომის უნარს და მხატვრული ტალანტის გაღრმავებისადმი შევნებულ დამოკიდებულებას ენიჭება.

ვერავითარი „ორანჟერეებით“ და ინკუბატორებით ვერ აღვზრდით. მწერალთა ახალთაობას. შემოქმედების მექანიკური სწავლება შეუძლებელია. ლიტერატურაში ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემოქმედებითი მუშაობას ეძლევა, რომელიც ხასიათება ინდივიდუალური თავისებური თვისებებით, რომელიც არ წარმოადგენს მწერლობაში მანამდე არსებულ ხმისა და ფერების ეპიგონურ განმეორებას, რომელიც მთელი წინადარსებული კულტურული ლირებულებათა შესწავლისა და დაუფლების ნიადაგზე იკვლევს საკუთარ განსხვავებულ გზას. ამიტომ ახალ კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობა გულისხმობს მხატვრული ინდივიდუალობის გაშლისა და გაღრმავებისათვის იმგვარ ხელის შეწყობას, რომ ერთის მხრივ, სწორი და ჯანსაღი მიმართულება პპოვს მხატვრული ნიჭიერების ზრდამ, ხოლო მეორეს მხრივ, არ შეიზღუდოს და არ გაითქვითოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინდივიდუალობა. ამთავითვე უნდა დავაზღვევოთ ლიტერატურული ახალგაზრდობა იმ მტკიცნეული და უარყოფითი მომენტებისაგან, რომლებსაც საგრძნობი რაოდენობით შეიცავდა ბურუუაზიული, წვრილბურუუაზიული ლიტერატურული ყოფა და რომლის ზოგიერთი ნარჩენები დღესაც მოიპოვება ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში. დაუდევრობა, შრომის გაიოლების ტენდენცია, უმცირესი წინააღმდეგობის გზით სიარული, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა, ავადმყოფური სურვილი განდიდებისა და საკუთარი ვიწრო „სამწერლო მეტრნეობის“ თვალსაზრისის გაბატონება საკუთარ პრაქტიკაში, ეს უცუდესი ტრადიციები ძველი ლიტერატურული ყოფისა ზოგჯერ ლიტერატურულ ახალგაზრდობაშიაც პოულობენ გამოხატულებას. ცხადია, მათი დაძლევა და აღმოფხვრა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ახალი კადრების ჯანსაღი და ნორმალური ზრდისათვის.

როდესაც ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდაზე ვლაბარაკობთ აქ, რა თქმა უნდა, ამოცანა არ განისაზღვრება მარტო სამწერლო ოსტატობის, ლიტერატურული ტექნიკის დაუფლების საკითხით. მართალია ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ძირითად სიძნელეს ერუდიციის და სამწერლო კვალიფიკაციის დაბალი დონე წარმოადგენს, მაგრამ ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში მაინც იდეური აღზრდის, მსოფლმხედველობრივი განმტკიცების საკითხი უნდა დავაყენოთ. ცხადია, ახალგაზრდობას ჩვენ ვერ მივუდგებით სოციალური, კლასობრივი დიფერენციაციის გარეშე, ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაშიც თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული კლასობრივი ბრძოლები. განადგურებული კლასების ნარჩენები

ზოგჯერ პოულობენ თავიანთი ზრახვებისა და განწყობილებების გამოხატულებას ახალგაზრდა მწერალთა პრაქტიკაში. თითქმის ერთსა და იმავე დროს აღგილი ჰქონდა ჩვენი კავშირის სხვადასხვა არსებლიკაში ლიტერატურული ახალგაზრდობის ფენებში პროლეტარიატისათვის მტრული და უცხო იდეების გამოვლინებას. განსაკუთრებით მკაფიო მაგალითებს წარმოადგენენ ამ მხრივ რუსეთში პავლე ვასილევის ისეთი გადაგვარება, როდესაც ყოთა-ცხოვრებითი გაზრდნამ ბოგებისა, ლოთობისა და ხულიგნობის გზამ ახალგაზრდა მწერალი ფაზაზემის საზღვრებამდე მიიყვანა, ურალის მწერალთა ორგანიზაციაში ახალგაზრდა მწერალთა შეთელი ჯგუფი გადაეშვა ბოგებისა და ყოფა-ცხოვრებითი დეგენერაციის ისეთ ჭაობში, რომელშიც ლრმად იზრდებოდენ მუშათა ქალასისათვის მტრული და საჭინააღმდეგო იდეების ფესვები. საქართველოშიაც სწორედ ლიტერატურის ახალგაზრდა ფენაში გამომულავნდა ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი მტრულად განწყობილი, კონტრევოლუციური კლასების უკანასკნელი ნარჩენების აგნეტურა, რომელიც მოხერხებულად აპარებდა ქართულს მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკაში პროლეტარიატისათვის მტრულსა და უცხო იდეებს. ეს ფაქტები ნათელპყოფენ იმ გარემოებას, რომ ლიტერატურული ახალგაზრდობა არ წარმოადგენს სოციალურად მთლიან კატეგორიას, რომ იგი დაზღვეული არ არის კლასობრივად. მტრული გავლენებისაგან, ამიტომაც ახალგაზრდობის აღზრდის საკითხში ჩვენი მუშაობის ცენტრში სწორედ იდეური, მსოფლმხედველობრივი აღზრდის საკითხები უნდა დავაყენოთ.

ერთ-ერთ საშიშროებას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდა მწერლის მოსხლეტას სოციალისტური სინამდვილისაგან და მაშასადამე მის იდეურ გადაგვარებასაც — წარმოადგენს ნააღრევი პროფესიონალიზმისაკენ სწრაფვა. ხშირია შემთხვევა, როცა რამოდენიმე ლექსის დაბეჭვდეთ და. ნააღრევი ქათინაურებით წახალისებული ახალგაზრდა მწერალი თავს უკვე პროფესიონალურ ლიტერატურად წარმოიდგენს, უკვე ცდილობს ჩამოსცილდეს ყოველგვარ სხვა პროფესიას. და მთლიანად განისაზღვროს ლიტერატურული საქმიანობით. ასეთი ტენდეცია, რომელიც საქმაოდ გავრცელებულია ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაში, მრავალშრივად არის სახითათო და დამლუპველი. ჯერ ერთი შესაძლებელია პირველი „მიღწევები“, მოწონება და ქათინაურები არ გამართლდეს ახალგაზრდა მწერლის შემდგომ განვითარებაში. შესაძლებელია ახალგაზრდას არ აღმოაჩნდეს მნიშვნელოვან მხატვრულ ინდივიდუალობათ ჩამოყალიბებისათვის საჭირო მონაცემები. ასეთ შემთხვევაში ყველა სხვა პროფესიას აცდენილი ახალგაზრდა მწერალი სდგება პარაზიტად ქცევის, სოციალურ ხორცმეტად ქცევის შაფროთების წინაშე. მაგრამ კიდეც რომ ახალგაზრდამ გამოიჩინოს მწერლისათვის აუცილებელი ნიჭი და უნარი, ავ შემთხვევაშიაც ნააღრევი პროფესიონალიზაცია მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მის შემოქმედებით განვითარებაზე, ნააღრევად მომწყვდევა ლიტერატურული საქმიანობის რკალში ახალგაზრდა მწერალს აშორებს სინამდვილისაგან, სოციალური პრაქტიკის კონკრეტული ყოველდღიურობისაგან და მაშასადამე აცლის მას შემოქმედებითი ზრდის იმ ძროთად საფუძველს, რომელსაც სინამდვილის ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება ეწოდება. ცნობილია, რომ ყოველი დიდი ლიტერატურული ნაწარმოები შექმნილია სინამდვილის ლრმა ცოდნის, დიდი გამოცდილების შედეგად.

ამრიგაც ახალგაზრდა კადრების თდეურ-შემოქმედებითი აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ამ ახალგაზრდობის მიერ სწავლასთან, საწარმოო პრაქტიკასთან, კონკრეტულ ყოველდღიურობასთან კავშირის განუწყვეტლად. ახალგაზრდობის იდეურ-მსოფლიშედველობრივი შეიარაღების და მხატვრული კვალიცი-კაცის ზრდის ამოცანათა ჭოლიანობაში განხორციელებით.

## 2.

ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრებთან სასწავლო აღმზრდელობითი პუ-შაობის განვლილმა ხანმოქლე პერიოდმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მოგვეპოვება-მეტად ნიჭიერი და საიმედო ლიტერატურული ახალგაზრდობა, რომლის ჯანსა-ლი და ნორმალური ზრდა უცხველად მოგვცემს საბჭოთა ლიტერატურის ახალ-თვალსაჩინო კადრს. მწერალმა ლეო ქიაჩელმა თვეის წერილში ახალგაზრდა პროზაიკოსთა შესახებ საკმიოდ დამახასიათებელი სურათი მოგვცა პროზის დარ-გში მომუშავე ახალგაზრდობის ნიჭიერებისა და მხატვრული უნარიანობის შე-სახებ. უნდა ითქვას, რომ ქიაჩელის შეფასება მთელ რიგ ახალგაზრდა პროზა-იკოსებმა სავსებით უამართლეს უკანასკნელი წლის მხატვრული ნირშებით, ეურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული მოსე გვასალიას ორი მოთხოვნა-„აბრაგი“ და „მეჯოგე“, კ. ხიმშიაშვილის; გ. ჩიქოვანის და სხვათა ახალი ნამუშევრები გვარწმუნებენ, რომ ქართული მხატვრული პროზის დარგში-გვეზრდება ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც იჩენ სინამდვილის მახვილ ხედ-ვასა და გაგებას, ტიპაჟისა და ხასათების დახატვის უნარს, სიუჟეტური კომ-პოზიციის მიმზიდველად აშენების თვისებას და საერთოდ ისეთ მკაფიო მონა-ცემებს, რომელთა გაღრმავება უცხველად მოგვცემს საბჭოთა მხატვრული პრო-ზის ლირულებისანიშნავ ნიმუშებს.

ამ წერილის ფარგლებში ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ პოეზიის დარგში-გვეზრდები ახალგაზრდობის მხატვრულ პრაქტიკას და ამ საუუძველეს გავარკვი-ოთ ის დადებითი მონაცემები, რომელიც ამ ახალგაზრდობის შემოქმედებაში-მოგვეპოვება და აგრეთვე ის სიძნელეები, მტკიცებული და უარყოფითი მხა-რები, რომელთაც აგრეთვე საკმიოდ შეიცავს პოეზის ამ ახალი კადრების პრაქტიკა.

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების შეირთობის დამუშავებუ-ლი მასალები გვაძლევენ საცურაველს ვიფიქროთ, რომ პოეზიის დარგშიაც უცხ-ველად ნიჭიერი და საიმედო კადრი მოგვეპოვება. აქ პირველ რიგში უნდა-აღნიშნოთ ახალგაზრდა პოეტის გ. აბაშიძის მუშაობა. გ. აბაშიძემ განვილ-იდეური ჩავარდნებისა და გაურკვევლობის ისეთი საფეხური, როდესაც იყი-თავის პირველ ლიტერატურულ გამოსვლებს ტვირთავდა დაცემულობისა და-უმედობის განწყობილებით, ამსტრაქტული და ბუნდოვანი სახეებით, ჩვენი სინამდვილისაგან განყენებული თემებით. მაგრამ უკანასკნელ წლის ლექსებში-გ. აბაშიძე თავის პოეტურ მუშაობას ამყარებს ჯანსაღ განწყობილებებზე, სი-ნამდვილის კონკრეტულ მოვლენათა ნათელ ხედებზე და ისეთ საღ განცდებზე, რომელიც დამახასიათებელი უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდო-ბისათვის. ამავე დროს გ. აბაშიძე თანდათანობით იმახვილებს. გემოვნებას და-

ცდილობს მონახოს საკუთარი ხმა ქართული საბჭოთა პოეზიის საერთო ორგესტრში. ამ გარემოების მაჩვენებელია მისი ლექსები „გამოღვიძება“ და „პარაშუტი“, რომელშიაც ახალგაზრდა პოეტს აქვს მეტად ორიგინალური და მახვილი შედარებები, რითმისა და კომპოზიციის საიმედო კულტურა

„უსასაკო და უსულო თითონ  
გამოანათეს მაღლა ელვასებრ  
ქანაობს ქოლგა თოკებზე თითქო  
მთვარე ასულა საქანელაზე“.

უეჭველია ამ სტრიქონების ავტორს შეუძლია თანმიმდევრული მუშაობის მეოხებით ახლო მომავალში მონახოს თავისი ადგილი ახალ ქართულ პოეტურ კულტურაში.

მეტად საყურადღებო ნიმუშს მხატვრული ნიჭიერებისა და შესაძლებლობის თვალსაზრისით გვაძლევს გიორგი კალანდაძე. მისი ლექსი „შამილი“ მიუხედავად ზოგიერთი ადგილების სისუსტისა და შეუფერებლობისა, ლექსის საერთო აღნავობასთან უეჭველად მოწმობს იმის შესახებ, რომ ავტორს ეხერხება მკაფიოდ და მკვეთრად დაახატოს პეიზაჟი და ეს ნახატი ორგანიულად დაუკავშიროს იმ სოციალურ კოლიზიას, რომელზედაც ეშყარება. ლექსის იდეური ხაზი.

„შამილ ცეცხლად ამომტყდარი მთიდან  
ელვიანი გრიგალი და დელგმა,  
ნახევარი საუკუნე ღვრიდა  
მტრის სისხლსა და მთას გუშაგად ედგა.“

აქ უეჭველად დაკრილია ახალგაზრდა ავტორის მიერ მეამბოხე მთის ხალხის და მისი მეთაურის — შამილის ხასიათის მთავარი თვისება და იგი გამოხატულია არა მარტო სახეებსა და შედარებებში, არამედ ლექსალურ მასალის, რიტმის, სპეციფიურ დამახასიათებელ შერჩევაშიც. ახალგაზრდა ავტორი ახერხებს საკმარის მკვეთრად გამოხატოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მთის ხალხის დამარცხების მთელი ტრაგიული ფინალი.

„მაზრამ როცა ქარიშხალი მიწყდა,  
დაჭრილ ფოცხვერს მოუგრიხეს ქედი,  
მკერდში შერჩა დალესტანის მიწა  
და განწირულ მომენტის ხედი“.

გიორგი კალანდაძე ამ ლექსში გვაძლევს ზრდის უეჭველ მაჩვენებელს თავის წინა ლექსებთან შედარებით. იგი იჩენს გულმოდგინე, დაფიქრებული და მუყაითი მუშაობის საქებარ თვისებებს.

აგრეთვე საყურადღებო ძალას წარმოადგენს ახალგაზრდა პოეტები მიზე ილ ფოფხაძე. მას შესწევს უნარი გარემოცვის ისეთი შტრიხებით დაახატებ ფოფხაძეს მარტინ წარმოდგენას შეუქმნიან არა მარტო მოქვისა, რომლებიც მკითხველს მკაფიო წარმოდგენას შეუქმნიან არა მარტო მოქვისა, რომლებიც გარეგანი ფონის, არამედ ლექსში გამოხატულ პროცესებისა თუ ადგინდების სოციალური ბუნების შესახებაც:

„მორჩილი ოდა დაუდგამს ურსანს,  
ოდასთან ფიჭვი აწვდილა ცმდე,  
ფორთოხლის სისქე მოაჯირს ყურსავს  
და ფანჯრის მინებს შორიდან ანთებს“.

ამ მოხდენილად შესრულებულ პეიზაჟში მოცემულია შეურნეობის ხასიათის, შეძლებული კოლმეურნის წარმოდგენაც და მოქმედების გეოგრაფიული ლოკალიც.

მ. ფოთხაძისათვის დამახასიათებელია აგრეთვე შრომის პროცესების დინამიური გაღმოცემა.

„აილო ბარი, გადაჭრა ეზო,  
მოსწვა გვიმბრა და ეკალი მწირი,  
მზით და ფორთოხლით თვალი აეცხო,  
ებრძვის ნიადაგს, ულიმის პირი“.

თუ ფოთხაძეს არ გაიტაცებს წერის ის რაოდენობრივი სიმრავლე, რომელიც მას ახასიათებს, და რომელიც ხშირად ხარისხის შემცირების ხარჯზე ხდება, თუ კი იგი თავს დაალწევს ძლიერი გავლენების რყალს, მას შეუძლია განავითაროს ის უტყუარი მხატვრული შესაძლებლობანი, რომელიც მის ლექსებში გამოსჩანს.

მეტად მკაფიო და თავისებურ ნიჭიერებას წარმოადგენს ალექსანდრე საჯაია. მისი ლექსი „გაზაფხულის ზეიმი“ თუმცა არ შეიცავს თემის ახალტრაქტოვკას, მაგრამ მასში საკმაოდ მძლავრად მოცემულია მოზეიმე განწყობილება, ახალგაზრდული ალტაცება და გაზაფხულის პეიზაჟის სოციალური გააზრება:

„მოდის ენგურის აღმუილება  
მთებში დამდნარი თოვლის ბლავილი,  
ძხეში ატმების აყვავილება  
და ჯეჯილების ხიაღვარები“.

„ მოდის დიადი მხნე გაზაფხული  
ახალ ცხოვრების აქმჩრილ გზაზე,  
გაბრწყინებული და არ ხახული  
მოდის ვაჟკაცი ფერსისხლით სავსე“.

ასეთი ენტუზიაზმით გამობარი ლირიკა უნდა დამკვიდრდეს საბჭოთა პოეზიაში.

საინტერესოა განწყობილებისა და შემოქმედებითი განზრახვის მხრივ ბურჟულაძის ლექსი „ჩაპაევი“. ამ ლექსში შესრულება, პოეტური ტექნიკა გაცილებით დაბლა დგას, ვიდრე ავტორის მიერ კარგად მოფიქრებული თემის ინტერპრეტაცია და ის გულწრფელი უშუალო განცდა, რომელსაც ბალებს ახალგაზრდა პოეტში ჩაპაევის და მისი გმირული რაზმის ეპონეია:

„ნეტავი გრძნობდე, ჩემთ ლამაზო  
 სოციალიზმის მშობელო მხარევე,  
 რა რიგ მაშეოთებს, რომ შენთვის ადრე  
 ბარიკადებზე სისხლი არ ვღვარე.  
 მაგრად მერწმუნე, თუ კი ოდესმე  
 „ფრონტზე“ ძახილი შენგან გაისმა,  
 ვით ჩაპავევი გულანთებული  
 საიერიშვილ ფარხმალს ავისხამ.“

ეს ლექსი ამ დადებით ლირსებასთან ერთად კარგი ილუსტრაცია იმისა-  
 თვის, თუ რამდენად უყურადლებოდ ეპყრობიან ახალგაზრდა პოეტები ლექსის  
 ტექნიკის საკითხებს. კერძოდ, აქ მინიმუმიამდეა დაყვანილი რითმის ოსტატობა  
 და მხატვრული დეტალის მიმართ პასუხისმგებლობა. ამ მხრივ საყურადლებოა  
 აგრეთვე მ. ე ბ რ ა ლ ი ძ ი ს ლექსი „მამაჩემი“.

ავტორი მეტად ორიგინალური და საყურადლებო კუთხით აყენებს პრო-  
 ბლემას. იგი ხატავს მოხუცი მამის საკმაოდ რელიეფურ სახეს, რომელმაც

„გამოიზამთრა და იმ სუსხის ჭროს  
 არ ლირსებია ერთბელ სინათლე,  
 დღეს სურა სიცაცხალეს კვლავ ჩაეჭიდოს,  
 რომ ამ უხვორების სხივებით გათბეს“.

მაგრამ აქაც მახვილი და საინტერესო პოეტური განზრახვა შედარებით  
 დაბალხარისხოვან ქმხატვრულ საშუალებითაა განხორციელებული. ახალგაზრდა  
 პოეტმა უნდა გაამახვილოს ურადლება ლექსის ტექნიკის საკითხებზე. ჯერ კი-  
 დევ მარქსი გვასწავლიდა, რომ იდეები და აზრები, რა გინდ ღრმა და  
 დიდი არ უნდა იყვნენ ისინი, ვერ შეჰქმიან პოეზიას თუ ისინი მო-  
 ცემული არ იქნებიან ღრმა და მაღალ მხატვრულ ფორმებში.

ლექსის ტექნიკის მხრივ მეტის გულშოდგინებით არის შესრულებული  
 კ. ორ ბეჭედის „სიმღერა პურის მარცვალზე“. მეათიო სალებავებით და ერთგვარი  
 შინაგანი პათოსით ხასიათდება აგრეთვე გრ. აროსიან ლექსი, პატიში და-  
 მარცხებული მფრინავი გოგონას შესახებ, რომელიც ახალგაზრდა პოეტის მახ-  
 ვილი თქმით „დანავარდობდა როგორც მერცხალი, მოკრიალებულ საბჭოთა  
 ცაზე“.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტური კადრების ზრდის ერთ-ერთ მაჩვენებელს  
 ახალგაზრდა პოეტის ნ. ფხაკაძის მუშაობა წარმოადგენს. მისი მოსკოვის  
 პრელუდიები უდაოდ შეიცავს იდეური აქტუალობის და სიმახვილის და აგრე-  
 თვე მძაფრი რეალისტური გამოხატულების დადებით ლირსებებს. ლექსების ეს  
 ციკლი ოსტატობის მხრივ მაღლა სდგას მის პირველ პოემასთან („შრომა დღე-  
 ბი“) შედარებით. ეს ახალგაზრდა მწერლის ზრდის ბუნებრივი შედეგია. სამ-  
 წუხაროდ, ყველა ახალგაზრდა პოეტი როდი განიცდის. ასეთ თანმიმდევრულ  
 ზრდას. მაგალითად, ისეთი ნიჭიერი და საყურადლებო ძალა ახალგაზრდა პოე-  
 ტებს შორის, როგორიცაა ზაქრონ დოლიაშვილი ვერ გვაძლევს ზრდის  
 და მხატვრული მომწიფების მაჩვენებლებს.

როგორც ვხედავთ ჩვენს პოეტურ ახალგაზრდობას ახასიათებს თემატიური კონკრეტობა და სიახლე, სალი განწყობილება, სინამდვილის რეალისტური ხედვა. ახალგაზრდა პოეტების დასახელებული ბირთვი იჩენს უნარს პოეტური ოსტატობის დაუფლების საქმეში. მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების ზრდა შეიცავს მთელ რიგ მტკიცნეულ და უარყოფით მომენტებსაც. აღსანიშნავია ერთფეროვნების და მონოტონობის საფრთხე ახალგაზრდათა შემოქმედებაში. აგრეთვე საერთობის ცპიკონებაზე მისული ძლიერი გავლენები. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს დაბალი კულტურული დონის გამო არ შეუძლიან დასძლიოს და ათვერსოს ლიტერატურული მასალა იმგვარად, რომ მის ტყვეობაში არ მოექცეს.

თემატიურად ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება უმთავრესად ბუნებისა და სოფლის მასალებით განისაზღვრება. ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია და მისი გმირები ნაკლებად მოსჩანან ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში. ეს კი მოასწავებს ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლას. ამს. მ. გ. რ. კ. თავის „წერილში „საუბარი ახალგაზრდებთან“ მიუთითებდა ამ საშიშროებაზე. მართალია, შიგვითითებს გორკი—ქვის მასალაზე მუშაობა უფრო მნელია, ვიდრე ხის მასალაზე; რკინის მასალის დაძლევა კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ქვის, ხის ფიცრულში წოდებული ცხოვრების აღწერა უფრო ადვილია, ვიდრე მრავალსართულიან ბეტონის შენობაში, მაგრამ ახალგაზრდობამ უნდა შესძლოს რთული გზით სიარული, ინერციის დარღვევა და თემატიური მრავალფეროვნების მიღწევა.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე მეტად ბუნდოვან და განვენებულ მუშაობის ნიმუშებს, როცა ავტორს არაუერი აქვს სათქმელი კონკრეტულად და ეს იდეურ თემატიური სიცარიელე, რა თქმაუნდა, ჰქმნის უფერულ მხატვრულ ფორმებსაც.

თემატიკური ბუნდოვანება ახასიათებს ძსეთ საინტერესო დაწყებ მწერალს, როგორიცაა შ. ამის უ. ა. შვილი, რომელსაც უკველად აქვს სწრაფვა რთული პოეტური ფორმებისაკენ.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით პლაკატიზმს და განვენებულ რიტორიულობას. აი, მაგალითად, გ. ნასარიძის ლექსი ვკითხულობთ:

„ყველადღიურად მშენებლობის მატულობს ტემპი,  
ბრძოლა ურყევი ჩვენს წინაშე ცდგას ამოცანად.  
სრულდება, გეგა მშენებლობის გადამეტებით  
და ამ ჭიდილში ჩვენც ვიზრდებით გასაოცარად.“

ან. კიდევ კ. ჭავჭავაშვილი სწერს:

„შიში არ ცყრობს გმირებს სრულიად,  
ებრძვიან ფაშიზმს, პიტლერს სისხლიანს.  
ჟველა ფაშიზმი განწირებულია  
მას სიკვდილისგან ჭერ დაიხსნიან“:

ცხადია, რომ ეს სტრიქონები გარითმულ აგიტკას უფრო შეეფერებიან. და მათში პოეტური ცოტა რამ არის.

ახალგაზრდა პოეტები ხშირად იჩინენ უდიდეს დაუდევრობას ლექსის გაფორმების საქმეში. აი ამის თვალსაჩინო ნიშანი: ივ. შაიშმელა შვილი ამგვარად იწყებს ლექსს:

„მთაბე ავდივარ ხვალა,  
ლამეს დავწებდით ახლა,  
ფიქრები ფიქრებს ხრავენ:  
ეს განძრასვა თუ ახდა.  
გადავალო ცისფერ ხრაშებს  
თუ სიკვდილი არ დაგვევდა,  
ხოლო ეს ერთი ღმე  
და მთას ავიღებთ მაღალა.“

აქ არც რითმაა, არც სახე, არც მუსიკა, ერთი სიტყვით, არაფერი ისეთი, რაც პოეზიის ატრიბუტს შეაღებს.

პოეტურმა ახალგაზრდობაში მეტად სუსტად იცის ქართული ენა. ხშირად ვხვდებით უაზრო და ბუნდოგან ფრაზებს. სინტაქსოურად ყოვლად გაუმართლებელ სტრიქონებს. შაგალითად ვასილ ლომიძე სწერს:

„შენ, როგორც ხშირად ქალების მოლგა,  
თარი მითბარ მიძნად წვალების.

ან კიდევ შამათავა სწერს:

„დადგენ ბორბლები სიჩქარით მთვრალა  
მთელ ღამით მანძილს გერსებად ხოცდენ“.

ახალგაზრდა მწერლებისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს ენის ღრმა დაუფლება და მისი გრამატიკული ფორმებისა და კანონების შესწავლა.

ახალგაზრდა პოეტები ხშირად ამუშავებენ ლირიულ, ინტიმურ თემებს, ხშირად ვხვდებით ლექსებს სიკვარულის თემაზე, შეგრამ ამ პრობლემის ორიგინალური ტრაქტოგვის მაგიერ გვაძლევენ ისეთ ვულგარულ და პრიმიტიულ გადაწყვეტის, როგორიცაა, მაგალითად; გ. აროსიას ასეთი სტრიქონები:

„ვაი, რა რიგად მიყვარდა იგი,  
გნაღვლობ მშვენიერს რატომ მოვცილდი,  
რატომ ვითმენდი, ძალიან მიკვირს,  
ბროჭეულ ლოყებს რად არ ვკოცნიდი“.

ამ სტრიქონებს კომენტარიები ალარ ესაჭიროება.

დასასრულ, არ შეიძლება არ შევეხოთ ახალგაზრდა პოეტების გატაცებას დასასრულ, არ შეიძლება არ შევეხოთ ახალგაზრდა პოეტების გატაცებას გრძელი ლექსებით. ს. ს. რ. კ. მწერალთა კავშირის მეორე პლენუმზე მ. გორგელი ლექსებით. ს. ს. რ. კ. მწერალთა კავშირის მეორე პლენუმზე მ. გორგელი ლექსებით შენიშნა „კილომეტრიანი“ ლექსების შესახებ. ბუნებრივია, კი მ მოხდენილად შენიშნა „კილომეტრიანი“ ლექსების შესახებ. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა პოეტებს ხშირად არ ყოფნით პოტენცია და მხატვრული საშუალებანი ასეთი ლექსების თანაბარი ისტატობით დამუშავებისათვის.

მხატვრული კვალიფიკაციის თანმიმდევრული ამაღლებით სამწერლო ისტატობის, დაუფლებით, იმ მხატვრულ შესაძლებლობათა გაღრმავებით, რომ აზრის ნიშნები ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში საქმაოდ მოიპოვებიან — ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა დღითიდღე სძლევს დასახევებიან — ჩვენი ლიტერატურული ნაკლულოვანებებს და შემართება რეალისტურ ლირიკის მხატვრულ ლებულ ნაკლულოვანებებს და შემართება რეალისტურ ლირიკის მხატვრულ ლებულ სინამდვილესთან ორგანიული კავშირი და ფორმებისაკენ. სოციალისტურ სინამდვილესთან შეიარაღება აუცილებელი პირობაა პროლეტარული მსოფლმხედველობით შეიარაღება აუცილებელი პირობაა შესაიმისათვის, რომ ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობისაგან მივიღოთ „შესანიშნავ ლიტერატორთა ახალი არმია“.



ს. კლდიაშვილი  
ნახ. თ. აბაკელიასი

300 300 300

## სერგო კლდიაშვილი

თავის ნაწერებისთვის სერგო კლდიაშვილი ისტორიულ წარსულის თემებზე იღებს. იგი ძალიან კულტურიანია. კარგად იცის და უყვარს თავისი მშენების სამშობლოს ისტორია, ხალისით იკვირება მის მიყრუებულ, მთიან კუნძულებში. იგი ხშირად მიმართავს ხოლმე ძველებურ მატიანების, ხალხურ თქმულების და სიმღერების ინტერპრეტაციას.

კლდიაშვილის ქმნილებებში თვალსაჩინო აღგილი უკავია პატარა „სეანურ შოთხრობათა“ ციკლს. ამათში განსაკუთრებით გამოიჩინევა „ლაშხეთის ბატონი“. ქართველმა პროზაიკოსმა მოახერხა ამ ნოველის სოციალ-ისტორიული თემის დიდი ექსპრესიონ გადაწყვეტა და ფეოდალურ დესპოტის თავად დავლეთ ყიფიანის წინააღმდეგ სვან გლეხების აჯანყების დანახვება.

კლდიაშვილი ნათელ სახეებით გვიჩვენებს თავის, ძველ ბატონისაღმი სვანების საუკუნოებით დაგროვილ შეურიგებელ სიძულვილის აფეთქებას.

ნოველა „უშგული“ მიძლვნილია ანალოგიური თქმისაღმი—თავისუფალ სვანების ბრძოლა თავად ფუთა დადეშქელიანთან, რომელიც მათ დამონებას ცდილობდა და მახეში კი გაება, მხოლოდ კი, ეს ნოველა რამდენადმე უფრო სუს-

ტად და სქემატიურად არის დაწერილი. ძალიან ზუსტად გვიამბობს ავტორი ხალხურ გადმოცემას უშესულებისაგან თავადის მოკვლის შესახებ, თუმცა მას აქ არ შეუქმნია წერილმანი, მაგრამ დამაჯერებელი ადამიანის სახის სიმუკრცელის, ემოციონალურ სიმბლავრის და სრულ მხატვრულ დამაჯერებლობის მომცემი დეტალები. ფუთა დადეშექელიანის დახატვა ავტორს უფრო ნაკლებად მოუხერხებია, ვიდრე დავლეთ ყიფიანის.

საჭიროა შევჩერდეთ საქმაოდ დიდ მოთხოვბაზე „ხალდე“, რომელიც იმავს ვანურ ციკლს ეკუთვნის. ესეც ავტორს მიძღვნილ აქვს სვან გლეხების თავისუფლებისათვის ბრძოლისადმი. მაგრამ ძირითად თემად აქ აღებულია რუსთის მიერ კავკასიის კოლონიზაციური დაპყრობის ამბავი. ისტორიულ ქარგად კლდიაშვილს აქ აღებული აქვს 1875—1876 წწ. ამბები, როცა მეფის ხელისუფლების შჩაგვრელობით აღმფოთებული თითქმის მთელი სვანეთი გამოვიდა იარალით ხელში. რეალურ ფაქტების გაბეჭეტრისტებით ავტორს ერთ მთლიან ამბევად გადაუხლართნია ამ წელიწადების სხვადასხვა ამბები, ცოტათი გადასულენია ისტორიულ სინამდვილეს და ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, მაგრამ ამისთანა სრული სიზუსტე შხატვრულ ნაწარმოებში საჭირო არ არის.

ავტორს მოუხერხებია სახალისო ფორმებში მოეცა ცხადი და ნათელი სურათი რუსულ დიდმპყრობელურ იმპერიალიზმისა. დამაჯერებლად და მკაფიოდ არის მოხატული „ხალდეში“ სვან გლეხობის სიყვარული მშეიდობიანობისადმი. ისინი ცდილობდნენ შხვლოდ დაეცვათ თავიანთი საუკუნოებრივი უფლებები უხეშ ძალმომრეობისაგან. მექითხველი ხედავს, რომ მათ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი არა აქვთ, არა აქვთ სხვა გზა დამპყრობელთა და შჩაგვრელთა წინააღმდეგ შეიძარალებულ ბრძოლის გარდა.

დიდი სიცხოველით და მხატვრულ ტაქტით გვაძლევს სერგო კლდიაშვილი სვანეთში თავნებობით მოქმედ რუს ოფიცირების პორტრეტებს.

აი, მაიორი შაბუროვი, რომელიც ოდნავ მოგვაგონებს ლერმონტოვის მაქსიმიშის, ადამიანს, რომელსაც გული არ უტყდება და „გულკეთილია“, მაგრამ, რომელმაც საუკუთხსოდ იცის უჩემთის მთიულების დამორჩილება. საუკხოოდ არის გადმოცემული ამ ძეელი მსახურის ფსიქოლოგია, ოჯახს მოწყვეტილისა, კავკასიაში გაპალარავებულისა და ცოტათი მოღუნებულის. აი, ახალგაზრდა ოფიცერი ადოლინი, უძროსი ძმა ლერმონტოვისა და მარლინსკის სხვა გმირებისა. იგი ცოტათი გულგატებილია ცხოვრებაზე და ცდილობს, თუ შემთხვევა მიეცა, წაიტრაბახოს კიდეც და სამსახურშიც წარმატება მიიღოს. იგი სავსეა სვანებისადმი დიდმპყრობელურ ზიზლით და ზემოდან დასცემერის მათ. მაგრამ აჯანყებულ სვან გლეხების მეთაურთან ღამბი რატიანთან პირისპირ მორალურ შებრძოლებაში მაღლა სდგას „ველური“, ცივილიზებულმა რუსმა ოფიცერმა კი თავი გამოამჟღავნა, როგორც უვარებისმა, კეთილშობილებას მოქლებულმა ადამიანმა. მაგრამ ადოლინი, ისევე როგორც სხვა ოფიცირები, არ არის გამოყვანილი უხეშად, განგებ გამარტივებულ ტენდენციოზობით. ესენი ყველა ცოტალი ხალხია და არა პირობითი სქემები „უარყოფითი ტიპებისა“. მექითხველის სიმპატია უამისოდაც სვან გლეხების მხარეზეა.

ამას გარდა, ქართველმა მწერალმა მოახერხა და დაგვანახვა, რომ რუს სალდათებს სვანეთში მშეიღად ცხოვრებით თანდათანობით დავიწყებიათ სამ-

ხელრო საქმე, უბრალო რუს გლეხებად ქვეულან და საწმობლო მინდვრებსა და შორეულ ქოხებზე ოცნებობენ. მაგრამ ეს თემა რუს საღლდათისა ავტორს უფრო სერიოზულად და ღრმად უნდა განვითარებია, ასევე უნდა განვითარებია თემა სკან გლეხებისა, რომლებიც ერთსადაიმავე დროს რუს დამპყრობელების წინააღმდეგაც იძრძებიან და თავიანთ თავად-მებატონების წინააღმდეგაც. მაშინ კლდიაშვილის ეს მოთხოვთ დიდ სოციალურ მნიშვნელობისა გახდებოდა.

სხვა გეგმაზეა დაწერილი მოთხოვთ „წარმართი“. აქ სერგო კლდიაშვილი ნამდვილი ოსტატობით გადმოგვცემს შეელ სვანურ ცხოვრების თავისებურობას, ადამიანთა შორის ურთხერთ დამოკიდებულების უბრალოებას და ამავე დროს სირთულესაც. სვან გლეხებისა და თავადების მტრობის თემა აქ ისე მკაფიოდ არ გაისმის, როგორც „უშეგულში“ და „ლაშეთის ბატონში“. ამ წოველის გმირია სვანი გლეხი სოჭანი, მხატვარი, რომელსაც ხელობა თავისით უსწავლია, იგი პრიმიტიული და ამავე დროს ნაზი-ნატიფი ადამიანია. მან ჩაიმარხა გულში სიყვარული იმ ქალისადმი, რომელიც ტყველ ჩაუვარდა მეზობელ თავადს, განაგრძობს ამ სიყვარულს და წარმართულად აღმერთებს სიკოცხლეს, მისი ცისრულით, ნაყოფიერებით და ჯანსაღი ძლიერებით. აქ კლდიაშვილს უპოვნით სიუჟეტის ნაკლებად დაძაბულობას, მაგრამ სამაგიეროდ მეტ ფსიქოლოგიურ სილრმესა და ნატიფ ლირიზმს. განსაკუთრებული ძალით არის გამოშეღავნებული „წარმართში“ ავტორის საუცხოვოდ განვითარებული გრძნობა-ბუნებისა. კარგია მოკლე პეიზაჟური აღწერილობანი: დილა მთებში, მაღალ ველებზე მოსეირნე ნახირი. ბევრია წოველაში სურათიანობა, სივრცე, ჰაერი; ოლონდ კი მთელს მოთხოვთ ენებს ნამეტური მშეგიდი, იღილიური ტონი. არ არის „წარმართში“ სოციალური სიმახვილე, რაც იმდენად დამახასიათებელია „ლაშეთის ბატონისა“ და ზოგ სხვა ნოველისათვის.

ისტორიულ ნოველისტიკის დარგში სერგო კლდიაშვილს, მხცოვან ნიკოლორთქიფანიძის გარდა („შრისხანე ბატონის“, „უამთა სიავის“ და სხვა გამოჩენილი მოთხოვთების ავტორი) ქართულ ლიტერატურაში ძნელად თუ ვინმე შეედრება. მაგრამ, ნიკიერ ქართველ მწერლის ყურადღება, მგონი რომ, ნამეტ-ნავად არის მიქცეული ისტორიულ წარსულისაკენ. ისტორიული სახეები, თავის-თავად მნიშვნელოვანი, ნამეტურად ტვირთავენ მის შემოქმედებას და განარიღებენ ჩვენი ეპოქის მოვლენებისაგან. ისეთ ნაწერებშიც კი, რომლებიც თანამედროვებას შეეხებიან, ავტორი ნამეტნავად აგემრიელებს ისეთ რაიონების ეგზოტიკურ „ველურებას“, როგორც კარგულ უბრუნველყოფა-ცხოვრებით ჩამორჩენილობას, ცრუმორჩმუნებას, სისხლის აღებას და აღამიანის შეგნების სხვა არქაულ ნაშთებს. მაგალითად, მოთხოვთაში „ნაპრალი“ ჩვენ ვეღდავთ ახალგაზრდა სვან ჯაგუს, რომელიც მზადაა ჩვენს დროში ვერაგულად მოჰკვდას ადამიანი, მხოლოდ იმისათვის, რომ ხელთ იგდოს მისი თოფი.

კლდიაშვილი თავის ნაწერებს რეტროსკოპიულ გეგმით აშენებს და თითქმის არას ამბობს იმაზე, თუ როგორ იცვლება სოციალურ საფუძველზე ცხოვრება. ცოტა აქვს ქართველ მწერალს ბრძოლის სახეები. თუმცა თავის მოთხოვთ „ციცინო გურიელი“ იგი მიუძღვნის 1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობას დასავლეთ საქართველოში, აქ, რევოლუციონერი ნიკოლა მაინც ისეა გა-

მოყვანილი, როგორც უმოქმედო მსხვერპლი გამშვინვარებული რეაქციისა. სერგო კლდიაშვილს დადებითი გმირები ცოტა ჰყავს, მართალია, მოთხრობაში „გიო“ ვხედავთ აეტორის ცდას ძირითად პერსონაჟად გამოიყენოს საბჭოთა მეურნეობის ფერმის ხელმძღვანელი. ავტორს კარგად გამოსცვლია ეს სახე ახალგაზრდა, საბჭოთა მუშავისა, თანამედროვე საქართველოს. ტიპიურ მოღვაწისა, მაგრამ აქაც კი, სხვადასხვა რომანტიკულ გაღმოცემებს და ცრუმორწმუნოებებს მკითხველის ყურადღება სადღაც, სხვა მხარეს მიჰყავთ. გიო, მოთხრობის ნამდვილ გმირისაგან მხოლოდ მოამბედ არის. გადაქცეული. ყველაფერი ის, რაც ნამბობია გიოზე, ძირითად სიუჟეტია კი არ გამოდის, არამედ სანოველო „ჩარჩოდ“.

\* \*

ბელეტრისტიკის მცირე ლიტერატურულ ფორმათა პრობლემას საქართველოში, როგორც ჩვენში, ბევრი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მოკლე ნოველის მნიშვნელობის შეუფასებლობასთან ერთად, ქართველ მწერლებში ხანდახან გაისმიდა ხმა, რომ დიდი, მრავალგეგმიან რომანის „დრომოქმული“ უარი საქართველოს ლიტერატურას არ ეთვისებათ. რეალურმა ლიტერატურულმა სინამდვილემ უარპყო ეს მტკიცება. ეხლა ჩვენთვისაც და ჩვენი ქართველი ამხანაგებისათვისაც ნათელია, რომ თვით დაყენება საკითხისა „წამყვან უანრის“, შესახებ არ არის მართებული.

მხატვრულ პროზის უმაღლეს ფორმად სერგო კლდიაშვილი წინათ მინიატიურას სთვლიდა — პატარას, საზღვრისად შეუმშულ ნოველას. ცნობილი მწერლის სახელი მან მოიხვევა სწორედ როგორც ნოველის ტმა. ნოველის ტექნიკას იგი საუცხოვოდ ჰყულობს. რამდენიმე სტრიქონიანი მისი ნოველები ჩვეულებრივ განსხვავდება არა მარტო გულდასმითი გამართულობით და ჩამოყალიბებულ კომპოზიციით, არამედ აგრეთვე დაძაბულობით და სიტუაციის სიმახვილით.

ჩვენთვის უკვე ნაცნობ „სეანურ მოთხრობათა“ ციქლში და სხვა ნოველებში უფრო ხშირად არაჩვეულებრივ ამბებს ხევდებით, ძლიერ ხასიათების შეფარდებას, მკვეთრად გამოყანილ კონტურებს და ჩრდილებს. ავტორი ჰქმნის ფარგლებას, სიუჟეტის დაძაბულობას და ხშირად უპირატესობას აძლევს ლაკონიურობას, რომეთავსეკვებულად და ძუნწადაც კი აღწერს ერთ რომელიმე შემთხვევას, რომელიც სრულებით ვერ მოთავსებულა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრების ჩარჩოებში.

ა. მ. გორკიმ თავის სტატიაში: „ლიტერატურული გართობანი“ წამოაყენა საუცხოო დებულება, რომ „ჰეშმარიტ ხელოვნებას აქვს გადიდების უფლება“, სერგო კლდიაშვილი მისდევს ხელოვნების ამ კანონს, მაგრამ ყოველთვის განსხვავდებას, სარგებლობის ადამიანი მის ყოფაცხოვრებიანად ერთად. სერგო რომ ყოველმხრივ აღწეროს ადამიანი მის ყოფაცხოვრებიანად ერთად. სერგო კლდიაშვილი სარგებლობს გროტესკის ხერხებით და ამახინჯებს სინამდვილეს, ამით ხშირად მიაღწევს ხოლმე დიდ მხატვრულ მეტყველებას, რაც ანათესავებს მას პროსპექტ მეტიმესთან. ქართველ მწერლის შემთხვედების სრულ ნაციონალობას პროსპექტ მეტიმესთან. ქართველ მწერლის შემთხვედების სრულ ნაციონალობასთან ერთად თავისთვალი იძადება საკითხი კლდიაშვილის მთელ რიგ ნაწარბასთან ერთად თავისთვალი იძადება საკითხი კლდიაშვილის

მოებთა და მერიმეს ისევ ნაწარმოებთა სტილის შედარებისა, როგორიცაა მისი „კარმენი“, „მატეო ფალკონე“, „ჯუმანი“ და „კოლომბა“. გავიხსენოთ რომ პ. მერიმე უაღრესად მაღლა აყენებდა „საკუთარ დაკვირვებათა შენივთებას და ამავე დროს მათთვის განსაზღვრულ ფორმის მიცემის“ მოხერხებას. მას. აჩ მოსწონდა რომ ი. ს. ტურგენევი „ძალიან დიდხანს ჩერდებოდა აღწერილობაზე, უკუკელად სწორზე, მაგრამ მაინც მოკლედ აღსაწერზე“<sup>1)</sup> ვგონებთ, რომ მე-რიმეს თეორიულ მოსაზრებას კლდიაშვილი დიდი ხალისით მოაწერს ხელს. „სვანურ მოთხრობათა“ ავტორი ხშირად გასძახის მერიმეს, გასძახის ისე, რო-გორც, მაგალითად, ნიკ. ტინიანოვი თავის „ქლევა ა თუმანე“ და ზოგ სხვა ნოველებში.

კლდიაშვილი მიდის იმ გზით, რომელიც დაქნილი აქვს ცნობილ ფრანგ წერალს და მოხერხებულად, ხანდახან ხელოვნურადაც კი, გაათამაშებს ხოლმე წერილმანს. დეტალების ამნაირ თამაშის მეოხებით ავტორი შესაძლებლობას იძენს ერთ რომელიმე ნიმუშით უაღრესად შემჭიდროვებულ ფორმებით გამო-ხატოს ის, რასაც გაცილებით მეტი დრო და ადგილი დასკირდებოდა. მაგალი-თად, ფრესკაზე გამოხატული გახეთქილი წარბი რეალურ სვან ქალისა, „წარ-მართი“) ან თიბის ლიტრა, რომელიც გლეხებისაგან საჩქაროდ მიტოვებულ სოფელთან გდია („კრიალოსანი“), მკითხველს „ცოტაში ბევრ რამეს ეუბნება“. არა ნაკლებ მოხერხებულად და ცოდნით მიმართავს ხოლმე კლდიაშვილი „მკითხველთან ბასის“ ჩართულ ხერხს, იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს გრძელი აღწერილობა. ამის გამო ავტორი არ ფერხდება ისეთ რამებზე, რაც სიუჟეტის განვითარებისათვის ნაკლებად არსებითია („ქალაქი ხეობაში“). ყვე-ლაფერი ეს ერთხელ კიდევ მეტად მოწმობს ქართველ მწერლის ხელოვნებას, აგრეთვე იმას, რომ იგი მიისწოდა განმორდეს ტრაფარეტულ, „კანონიკურ“ ლიტერატურულ ფორმებს, ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი მის ნოვატორულ ძიებებზე.

მაგრამ სერგო კლდიაშვილის, როგორც მწერლის თავისებურობა, არამც და არამც არ ამოწურულა და არც ამოიწურება გროტესკის ფართოდ გამო-ყენებით, სიუჟეტის უჩვეულობით. თავის შემოქმედების უფრო ადრეულ ხანაში (ნაწილობრივ ეს უკანასკნელ წლებსაც შეეხება) მწერალი თავის ნაწარმოებებს სულ სხვანაირ ტონებში ჰქმნიდა. თუ შესაძლებელი იყო მის სვანურ მოთხრო-ბათა უმრავლესობა და ზოგი სხვა მისი ნაწერები პროსპერ მერიმეს სტილისა-თვის შეგვედარებია, სამაგიეროდ ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „დიდი შაბათი“, „ქალაქი ხევში“, „ცხოვრება პატარა კაცისა“ ზოგიერთ რამეში ჩეხოვს გვაგონებს. ამ მოთხრობებში სრულებით ვერა ვხედავთ სიუჟეტის ეფექტურ განვითარებას, მდგომარეობის დაძაბულობას, მოხაზულობათა გროტეს-კულ მკეთრობას. პირიქით, ეს მოთხრობები მშვიდი ჭვრეტით, დაფიქრებით არის სავსე, დაცულია რბილი ტონები. ამბები აქ შედარებით ცოტაა. სამაგიე-როდ ბევრია მოფიქრებითი დაკვირვება, ფსიქოლოგიური წმინდა დეტალები და რამდენადმე გამხვალი სიყვარული „საზოგადოდ კაცისადმი“. მაგალითად; ნოველაში „ქალაქი ხევში“ ბევრი კეთილი, სრულებით უწყინარი ჰუმორია.

<sup>1)</sup> ნახე წერილები მერიმეზე, პუშკინზე და გოგოლზე და მისი „რჩეული ნაწერები“ ა. ვ. ვინაგრადოვის რედაქციით. (სახ. გამ. 1930 წ.)

ავტორი ხელოვნურად გვიხატავს ერთ პატარა ქალაქის მცხოვრებთა ქვეყანას ესენი, რაღაცნაირ მცენარულ ცხოვრებით ცხოვრობენ და მათი გაყიდება პრო-ლეტარულ რევოლუციას ჯერ არ შეუძლოებელია. ჰუმანისტურ ტონებით გვიხატავს კლდიაშვილი. სხვადასხვა ტიპის უმნიშვნელო აღამიანებს და კაცუნებს და, ხანდახან ნამეტურ თანაგრძნობით ლაპარაკობს მათზე.

ამხრივ მეტად დამახასიათებელია მოთხრობა „ცხოვრება პატარა ქაცისა“; მოთხრობა მთლიანად მიძლვნილია ვიღაც მელიტონ გიბრაძისადმი, რომელსაც ყველაფერი წარსულში აქვს. ეს ფოტოგრაფი არამც თუ სრულებით უმნიშვნელო ტიპია, რომელიც ყოვლად უზროდ, მაგრამ გულის ამაჩუყებლად ინახავს თავის გარდაცვალებულ ცოლის ხსოვნას და ვერას ხედავს თუ რა ხდება. საბჭოთა ქვეყანაში, არამედ იგი მტერია რევოლუციისა, წინააღმდეგი ყველაფერ ახალისა. მართალია, სუსტი მტერია და არა საშიში, მაგრამ მაინც მტერია; ავტორმა, რომელიც სინამდვილეს გადამეტებული „ნეიტრალობით“ ეპყრობა, თავის ეს გმირი ეგრედ წოდებულ საერთო საკაცობრიო „ობიექტობით“ აღწერა. მან თუმცა გაკაცტრებულად აღიარა წარსულზე მგლოვიარე ისეთი ხალხი, როგორიცაა ეს მელიტონ გიბრაძე, მაინც ვერ შეაფასა კლასობრივად მტრული არსი. იქ, სადაც ჰუმანის და შებრალების გამოჩენა კი არ იყო საჭირო, არა მედ ნამდვილი მხილებლის ხასიათი, სერგო კლდიაშვილი ნამეტურად ულვარძლო და რბილი გამოდგა. სინამდვილისადმი აქტიური დამოკიდებულებისა და სატირული გამათრახების მაგივრად მწერლის ჰუმანისტური ბუნება გამოიჩინა, თითქოს ებრალება ყველა უბედური და „პრძოლას განხე“ გასდგომია. და განა საერთოდ ღირდა კი ჩეენს დროში ამდენ ყურადღებად ის ხალხი, რომელიც თავიანთ საცოდავ ობიექტებურ ყოფაში ჩაკეტილა და არაფრის შექმნის თავი არა აქვთ? კლდიაშვილი ძალიან ხშირად იძლევა ძეველი ქვეყნის გმირების მხატვრულ სახეებს, იძლევა თითქოს ახალ ცხოვრების ყლორტების გამონახევის ხარჯზე და ამჟღავნებს იმ იდეურ უზუსტობას, რომელზედაც ლაპარაკობდა ამხ. ტოროშელიძე მწერალთა ყრილობაზე.

\* \*

უკანასკნელ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „ფერფლი“, რომელიც დაწერილია ჩენონთვის უფრო აქტიულურ და მახლობელ თემაზე, ვიდრე მისი სხვა ნოველები. ამ მოთხრობაში აუტორი მხატვრულად აღწერს ქართულ სოფელს იმპერიალისტურ ომის დროს. მწერალმა, რომელიც ოდესალაც სიმბოლისტთა რიგებში იყო და ყოველგვარ ყოფაცხოვრებას უცხოობდა, გლეხის ცხოვრების საუკეთესო ცოდნა გამოიჩინა. მრავალ სამახსოვნო სახეებსა და ეპიზოდებში ავტორი ძალიან ნათლად გაღმოგვცემს ქართულ სოფელის თავისებურებას „couleur local“ — ადგილობრივ კოლორიტს. „ფერფლში“ ჩეენ ეხედავთ ცხოვრების ბევრ წერილმან დეტალს, რის გამოც მოთხრობა მხატვრულად დამაჯერებელი ხდება და აღამრინთა სახეებს სირბილესა და სიობოს აძლევს.

ყურადღების ღირსია სერგო კლდიაშვილის დამოკიდებულება იმპერიალისტურ ომისადმი. უწინარეს ყოვლისა იგი გვიჩვენებს სამხედრო ამბების „შიგნითა პირს“, ფრონტის ზურგს, გლეხურ სუსტ მეურნეობის დალუპვას;

ჟედებისა და მამების დარღს: ფრონტს კი ავტორი გვიხატავს ყოველგვარ პრიმიტიულ გმირებისა და ბრძოლის პირობითურ რომანტიკის გარეშე. ის შეუნიშნავი და უბედური ხალხი, რომლებზედაც ავტორი მოგვითხრობს—ქართველი, რუსი, უკრაინელი გლეხი — უაზროდ ილუპება, არ კი ესმის რისთვის, ფიზიკურად და მორალურად მახინჯდება. ამ ხალხსა და ზურგთ-უქან დარჩენილთა შორის ჩნდება და იზრდება უცხოობა. ფრონტზე მყოფნი წარმოუდგენელ მარტოობას, სულიერ სიცარიელეს განიცდიან. „ქვეყანა სამუდამოდ დაბნელდა მათთვის“ — ამბობს კლდიაშვილი. ომი ძისთვის ველური მაჯლაჯუნაა, უაზრობა, აბსურდი. აქ ქართველი მწერალი ერთგვარ პაციფიზმშია ჩავარდნილი. ეს ნაწილობრივად ანათესავებს მას დასავლეთის ისეთ წვრილბურუეჭიულ მწერალთან, როგორიცაა ერის მარია რემარქი. სერგო კლდიაშვილს თითქოს ავიწყდება ომის კლასობრივი აზრი, ეს გამორჩენია მას მსოფლმხედველობიდან.

ამგვარ თემებზე გაცხოველებული დისკუსიები ჩვენშიც და საქართველოშიც ცოტა არ ყოფილია. ჩვენ ერთმანეთისაგან მოწყვეტილები რომ არ ვიყოთ, კამათი იმპერიალისტურ ამის მხატვრულად ასახვის შესახებ უფრო ნაყოფიერი და საინტერესო იქნებოდა.

სერგო კლდიაშვილის შემცდარი, პაციფისტური დამოკიდებულება დაკავშირებულია მის პუმანიზმთან, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. ხელახლა გამოამჟღავნა ავტორმა თავისი გამხვალი სიყვარული „საზოგადოდ“ კაცისადმი და სხვადასხვანაირ ადამიანებში. როგორც საჭიროა ისე ვერ დაინახა გარკვეული სოციალურ იდეებისა და ბუნების მატარებლები. ამიტომ მან თავის მოთხოვნაში გლეხთა მასას საკმარისი დიფერენციაცია ვერ უყო.

ამასთანავე ერთად კლდიაშვილმა მაინც აღნიშნა ქართული სოფლის სოციალურ ფენებად დანაწილება. ერთი მხრით ვხედავთ უქონელ გლეხებს, რომლებსაც ომდა წუხილისა და საბოლოოდ განადგურების მეტი არაფერი მოუტანა, მეორე მხრივ ჩვენს წინ გამოდიან მდიდრები, პარმენ ლანჩის ტიპისა, რომლებიც ლარიბებს ექსპლოატაციას უწევენ და ომის დროს მდიდრდებიან. კლდიაშვილმა ძალიან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ქართველ გლეხებს, ისე როგორც ყველა მშრომელებსაც, ომის, „ისტორიულ მიზნებთან“ არა ესაქმებოდარა. რასაკვირველია, ომს ქართულ სოფელში, შეეძლო გამოეწვია მხოლოდ გაავება რუსულ მთავრობისა და საკუთარ მემამულების წინააღმდეგ. ავტორთან ერთად დეზერტირობასა და პოლიტიკურ ბანდიტიზმს ვაჯახებთ, როგორც გლეხების ბუნებრივ რეაქციას ომისა და რუსულ დიდმცრობელურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

არა ნაკლები სიმართლითაა გადმოცემული გლეხობის გულგატეხილობა თებერვლის რევოლუციით, რომელმაც ომის გათავება ვერ მოიტანა და ის, რომ კლდიაშვილმა მოახერხა და მხატვრულ სახეთა სისტემით დაგვანახა ქართველ გლეხების კლასობრივი შეგნების განვითარება, ექსპლოატატორებისადმი მათი სიძულვილის ზრდა, სურვილი მტერთან ძველი ანგარიშების გასწორებისა; უეჭველად მისი შილწევებია. აი, როგორ გვიჩვენებს ქართველი მწერალი მოხუც გლეხის ყურგამახვილებულ დამოკიდებულებას მემამულისადმი, მის კლასობრივ აღლოს: „და რადგან პარმენ ლანჩის გახარებულს ხედავდა, გონებამაც ისე მი-

იღოდა და გადააღაგა მოშენდარ ამბავის მნიშვნელობა, როგორც ახლა გრძნობა უკარნახებდა... ის, რაც ლანჩას უხარია, შეუძლებელია დათიას სიხარულის საგანიც იყოს. დათია აქედან ზომავდა ყველაფერს, რაც გარშემო ხდებოდა... დათიას და ლანჩას სიხარული ერთმანეთს არასოდეს არ შეხვდება“.

საწყენია, რომ სერგო კლდიაშვილი მხოლოდ გაკვრით შეეხო დიდმნიშვნელოვან თემას—სხვადასხვა ქვეყნის გლეხობის ინტერესების ერთიანობას. მწერალმა აგრეთვე ძალიან ნაკლები ყურადღება მიაქცია ქართველ გლეხებში რევოლუციონურ მოძრაობის გამოხატვას. მაღაროელ მუშის ესტატეს რევოლუციონურ მუშაობას, ახალგაზრდათა კრებებს მწერალი ძალიან ყრუდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და სქემატიურად გვიჩვენებს. „ფერფლს“ აქ აკლია „წერილ-მანთა“ ის შესქელება (შენივთება), რომელიც მოთხოვნის სხვა სახეებს აუკილებელ ემოციონალურ ელფერს აძლევს.

ბოლომდის თანამიმდევარი რომ ყოფილიყ ავტორი, მოახერხებდა „ფერფლში“, ომის კლასობრივ აზრის სრულად გაშლას.. მაშინ შისი პაციფიზმისა, ჰუმანურ შეურიგებლობისა აღარაფერი დარჩებოდა. სერგო კლდიაშვილი მაშინ ერთადერთ სწორ დასკვნას გააკეთებდა, რომ კაცობრიობას მოისაგან მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციის ზეიმი იხსნის. თემის რევოლუციონურად გადაჭრა გაკვრით არის მითითებული მოთხოვნის ბოლოში. ახალგაზრდა რევოლუციონერი გიგა, დევნას რომ გაურბის, მუქარით ეუბნება დროებითი მთავრობის კომისარს:—„მაღლ წავალ... დროებით, რასაკვირველია, როცა ჩამოვალ, დედი-შენის შვილი ხარ, აქ დამხვდები. მუქარა და მუშტის ქნევა მე მკითხე როგორ უნდა“.

მაგრამ ეს გიგა მაინც არ არის ნამდვილი რევოლუციონერ-ბოლშევკიის ტიპი. ხოლო ავტორის მიერ დასახული თემა მილიტარიზმისა საქმარისად ნათლად არ არის გადაწყვეტილი, როგორც თემა იმპერიალისტურ ოშისა და პროლეტარულ რევოლუციის.

ფორმალურის მხრივ წიგნი იმ ინტერესს წარმოადგენს, რომ კლდიაშვილი შეგნებულად სცილდება სიუჟეტის პროზის „კანონიკურ“ ფორმებს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართულ ლიტერატურაში, დაახლოვებით ისევე, როგორც რუსულში, მწერლები პატარა ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი ეპოქის შესაფერის ფორმის ძებნას.

სერგო კლდიაშვილს ეკუთვნის ასეთი აზრები: „ჩვენი ცხოვრება უკვე ველარ ეტევა ძელ ლიტერატურულ ფორმებში“, „უნდა ვეძიოთ გამოსავალი“, „ძელებურად ველარ იწერება“. კლდიაშვილი თავის წიგნში ავტორის პირით ჩვეულებრივ „თხოვნას“ (ნაწ. 1 და 2) დღიურის ფორმას უფარდებს (ნაწ. 2) თავისებურ მონტაჟით, ნაწყვეტებით, რაც კინოკადრებს ჰგავს (3 ნაწ. დასაწყისი) და ამით დიდ მეტყველებას აღწევს. ამასთანავე ნამეტურად ხვდება თვალს ის, რომ მოთხოვნის კომპოზიცია განგებ არის გაფანტული ავტორის ხელოვნების მიუხედავად, მოთხოვნის ცალკეული ნაწილები ერთმანეთზე ნაკლებადადა გადაბმული. მე-2-ე ნაწილში „უკნობ ჯარისკაცის დღიურის“ ზოგიერთი გმირი, რომლებიც პირველ ნაწილში მოქმედობენ, მხოლოდ გაკვრით არიან მოხსენებულნი. მოთხოვნაში სიუჟეტი დაძაბულად ვითარდება, მაგრამ, ტითქოს

რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტად. „ფერფლის“ ბევრი პერსონაჟის ბედი და მათი იდე-ურ-პოლიტიკური ზრდა გამოუმედავნებელი რჩება. ამრიგად, მოთხოვბის იდეურ-უმკვეთრობა მისი კომპოზიციურ დაუმთავრებლობას შეეფერება.

აღნიშნულ ნაკლთა მიუხედავად „ფერფლი“ დიდი ინტერესით იკითხება. სიუჟეტის სიახლის განსაკუთრებულ შეგრძნობით. თითქოს ვამჩნევთ აქამდის უცნობ თავისებურ ქვეყანას. ისეთ ეპიზოდთა რიცხვში, რომელიც ავტორს უფრო უკეთ გამოსცლია, უნდა ჩაითვალოს ახალწვეულთა ომში გაცილების გულსაკლავი სცენა, აგრეთვე სოფლის დღეების აღწერა ჯირითობითა და ჭიდაობით. აქ ცოდნით არის გადმოცემული დიდი დაძაბულობა, ახალგაზრდული აზარტი შეჯიბრებისა, მოქმედების სერგო კლდიაშვილი დიდი მხატვრული სიძლიერით გადმოგვცემს, არა ძუნწობს „მკაცრ“ რეალისტურ წვრილმანს..

რუსულ ტექსტითაც კი შეიძლება ვიმსჯელოთ ქართველი მწერლის მაღალ ლიტერატურულ კულტურაზე, „ფერფლის“, ისევე როგორც მის სხვა ნაწარმოების, ნაციონალურ თავისებურობაზე. კლდიაშვილმა გაიარა რთული და ძალიან მაჩვენებელი გზა სიმბოლიზმიდან რეალიზმამდე და ეხლა წერს უბრალო, ნათელ რეალისტურ ტონებით და ამასთანავე მკვეთრად, მყაფიოდ. კლდიაშვილი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს მხატვრულ სიტყვის კულტურას, მაგრამ მისთვის უცხოა სიტყვიური ჩახლართული ორნამენტიკა, რაც ზოგ რუს და ქართველ მწერალს მიჩნეული აქვს, როგორც თვითონირებული რამ. კლდიაშვილის ნიჭის უეჭველი მომწიფებულობა ეტყობა. კარგია რომ მას არ აკმაყოფილებს ერთფეროვანი ისტორიული თემატიკა, რომ მას თანამედროვეობა იზიდავს, მაგრამ კლდიაშვილი უნდა განთავისუფლდეს წარსულის ზედმეტ ტვირთისაგან და უფრო ნათლად გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება სოციალიზმის მშენებლობისათვის მებრძოლ პროლეტარიატისადმი. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ უხერხებელო ტერმინი „თანამგზავრობა“ არქივს გადაეცა. ამ სიტყვასთან ერთად საქართველოში, თითქმის იმგვარადვე, როგორც რსფსრ-ში მწერალთა საუკეთესო კადრებისათვის წარსულის მოგონებას გადაეცა ინტელიგენტურ მერყეობის, შორიდან დაკვირვების და პოლიტიკურ პირობის მთელი მარაგი. ამან საკმაოდ მყაფიოდ გაიხმაურა საბჭოთა მწერლობის სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1934 წლ. აგვისტოში.

ჩვენ უფლება გვაქვს ისეთ კარგ მწერალს, როგორიცაა სერგო კლდიაშვილი, გადიდებული მოთხოვნილებანი წამოვუყენოთ ხელოვნების მხრიდანაც და იდეურობის მხრიდანაც. ამიტომ ჩვენ ველით მისგან ჩვენი დიდი ეპოქის რეალისტურ ასახვას კონკრეტულად და ლრმად, სოციალისტურ საფუძველზე ადამიანთა შორის ახალ დამოკიდებულებათა ჩამოყალიბების მართალ მხატვრულ ჩვენებას.

# კლასიკური მამკვიდროობა

პროფ. სერგო დავითია

## ალექსანდრე პუშკინი

ალექსანდრე პუშკინი არის რუსული მხატვრული სიტყვის უდიდესი ოსტატი. მისი შემოქმედების დეტერმინანტი მე-19 საუკუნის პირველი. მესამედის თავადაზნაურობის ევოლუციაში არის საძიებელი. უკანასკნელი. მიზეზი ამ გარემოებისა მოცემულია რუსეთის ეკონომიკურ ვითარებაში.

ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი დაიბადა 1799 წელს მოსკოვში. მისი შაბა სერგეი ლევის ძე პუშკინი, ეკუთვნოდა რუსეთის მემამულე აზნაურთა წრეს, ხოლო დედა იყო პეტრე დიდის ცნობილი ნეგრის, იბრაჰიმ ჰანიბალის, შთამომავალი. ოდესალაც ძლიერი და გავლენიანი გვარი პუშკინებისა პეტრე დიდის შემდეგ დაადგა დაქვეითების გზას, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ დაქვეითებამ სილარიბის ზღურბლსაც კი მიაღწია.

პუშკინმა ბავშობიდანვე შეისწავლა ფრანგული ენა. თითქმის თავის ანაბარად მიგდებული ბავშვი ადრე დაეწაფა წიგნებს. განსაკუთრებით მოსწონდა ნორჩ პუშკინს ლაფონტენი, მოლიერი და ვოლტერი, და ამ ფრანგ შეტრლების კითხვაში ატარებდა ის თავისუფალ დროს, რადგან თამაში და ცელქობა არ უყვარდა. კითხვას მოჰყვა საკუთარი ლიტერატურული ცდებიც, რომელიც პუშკინმა ფრანგულ ენაზე დაიწყო პირველად. რუსული ენის სიყვარული მომავალ პოეტს ჩაუნერგა მისმა მოხუცმა გამდელმა ქალმა არინა როდიონის ასულმა, რომელსაც პუშკინი ყოველთვის დიდი სიმპატიით ახსენებდა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პუშკინის ლიტერატურულ განვითარებისათვის აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ პუშკინის ბიძა ვასილი ლევის ძე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში და თვითონაც მწერალი იყო. გარდა ამისა, რუსული ლიტერატურის ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორც კარამაზინი, დმიტრიევი და უკილესკი ხშირი სტუმრები იყენენ პუშკინების ოჯახში, და ამას არ შეეძლო, ცხადია, გავლენა არ მოეხდინა მომავალ პოეტზე.

1811 წ. მშობლებმა მიაბარეს პუშკინი ცარსკოე სელოს ლიცეუმში. ეს იყო დახურული სასწავლებელი, რომელსაც უნდა მოემზადებია კანდიდატები. უმაღლესი აღმინისტრატიული თანამდებობის დასაჭერად სახელმწიფო აპარატში. მაინცდამაინც მაღალ დონეზე სწავლის საქმე არ იყო ამ სასწავლებელში დაყენებული, მაგრამ 6 წელი, რომელიც პუშკინმა გაატარა ლიცეუმში, ფრიად სასარგებლო გამოდგა. მისი ლიტერატურული განვითარებისათვის. ოჯახურ სითბოს მოკლებულმა პუშკინმა იპოვა თავის ამხანაგთა წრეში. ის სულიერი ატმოსფერო, რომელიც ასე ესაჭიროებოდა მას. განსაკუთრებით. დაახლოვე-

ბული იყო პუშკინი მომავალ დეკაბრისტ პუშჩინთან და მომავალ პოეტ დელ-ვიგთან. ლიცეუმის მოწაფეთა შორის იყო ერთი ჯგუფი, რომელიც დიდი ინტე-რესით ეკიდებოდა ლიტერატურის საკითხებს: ამზანაგები ბევრს კითხულობდნენ, ბევრს კამათობდნენ ლიტერატურის შესახებ და თვითონაც სწერდენ თავის უზრ-ნალში. პუშკინი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ჯგუფის ლიტერატურულ მაცადინეობაში და განაგრძობდა წერას, რომელიც მას ჯერ კიდევ თავის-ოჯახში ჰქონდა დაწყებული. ის ლექსები, რომელიც პუშკინს ლიცეუმში აქვს-დაწერილი, მოქლებული არიან ჯერ ორიგინალობას: პუშკინი მხოლოდ სწავ-ლობდა წერას, ითვისებდა ლიტერატურულ ტექნიკას და ამისთვის ბაძავდა ცნობილ პსევდო-კლასიკურ პოეტებს—განსაკუთრებით საფრანგეთის პოეტს პარის და რუსული ლექსის ვირტუოზს ბატიუშკოვს. ამ პოეტების კვალ-ად-ახალგაზრდა პუშკინიც სწერდა ლიცეუმში უმთავრესად ანაკრეონტულ ლექსებს, რომელთა თემას შეადგენდა ქიფი, მეგობრობა და მსუბუქი სიყვარული. რო-გორც შინაარსით, ისე ფორმითაც ეს ლექსები არ სცილდებოდენ პსევდო-კლასიკური პოეზიის ფარგლებს: ნიმფები და სატირები, შეკვარებული დაფნი-სები და ნაზი ხლოები, ბახუსი და მისი თაყვანისმცემლები,—ასეთია ჩვეულებ-რივი პერსონაჟი ახალგაზრდა პუშკინის ლირიკულ ლექსებისა. 1814 წელს პუშ-კინმა პირველად დაბეჭდა ერთი თავისი ლექსი „მელექს მეგობარს“, რომლი-თაც მიიპყრო მწერალთა ყურადღება.

დიდი როლი ითამაშეს პსევდო-კლასიკიზმისაგან პუშკინის ლირიკის გან-თავისუფლების საქმეში ანდრე შენიერ და უუკოვსკიმ. ანდრე შენიე იყო საფ-რანგეთის პოეტი, რომელიც თავის თანამემამულე პსევდო-კლასიკოსებისაგან-განსხვავებით ღრმად გრძნობდა პელლინთა პოეზიის ნამდვილ არსებას.

თუ შენიერ ასწავლა პუშკინს ანტიკური პოეზიის ჭეშმარიტი გავება, უუკოვსკისაგან კი პუშკინმა შეითვისა სხვათა შორის ლექსის აწყობა შეკითხვის-ინტონაციაზე: მხოლოდ 1817 წელს თავისუფლდება პუშკინი უუკოვსკის გავლე-ნისაგან, უკუაგდებს მის მელოდიკას და პოულობს თავის საკუთარს ლირიკულ-სტილს.

ლიცეუმის დასრულების შემდეგ იწყება ახალი პერიოდი პუშკინის ცხოვ-რებაში. პუშკინი გადადის პეტერბურგში და შედის აქ სამსახურში. მაგრამ ბიუროკრატიული ყოფა არ აკმაყოფილებდა სიცოცხლით სავსე თანამდებობაზე. პოეტს, რომლის მოუსვენარი და თავისუფლების მოყვარული ბუნება ცუდად-ეგუებოდა მოსაბეზრებელ ჩინონიკურ დისკიპლინას. პუშკინი ეძებს სულიერ საზრდოს სამსახურის გარეშე. ის მოხვდება ცნობილს ლიტერატურულ წერეში, რომელსაც ერქვა სახელად „არზამასი“ და რომელიც უუკოვსკის მეთაურობით ებრძოდა რეაქციას ლიტერატურაში. ეს იყო ბრძოლა პოეზიის განთავისუფლე-ბისათვის დახავებულ პსევდო-კლასიკურ ტრადიციებისაგან, ბრძოლა, რომე-ლიც პუშკინს თავის პირად საქმედ მიაჩნდა. ამ ლიტერატურულ ბრძოლასთან მშეიდროდ იყო დაკავშირებული ბრძოლა პოლიტიკურზ თავისუფლებისათვისაც, ვინაიდან პუშკინი ადრე მისწვდა იმ აზრს, რომ თავისუფალი პოეზიის პირობაა პოეტის მოქალაქეობრივი თავისუფლება, ხოლო ამ მოქალაქეობრივი თავის-უფლების მოპოებაში პოეტს უდიდესი დაბრკოლება ელობება წინ თვითმპყრო-

ბელური ხელისუფლების სახით. გარდა ამ შეგნებისა, პუშკინზე მოქმედებდა მისი სოციალური წრის სულისკვეთება, რომელიც ეკონომიური ყოფის კაპიტალიზაციის გამო თანდათან უტროდაუფრო თანზიციონურ ხსიათს იღებდა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. ამ ოპოზიციის მეთაურ დეკაბრისტებს პუშკინი იცნობდა პერსონალურად და რამოდენიმეჯერ მოისურვა მათ ფარულ საზოგადოებაში შესვლა. მაგრამ ასეთი სურვილის განხორციელებას წინააღმდეგობა გაუწიეს თვითონ დეკაბრისტებმა: ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ უნდოდათ პუშკინის გენიალური პოეტური ნიჭის ჩაგდება იმ განსაკვდელში, რომელსაც თვითონ მოელოდენ თავისი ფარული მოღვაწეობისათვის, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ სრულიად სამართლიანად არ სთვლიდენ ახალგაზრდა პუშკინს საქმაოდ მტკიცე პოლიტიკური აზროვნებისა და ნებისყოფის იდამიანად. პუშკინის პოეტურ ნიჭს კი დეკაბრისტები მართლაც ძალიან მაღლა. აფასებდენ, ვინაიდან პუშკინის მრავალი ნაწარმოები ამ დეკაბრისტების ოპოზიციონური სულისკვეთებით იყო გაელენილი. ამ გარემოებაშია სწორედ საძიებელი მთავარი მიზანი იმ პოპულარობისა, რომელიც პუშკინმა მოიხვეჭა რუსეთში. ახალგაზრდა პოეტს ხელის გულზე ატარებდენ და თითქმის ზეპირად იცოდენ ყველა მისი ლექსები, რომელთა შორის ბევრი არც კი დაბეჭდილა მთავრობის ცენზურული ტერორის გამო.

პუშკინის ოპოზიციონურ ნაწერებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არიან ლექსები: „თავისუფლება“, „ჩადაევის მიმართ“ და „სოფილი“.

„ტრფობა, დიდება, ნორჩი იმედი“

ჩვენ გვატყებდა, როგორც ზბანება“.

ასე ახასიათებს პუშკინი იმ საზოგადოებრივი უმოქმედობის ხანას, როდესაც რუსეთის თავადაზნაურობა თითქო გაბრუებული იყო ნაპოლეონზე გამარჯვებით და მედიდურობის ბურუსში გახვეულ წოდებას თითქოს დავიწყებული ჰქონდა ის ზაპირვება, რომელსაც იგი განიცდიდა თავისი ეკონომიური ყოფის საფუძველის შერყევის გამო. უმოქმედობაც დასრულდა და შეიცვალა პროტესტანტული სულისკვეთებით. პუშკინი ენერგიულ სიტყვებში გამოხატავს ამ განწყობილებას:

ძვირფას სამშობლოს შევეწირებით,

სანამ წმინდაა სული ცხოველი.

დე, მევობარო! იგი იალებს—

თავისუფლების მზე უნახველი:

ძველი რუსეთი გაახელს თვალებს,

და თვითმყრობლობის შავ ნანგრევებზე

აღიბეჭდება ჩვენი სახელი. \*)

(თარგ. ვალ. გაფრინდაშვილი).

\*) კიდევ უფრო გაბედული ხასიათი აქვს ლექსს „თავისუფლება“, (1817 წ.), სადაც დაგმობილია თვითმყრობელობის ტირანია.

ასეთი ძლიერი პროტესტი ბატონყმობის წინააღმდეგ ჩუსულ ლიტერატურას არ მოუცია რადიშჩევის შემდეგ. მაგრამ აღსანიშნავია მაიც ის გარემოება, რომ პუშკინი არ ელის აქ ბატონყმობის გაუქმებას იმ პოლიტიკური რევოლუციის გზით, რომელსაც ის ემხრობოდა თავის ლექსებში „ჩააღავეთ“. პირიქით, პოეტი გამოსთვამს იმედს; რომ ბატონყმობა დაეცემა „მეფის ბრძანებით“, ე. ი. ზევიდან გატარებული მშვიდობიანი რეფორმის საშუალებით. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ სიმტკიცე და თანდათანობა ახალგაზრდა პუშკინის პოლიტიკურ იდეოლოგიას არ ახასიათებდა.

ზემოაღნიშნულ და ოპოზიციონურ სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსების გვერდით დასასახელებელია პუშკინის გესლიანი ეპიგრამებიც, სადაც ავტორი დასკინოდა რეაქციონური მთავრობის ძლევამოსილ წარმომადგენლებს—არაქჩეევს, გოლიცინს და არქიმანდრიტ ფოტიუსს. მოწინავე საზოგადოება, რომელსაც ჰირივით სძულდა არაქჩეევიც, გოლიცინიც და ფოტიუსიც, დიდი ალფროთოვანებით ეგებებოდა პუშკინის ეპიგრამებს, იზეპირებდა მათ და ავრცელებდა თავის წრეში.

ალექსანდრე პირველის მთავრობას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გულგრილად ეცქირა პუშკინის ასეთი მოღვაწეობისათვის და ერთ დროს ფიქრობდა გადაესახლებია პოეტი ან ციმბირში, ან სოლოვკის კუნძულზე. მაგრამ კარაბზინის, უუკოვსკის და ლიცეუმის დირექტორის ენგელგარდლის ენერგიული შუამდგომლობით პუშკინი ციმბირში გადასახლების ნაცვლად 1820 წელს ეკატერინოსლავში იქნა გადაყვანილი სამსახურზე. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდი უსიამოვნება გამოიცადა პუშკინის მთელი ამ ისტორიიდან: მისი ჭაბუკური მხიარულება შეარყია (კხოვრების ტლანქმა მუჯლუგუნმა და პოეტის შემოქმედებაში ერთის მხრით იზრდება სევდის ჰანგები, ხოლო მეორეს მხრივ პროტესტის გრძნობა საზოგადოებრივი უსამართლოების წინააღმდეგ იღებს უკიდურეს გამოსახულებას. ლკანასკნელი გარემოების დამამტკიცებელია უკვე ლექსი „ხანჯალი“, რომელიც 1821 წელს იქნა დაწერილი. ამ ლექსში პუშკინი ხოტებს ასხამს ხანჯალს, როგორც ერთადერთ რეალურ საშუალებას მჩაგვრელ ტირანთან ფნგარიშის გასასწორებლად, როდესაც სხვა საშუალება არ დარჩენილა კანონისა და თავისუფლების დასაცავად. არსებითად რომ ითქვას, ეს იყო ინდივიდუალური ტერორის იდეალიზაცია, რაღაც შტირნერიანული მაქსიმალიზმი, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს მხოლოდ ფართო საზოგადოებრივ წრიოსაგან მოწყვეტილ ადამიანს, და პუშკინის „ხანჯალიც“ უფრო პოეტის აფორიაქებული სულისკვეთების გამომხატველი იყო, ვიდრე მომწიფებული პოლიტიკური პროგრამის მოფიქრებული პროპაგანდა.

ეყატერინოსლავში პუშკინი ავად გახდა და ჯანმრთელობის აღსაღენად ის 1820 წელს მიემგზავრება გენერალ რაევსკის ოჯახთან ერთად კავკასიის მინერალურ წყლებზე, ხოლო კავკასიიდან ბრუნდება უკან იმავე წელს ყირიმის გზით და რაკი აშასობაში პუშკინის უფროსს, გენერალ ინზოვს, თავისი სამყოფი სდგილი ეყატერინოსლავიდან გადაეტანა კიშინევში, პუშკინიც მიემგზავრება კიშინევში დაგანაგრძობს აქ სამსახურს.



ა. პუშკინი

ნახ. ს. გაბაშვილისა

რაევსკის ოჯახი, რომელთანაც პუშკინს მოუხდა მოგზაურობა კავკასიასა და ყირიმში, იყო ძალიან განათლებული ოჯახი. რაევსკის შვილები, მაგ., ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ ხელოვნებით და თვალყურს აღვენებდენ დასავლეთ ევროპის უახლეს ლიტერატურას. მათ გააცნეს პუშკინს რუსულში ჯერ კიდევ ნაკლებად გაცნობილ ინგლისელ პოეტის ბაირონის თხზულებები, რომლებმაც მოხიბლეს ახალგაზრდა პოეტი, ვინაიდან ცხოვრებით უკმაყოფილო პუშკინი უკვე ფსიქოლოგიურადაც განწყობილი იყო ბაირონის პესიმისტურ პოეზიისაკენ. ამ უკანასკნელის გავლენით წერს პუშკინი თავის „ბაირონისეულ“ პოემებს („კავკასიის ტყვე“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „ავაზაური ძმები“, „ბოშები“) და აგრეთვე მრავალს ლირიკულ ლექსებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან „სურვილი ჩემი მე დავივიწყე“, „დემონი“ და „ზღვის მიმართ“. ბაირონის გავლენის ხანას ეკუთვნის აგრეთვე ორი პირველი თავი პუშკინის სახელგანთქმული რომანისა „ევგენი ონეგინი“, რომელიც ბაირონის მიერ შემო ებულ ლირო-ეპიკურ ჟანრის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

უნდა ითქვას, რომ პოემების წერა პუშკინს უფრო ძლიერ ჰქონდა დაწყებული. ჯერ კიდევ 1817 წელს ის შეუდგა პოემა „რუსლანი და ლიუდმილას“ წერას, სადაც პუშკინმა გაანიავა ძველი პოეტიკის „წესები“ (რომლებიც მძიმე ლოდებად აწვენ პოეტურ შემოქმედებას) და პსევდო-კლასიკური პოემის გაქვავებულ საგმირო მონუმენტალურ სტილს დაუპირდაპირა უფრო ადამიანური, სადა და მსუბუქი სტილი. ახალი ნაბიჯი წინ დამოუკიდებელი სტილის ძიების საქმეში გადადგა პუშკინმა თავის პოემაში „გაძრიელიადა“, სადაც პაროდიულად გადმოცემულია ბიბლიის ერთი მოთხოვნა. კიდევ უფრო თამამი ნაბიჯი გააკეთა პუშკინმა პოემაში „კავკასიის ტყვე“, რომელიც ძალიან ემსგავსება ბაირონის პოემებს, ოფორტუ თავისი შინაარსით, ისე ფორმითაც. პსევდო-კლასიკურ პოემებისაგან განსხვავებით „კავკასიის ტყვე“ არ არის წმინდა ეპიკური ნაწარმოები, რომელიც ობიექტიურ სამყაროში მომხდარ ფაქტების დინჯსა და აულელებელ აღნუსხვას შეიცავს, არამედ ის არის ლირო-ეპიკური ნაწარმოები, სადაც დიდი ყურადღება ექცევა მომქმედი პირის სულიერი განცდების აღწერას. პოემა ვითარდება ნახტომებით და უწესრიგოდა: რაც წინ მოხდა შემდეგ არის მოთხოვნილი და პირუკუ. პოემის მოქმედება გადატანილია ეგზოტიურ გარემოში, ე. ი. კავკასიაში და ეს საბაბს აწვდის ავტორს კავკასიის გრანიოზული პეიზაჟის მომხიბელელი სურათები შექმნას. არაფერი ამის მსგავსი რუსულ ლიტერატურაში უწინ არ იყო, და გასაგებიც არის თუ რა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა „კავკასიის ტყვე“ მკითხველებზე, რომელთა უმრავლესობა ბაირონს ჯერ კიდევ არ იცნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მკითხველებს არ გაუჭირდებოდათ იმის შენიშვნა, რომ „კავკასიის ტყვე“ არ იყო თავისუფალი შინაგანი დისპარმონიისაგან, და მისი ბაირონიზმეც უფრო გარეგნული იყო, კიდრე არსებითი ხასიათის. უკვე ის გარემოება, რომ პუშკინის პოემის ეპილოგი ხოტბას ასხამს მეფის გენერლებს (ციციანოვს, კოტლიარევსკის და ჭრმოლოვს), რომლებმაც „ორთავიანი არწივის“ სახელით მუსრს ავლებდენ „ბუნების შვილთ“, ე. ი. კავკასიის მთიელებს,—სრულიად არ შეეფერება თავისუფ-

ლების მგოსანს ბაირონს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „კავკასიის ტყვე“ იმდენად ჰგავდა ბაირონის პოემებს, რამდენადც რუსეთის თავადაზნაურობის მიერ 14 დეკემბერს მოწყობილი პუტჩი ჰგავდა ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებს. როგორც 14 დეკემბრის აჯანყება იყო გააზნაურებული „რევოლუცია“, ე. ი. ევროპის ბურუჟაზიული რევოლუციის ფრაზეოლოგით შემკობილი თავადაზნაურული მოძრაობა, ისე „კავკასიის ტყვეც“ იყო გააზნაურებული „ბაირონიზმი“ ან ბაირონის სამოსელში ვახვეული რუსული თავადაზნაურული შინაარსი. ამდენად მართალი იყო ვორონცოვი, როდესაც ამბობდა: რომ პუშკინის პოეზია არის ბაირონის „სუსტი მიბაძვა“-ო. დადებითი მხარე ამ მიბაძვისა ის იყო, რომ იგი გზას უკრავდა პუშკინს პსევდო-კლასიკურ ტრაფარეტისაკენ. შაგრამ მისი დიდი ნაკლულოვანება იყო ამავე დროს ის, რომ იგი მაინც მიბაძვა იყო, და ადრე თუ გვიან პუშკინს უნდა მოეცილებია ბაირონიზმის კანი, რათა ის გამხდარიყო ჭეშმარიტ პუშკინად.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსი „ზლვის მიმართ“ და პოემა „ბოშები“, სადაც მოცემულია მხატვრულ სახეებში ბაირონიზმის კრიტიკა და უარცხოფილია ბაირონისეული ინდივიდუალიზმი.

1823 წელს პუშკინი გადაიყვანეს ოდესაში, რომელსაც განაგებდა გრაფი ვორონცოვი. ეს იყო მედიდური ჩინოსანი, რომელიც თავისი ხელქვეათებისაგან, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდა უსიარყო მორჩილებას და სასტიკ დისკიპლინას, ე. ი. იმას, რაც უეჭველად აკლდა ჩენენს გენიალურ პოეტს. უკანასკნელი მეტა-ყურადღებას ანდომებდა ოდების თეატრსა და იქაურ ლამაზ ქალებს, ვიდრე სამსახურს. ალსანიშნავია სხვათა შორის პუშკინის გატაცება ვილაც ბანკირი რიზნიჩის ცოლით, რომელსაც პუშკინმა უძლევნა უნაზესი ლირიზმით სავსე ლექსები, ნამდვილი მარგალიტები პოეტის მდიდარ ლირიკაში. პუშკინის ასეთი დაუდევარი სამსახურით მოთმინებიდან გამოყვანილმა ვორონცოვმა, რომელსაც სხვა საბუთებიც ჰქონდა უკანასკნელებისათვის, აღძრა მინისტრ ნოსელროდეს წინაშე შუამდგომლობა მოეცილებით მისთვის პუშკინი. მთავრობასაც ეს უნდოდა, რადგანაც არც ის იყო პუშკინის ყოფაქცევით კმაყოფილი. ნაცვლად იმისა, რომ გამოსწორებულიყო და მეფის ერთგულ ქვეშევრდომად გადაქცეულიყო, პუშკინმა პეტერბურგიდან გაძევების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი დანაშაული. ხელისუფლების წინაშე და ოპოზიციონურ განწყობილებას თვითმპრობელობის წინააღმდეგ დაუმატა ზედ ოპოზიცია სარწმუნოების წინააღმდეგაც. „პუშკინი-ლანძღავს საჯაროდ მთავრობას“ — ასეთი ცნობები მოჰქონდათ პუშკინის შესახებ ფარული პოლიციის აგენტებს, რომელებსაც დაგალებული ჰქონდათ თვალყური ედევნებიათ მწერლისათვის. ბოლოს პეტერბურგის პოლიციას ჩაუვარდა ხელში პუშკინის ერთი კერძო ბარათი, სადაც პუშკინი წერდა, რომ ის „ათეიზმის გაკვეთილებს“ იღებს. ცხადია, თუ რა ცუდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ბარათს მთავრობის წრეებში. გაუსწორებელი პოეტი მთავრობამ გამორიცხა 1824 წელს სამსახურიდან და გაგზავნა საცხოვრებლად დედის მაზულში (სოფ-მიხაილოვსკიე), რომელიც მოსკოვის გუბერნიაში იმყოფებოდა, ხოლო ზედა-მხედველბდ მიუჩინა ადგილობრივი პოლიციის სამშართველო და სანეზობლო მონასტერის ილუმენი.

ორი წელი, რომელიც პუშკინმა ძალაუნებურად გაატარა თავის სოფელში, ფრიად ნაყოფიერი გამოდგა მისი ლიტერატურული განვითარებისათვის. დაღუა პუშკინისათვის რეფლექსის პერიოდი—პერიოდი საკუთარი თავის შეგნებისა. პუშკინი ამ დროს ბევრს მუშაობდა. ის გაეცნო კარგად რუსეთის ისტორიას პირველი წყაროების საშუალებით. მისი ლიტერატურული ინტერესების წრეც გაფართოვდა დასავლეთ ევროპის მწერალთა უფრო ლრმა შესწავლით. პუშკინი დაეწაფა შექსპირს, ვალტერ-სკოტს, გოტეს, დანტეს, პეტრაქას, ვერგილიუსს, ტიბულეს და პორაციუსს. ალსანიშნავად აგრეთვე პუშკინის დიდი ინტერესი ხალხურ პოეზიისადმი—ინტერესი, რომელმაც გაამდიდრა პოეტის მხატვრული პოტენცია.

პუშკინის შემოქმედება გაფართოვდა, გალრმავდა და თავისი დასაყრდენი მტკიცე კალაპოტი იპოვა რუსი ხალხის რეალურ სინამდვილეში. რუსეთის ორცერთს უწინდელ მწერალს არ მიუღწევია ასეთ სისრულემდე, და ამდენად მართალი იყო ბელინსკი, როდესაც ამბობდა, რომ პუშკინი იყო რუსეთის პირველი ეროვნული მწერალი, რომლიდანაც იწყება ნამდვილი რუსული ლიტერატურა. პუშკინი გაიზარდა, დავაუქაცდა და გასცდა იმ ლიტერატურულსა და იდეოლოგიურ ჩარჩოებს, რომლებშიდაც მიმდინარეობდა მისი შემოქმედება უწინ. რომანტიზმი შეიცვალა მხატვრული რეალიზმით, ხოლო უცხო გავლენით შეთვისებული ოპოზიციონური რადიკალიზმი, რომელიც სინამდვილეს ხელაღებით უარყოფდა, შეიცვალა სინამდვილესთან შეერთების და შასთან შისასვლელ გზის მონახვის სურვილით.

გარდა მრავალი ლირიკული ლექსებისა, რომელიც პუშკინმა დასწერა თავის სოფელში („ვერაგობა“, „ცეცხლს მიცემული ბარათი“, „ა. პ. კერნის მიმართ“, „ზამთრის სალამო“, „19 ოქტომბერი 1825 წლისა“ და სხვა), პოეტი განაგრძობდა მუშაობას რომანზე „ევგენი ონეგინი“ და დასრულა იქ მისი მეტექსე თავი. პარალელურად იწერებოდა ტრაგედია „ბორის გოდუნოვი“, რომლის საშუალებით პუშკინს განზრახული ჰქონდა მოქედინა რუსული დრამატურგიის რეფორმა, განედევნა პსევდო-კლასიკიზმი რუსული დრამატურგიიდან და მიეცა ამ უკანასკნელისათვის ჰქონდარიტად რეალისტური (ან როგორც თვითონ მიეცა ამბობდა— „რომანტიკული“) ტრაგედია. თართლაც როგორც თავისი პუშკინი ამბობდა— „რომანტიკული“ ტრაგედია. ნაწილი პსევდო-კლასიკიზმისაგან. ტრადიციული სამი „ერთობა“ (დროისა, აღილია პსევდო-კლასიკიზმისაგან. ტრადიციული სამი „ერთობა“ (დროისა, აღილია და მოქმედებისა) აბუჩად არის აქ აგდებული, და ტრაგედია იშლება შექლისა და მოქმედებისა). აბუჩად არის აქ აგდებული, და ტრაგედია იშლება შექლისა და მოქმედებისა).

ძირითადი იდეა, რომელზედაც აგდებულია ტრაგედია, მორალურ ხასიათს ატარებს, და ამ მუხლში პუშკინი სცილდება შექსპირს, რომლის დრამები მხობარების, და ამ მუხლში პუშკინი სცილდება შექსპირს. ამდენად შეიძლება ითქვას, ლოდ ბუნებრივ აუცილებლობას ექვემდებარებიან. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ „ბორის გოდუნოვი“ ნაწილობრივ მაინც ამელივნებს პსევდო-კლასიკური რომანტიზმის ნიშნებიც იმართებულ მქონებულს შეუძლია იქ დრამატურგიის რეციდივს, ისე როგორც დაკვირვებულ მქონებულს შეუძლია იქ დრამანტიზმის ნიშნებიც აღმოაჩინოს.

ანალოგიურ მოვლენას უამჩნევთ ჩვენ პუშკინის რომანზიც „ევგენი ონეგინი“, რომელიც რუსული პოეზიას უდიდეს ქმნილებად ითვლება სამართლიანად.

ამ რომანში, რომელიც პუშკინმა დაიწყო ჯერ კიდევ კიშინევში ყოფნის დროს 1823 წელს, ხოლო დაასრულა სოფელ ბოლდინოში 1830 წელს, მშვენიერად აღიბეჭდა პუშკინის ევოლუცია რომანტიზმიდან მხატვრული რეალიზმისაკენ. რომანი დაწერილია ლექსად და პირველს თავებში ამჟღავნებს ბაირონისეულ რომანტიზმის გავლენას, რომელიც თანდათან სუსტდება და ადგილს უთმობს საყოფაცხოვრებო რეალიზმს: რომანი ცხრა თავისაგან შედგებოდა (მეათე თავი), რომელიც გადმოვცემს პუშკინის ოპოზიციონურ განწყობილებას ალექსანდრე პირველის წინააღმდეგ, დაშიფრული იყო და მხოლოდ ამ ბოლო დროს შესძლეს ამ შიტრის გახსნა). აქედან შემდეგ თვითონ პუშკინმა ამოაგდო მერვე თავი, რომელიც შეიცავდა ონეგინის მოგზაურობის აღწერას, და მისი თემა გადასცა გოგოლს. ამრიგად რომანში დარჩა რეა თავი.

რომანის დასაწყისში ავტორი ირონიულად ეკიდება ონეგინს, დასკინის მის ფუქსავატობასა და უსაქმურობას და ეს კარგად შეეფერებოდა რომანტიზმს, რომელსაც იზიარებდა მს დროს პუშკინი და რომლის თვალთახედვით კულტურა მხოლოდ რევნის აღამიანს, მაგრამ იმის მიხედვით რაც უფრო და უფრო სცილდებოდა პუშკინი რომანტიზმს, მით უფრო და უფრო იცვლებოდა მისი დამოკიდებულებაც ონეგინისადრი და რომანის ბოლოში ავტორი ღრმა სერიოზულობით ეკიდება თავის გმირს, როგორც ცხოვრების უდანაშაულო მსხვერპლს. თვითონ ონეგინის პიროვნებაც მაღლდება ამის თანაბრად და ამრიგად, თუმცა რომანი არსებითად აგებულია რომანტიკულ დაპირისპირებაზე, მაგრამ ამ დაპირისპირებას საბოლოო ანგარიშში რომანტიკულად არ აფასებს. ამდენად, სხვა ნიშნებიც რომ არ გვქონოდა, ჩვენ მაინც შეგვეძლო გვეთქვა „ევგენი ონეგინის“ შესახებ, რომ ის არამც თუ არ არის რომანტიკული ნაწარმოები, არა-შედ მასში მოხსნილია რომანტიზმი, ისე როგორც მოხსნილია რომანტიზმი „ბორის გოდუნოვშიც“:

როგორც თავის იდეით, ისე თავის მხატვრული მეთოდით უახლოვდებიან „ბორის გოდუნოვს“ და „ევგენი ონეგინს“ დრამატიული სცენები „ძუნწი რაინდი“, „ქვისგან გამოქანდაკებული სტუმარი“, „მოცარტი და სალიერი“, რომლებიც პუშკინმა დასწერა სოფელ ბოლდანოვში 1830 წელს და რომლებიც პოეტური ოსტატობის უდიდეს შედევრებს წარმოადგენენ და აგრეთვე რეალისტური პოემები „პოლტავა“ და „ბრინჯაოს მხედარი“ (1834), სადაც მოცემულია პეტრე დიდის აპოთეოზი. ყველა ამ თხზულებებში, არსებითად რომ ითქვას, ერთი და იგივე აზრია გატარებული, თუმცა როგორც თავისი თემით, ისე ამ თემის დამუშავების ხერხებით, თხზულებები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს ძირითადი აზრია რომანტიკული ინდივიდუალიზმის კრიტიკა და ცდა ისეთ ლირებულებათა პოზიტიურ დამყარებისა, რომელიც კერძო ინდივიდუალზე ამაღლებული არიან და კატეგორიული იმპერატივის ძალით მოითხოვენ ყოველი პირობისაგან დამოუკიდებელ პატივისცემას. ასეთი ლირებულებაა „პოლტავასა“ და „ბრინჯაოს მხედარში“ სახელმწიფოებრივობის იდეა, რომლის სიმბოლოდ გამოყანილია პეტრე დიდი („პოლტავა“, და პეტრე დიდის ძეგლი „ბრინჯაოს მხედარი“) და რომლის ბოჭინააღმდეგენი უარყოფითად არიან დახასიათებული, ხოლო „მოცარტს და სალიერში“ ხელოვნების იდეა. ყოველი

ადამიანი, ვინც თავისი ეგოიზმით დაბრმავებული (მაზეპა, კოჩუბეი), ან თავისი ვიწრო ვნებებით გატაცებული (დონ-უანი, მოხუცებული ბარონი, სალიერი) ვერ სწვდება, რომ ის მხოლოდ იარალია იდეალისათვის და ამიტომ ვალდებულია ემსახუროს ამ უკანასკნელს სრული თავგანწირულობით, საბოლოო ანგარიშში დამარცხებული რჩება, ვინაიდან ყველაფერი ამ ქვეყნიური უძლურია და წარმავალია, ძლიერი და მარადიულია მხოლოდ იდეა.

ყველაფერი ეს მოწმობს იმ დიდ გარდატეხას, რომელიც მოხდა პუშკინში: ახალგაზრდობის ბაირონიზმი ამ ცვლილებებში უარყოფილია, არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ მატერიალურადაც. შეცდომა იქნებოდა, ცხდია, ამ გარდატეხის მიზეზი მხოლოდ დეკემბრის აჯანყების დაბარცხებაში გვეძია, ვინაიდან მის ნიშნებს ჩვენ ვამჩნევთ იმ აჯანყებაზე უფრო აღრე დაწერილ თხზულებებში, თუმცა მეორეს მხრივ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ საზოგადოებაში გამეფებულმა პროსტრაციამ ხელი შეუწყო რეალისტური და ანტი-რომანტიკული სულისკვეთების განმტკიცებას. პუშკინის მხატვრულ შემოქმედებაში.

უკანასკნელ წლებში პუშკინი გრძნობდა თავს არა ექვსასი წლის აზნაურად, არამედ პროფესიონალურ ლიტერატორად, რომლის საარსებო წყაროს საკუთარი შრომა შეადგენს. ეს იყო ფსიქოლოგიური დემოკრატიზაცია, რომელიც პუშკინის პოეზიის დემოკრატიზაციას დაედვა სარჩულად. 1826 წელს ნიკოლოზ პირველმა მოხსნა პუშკინს სასჯელი და მისცა მას უფლება დაეტოვებიას სოფელი მიხაილოვსკოე. მეფეს სურდა გამოეყენებია პუშკინის გენიალური კალამი თავისი პოლიტიკისათვის. და მართლადაც, რამდენათაც პუშკინმა ზურგი აქცია თავის ახალგაზრდობის ოპოზიციონურ რომანტიკულ გატაცებებს, იმდენად მას ჰქონდა ცოტა რამ საერთო ნიკოლოზ პირველის პოლიტიკის საფუძვლებთან. მაგრამ აქ იყო დამთხვევა მხოლოდ ნეგატიურ მომენტებში: პოზიტიურ მუხლებში კი პუშკინს არც ფსიქიოლოგიურად და არც ესტეტიკურად არ შეეძლო ნიკოლოზ პირველის პოლიტიკის მოზიარე გამხდარიყო, თუმცა ეს გარემოება თვითონ პუშკინისათვის საქმაოდ ნათელი არ იყო. სწორედ ამით აიხსნება ის მრავალი გაუგებრობა პუშკინის ცხოვრებაში, რომელმაც საბოლოო ანგარიშში მიიყვანა გენიალური პოეტი უეცარ სიკვდილამდე. პუშკინი მოჰკლეს 1837 წელს დუელში, რომელიც შედეგი იყო მეფის კარისკაცთა მიერ მოწყობილ ინტრიგებისა.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფიზიკური სიკვდილი, რომელიც პუშკინის პოეტურ სახეს ვერაფერს დაკლებდა და მის ლირებულებას რუსული ლიტერატურისათვის ვერ დაამცირებდა. და მართლაც, რუსეთის არც ერთ მწერალს, არც პუშკინამდე, არც პუშკინის შემდეგ, არ ჰქონია რუსული ლიტერატურისათვის ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა პუშკინს. მის შემოქმედებაში იყრიან: ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა პუშკინს. მის შემოქმედებაში იყრიან: თავს ის წყაროები, რომლებიც მომდინარეობენ მე-18 საუკუნის ლიტერატურითან და გამოდიან ვეებერთელა მდინარეები, რომლებიც რწყავენ რუსული ლიტერატურის თვალუწვდენელ მინდოოს.

## ვიქტორ ჭირვილი

1880 წელს, უკვე თავისი ხანგრძლივი, შრომით და ქარიშხალით საცხე, მთლიანად აზროვნებისა და მოლვაწეობისადმი შიძლვნილ სიცოცხლის დასასრულს ჰიუგო „ოდები და ბალადები“-ს წინასიტყვაობაში სწერდა:

„ადამიანი, რომელიც სწერს, სწერს წიგნს; ეს წიგნი თავ ადა. იცის თუ არ იცის, უნდა, თუ არ უნდა, ეს შაინც ასეა. ყოველი ნაწარმოები, რა არარაობაც არ უნდა იყოს ის, გამოსახავს მწერლის პიროვნებას. ამაშია მისი შასჯელი, თუ იგი წვრილიანია, ამაშია მისი ჯილდო—თუ იგი დიალი ადა-მიანია“.

საფრანგეთის და მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი უდიდესი გენიოსის თითქმის მთელი საუკუნის ბრძოლა და შემოქმედება და მისი გარდაცვალების შემდეგ გასული ნახევარი საუკუნე მართლაც წარმოგვიდგენს ჰიუგოს მთელი თავისი სიღიძით.

უდიდესი პოეტი და ღრამატურგი, რომანისტი და ნოველისტი; პუბლი-ცისტი და პოლიტიკური მებრძოლი, გრიგალებით და შერყევებით საცხე მთელი ეპოქის გამომსახველი, მთელი ლიტერატურული სკოლის— რომანტიზმის შემქმნე-ლი და მამამთავარი, ამ სკოლის რადიკალურ-დემოკრატიული ფრთის ბელადი— აი ამ სახით გვევლინება ჩვენ გრძნობის და აზროვნების ეს ბუმბერაზი ადა-მიანი.

მეცხრამეტე საუკუნის არც ერთ მწერალს ისე ფართოდ არ გამოხმაურე-ბიან მთელს მსოფლიოში, როგორც „განწირულთა“, „ზღვის მაშვრალთა“ და „პარიზის მღვთიმშობლის ტაძრის“ ავტორს. ყველა ერის ფართე მკითხველი მასები იცნობენ მის ნაწარმოებებს, მის შემოქმედებას.

იგი თავად ლაპარაკობს თავის თავზე, რომ მსურს ვიყო ხალხის გამოძა-ხილიო, და მისი შემოქმედებაც იბრძვის ყოველივე პროგრესიულისათვის, მშვი-დობიანობისა, ხალხთა ძმობისა და ერთობისათვის, იბრძვის სოციალური უკუ-ლმართობის, ომისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ.

ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებამ/გაიარა გზა წინააღმდეგობების, რომელიც წარმოადგენენ იმ საზოგადოებრივი ფენების სოციალური ვითარების წინააღ-მდეგობებს, რომელთა სულისკვეთებას ჰიუგო გამოხატავდა მხატვრულ ნაწარ-მოებში. მაგრამ ამ წინააღმდეგობათა მიღმა მკითხველის წინაშე დგას სახე მე-ბრძოლისა და მწერლისა, რომელსაც მთელი თავისი შემოქმედება გაუხდია. სა-ზოგადოებრივი იდეალების მსახურად. საზოგადოებრივი საქმის მსახურება,. სო-ციალური მიმართულება ახასიათებდა მის შემოქმედებას თავიდანევე. ჯერ კიდევ 1822 წელს „ოდები და ბალადები“-ს პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში ჰი-უგო სწერს: „ყოველი მწერალი, რომელ ასპარეზედაც არ უნდა იღწვოდეს მისი

სული, მთავარ მიზნად უნდა ისახევდეს — გახდეს სასარგებლო და გამოსაღევგი".

რასაკირველია იმ ხანებში ეს სოციალური გამოსადეგრობა მას წარმოდგენილი ჰქონდა სხვანაირად, ვადრე თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულს. მაშინ მის შეგნებაში საკმაოდ ბევრი იყო ფეოდალური საზოგადოების, როიალისტური და კათოლიკური განწყობილებების ნაშთები, მაგრამ ოქუმულად განწყობილ შატობრივის მსვანესად, იგი უკან — საშუალო საუკუნოებისაკენ როდი იყურებოდა, არამედ მიისწრაფოდა წინ, კაცობრიობის საუკეთესო მერმისისაკენ.

პიუგოს თავისებურობას არ შეაღენს დაწვრილებით შეისწავლოს და ასახოს ცხოვრება, როგორც ეს შემდეგში ნაცურალისტებმა შემოიღეს. მას არ შესწევდა უნარი — ბალზაკივით ღრმად ჩასწვდომოდა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას. პიუგოს უსაზღვრო ფინტაზია იტევდა საუკუნოებს და სამყაროებს, მაგრამ ამასთან ერთად მას გააჩნდა განსაცვილებელი ნიჭი — თანამედროვეობის თვალსაზრისით გაეშუქებია ძელიც და ახლიც, სიცრცეულად დაახლოებულიც და დაშორებულიც.

მაგრამ ყველაზე ღრმად იგი გრძნობს მის თანამედროვე საზოგადოებაში. გამეფეხულ უსამართლობას და იძლევა კიდევ მის უაღრესად მყაფიოდ გამოხატულებას.

თავის ათტომიან ეპოპეას — „განწირულნი“, სადაც უხევადაა მოცემული ისტორიული და თანამედროვე ამბები, სადაც მრავალი სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ძიებაა, იგი წინ უმძღვარებს ასეთ შესავალს: „მანამდე, ვიდრე კანონებისა და ჩვეულებების ძალით იარსებებს სოციალური უკულმართობა, რომელსაც ცივილიზაციის სრული აუვავების ღროს ხელოვნურად ჯოჯონხეთი წარმოუშვია; მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება ჩვენი საუკუნის სამი ძირითადი ამოცანა: პროლეტარებად ქცეულ ადამიანების ჩაგვრა, დედაკაცის დაცემა შიმშილით, ღამის მუშაობით ბავშვთა დაუძლურება, ერთი სიტყვით, ვიდრე დედამიწაზე ბატონობს სილატაკე და უვიცობა, — მანამდე ამის მსგავსი. წიგნები უსარგებლო არ იქნება“.

როგორც ვხედავთ, ამ ამონაწერში და შემდეგ თავად ნაწარმოებში სავსებით გარკვევით, ძალით და თვალსაჩინოდ მოცემულია მთელი იმდროინდელი სოციალური პრობლემატიკა.

რასაკირველია, სოციალური რომანტიკის ბუნდოვანი და გაუკვევილი იდეებით აღფრთოვანებულ იდეალისტს — პიუგოს არ შეეძლო გამოეძხნა ამ პრობლემების სწორი გადაწყვეტა, მაგრამ მას მაინც არ ჰქონდა წარმოდგენილი მათი ისე გაწროდ, შეკვეცით გადაჭრა, როგორც ეს ჰგონიათ ბევრ ცნობილი ტერატურის კრიტიკოსს (ლანსონსა და სხვ).

„პირველ ყოვლისა, — სწერს ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი ლანსონი „განწირულთა“ შესახებ, — ეს წარმოადგენს პიროვნების აღდგომის პორტატას, განწმენდით აღამიანის სულის მონანიებას. მეორე მხრით ემას, განწმენდით აღამიანის სულის მონანიებას. მეორე მხრით ემას, განწმენდით აღამიანის სულის მონანიებას. აქ მაძღარი, ეგოისტური, ბურჟუაზიის ფონზე მოცემულია ცხოვრება ჩაგრული, მოტყუებულის,

ტვირთმძიმე ხალხისა, რომელიც მუდამ გზაკვალ აბნეული და დამარცხებული გამოდის“.


(რომ ეს ხალხი მუდამ გზაკვალდაბნეული და დამარცხებული არ არის, ამას გვიმტკიცებს ჩვენი სინამდვილე).

ვ. პიუგოს სოციალურ რომანების ასეთსავე ახსნა - განმარტებას იძლივა უან რაშენიც. მისი აზრით, „განწირულებში“ პიუგომ მიზნად დაისახა ეჩვენებია „საზოგადოების მიერ დაწყევლილი სულის აღდგომა“.

ასეთი კრიტიკა, რასაკირეველია, წარმოადგენს დიდი მწერლის შემოქმედების სოციალური აზრის დამანიჯებას, მის სოციალურ გამოფიტვას. ჯერ კიუკუ თვეით პიუგოს თანამედროვენი კარგად გრძნობდნენ, რომ პიუგო თავის ნაწარმოებებში („განწირულებში“ და „ზღვის მაშერალებში“, „ადამიანი, რომელიც იცინის“, სამოქალაქო ლირიკაში და დრამებში) ბრალდებას უყენებს თანამეზროვე საზოგადოებას, რომ, კერძოდ, „განწირულები“ წარმოადგენს საბრალდებულო აქტს ექსპლოატაციაზე და ჩაგრძაზე აგებულ საზოგადოების ყველა უსამართლობის წინააღმდეგ.

„განწირულებში“ რომანტიკულმა კრიტიკამ დაინახა პიუგოს განდგომა წმინდა ხელოვნების პოზიციებიდან, ცნობილი ფორმულიდან „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელიც ყოველთვის ფარავდა ხან ნილაბაფარებით, ხან კი აშკარად გაბატონებული კლასებისადმი სამსახურს.

პიუგოს თანამედროვე და რამდენიმედ მისი თანამედროვლი ლამარტინი „განწირულების“ გამო სწერდა, რომ მხიბლავს რომანის სიმშვენიერე, მაგრამ არ მომწონს მისი ტენდენციაო. „საზოგადოება წმინდათა წმინდაა“, — სწერდა ლამარტინი (რომელიც, რასაკირეველია, ბურჟუაზიულ საზოგადოებას გულისხმობდა), რადგან იგი აუკილებელია, თუმც სრულყოფილი არ არის იმიტომ, რომ ადამიანისაგანაა შექმნილი. ბურჟუაზიული საზოგადოების ის ამაღლელებელი და რადიკალური კრიტიკა, რომელსაც რომანი „განწირულები“ შეიცავს, ლამარტინის აზრით, ანგრევდა ბურჟუაზიულ საზოგადოების საფუძვლებს. მაგრამ პიუგო, რომელიც თავის ათტომიან ეპობებიაში უფრო მეტ სოციალურ აზრს ათავსებდა, კიდევ არის „საზოგადოებისაგან დაწყევლილი სულის აღდგომის“ იდეა, ასეთ პასუხს აძლევდა ლამარტინის: „თუ იდეალური — რადიკალურია, დიახ, მე რადიგალი ვარ. დიახ, მე ვცნობ, მოვითხოვ, და მსურს ყველაფერში საუკეთესო. ყველაზე საუკეთესო არ არის მტერი სიკეთის, იგი ბოროტების მტერია. დიახ, საზოგადოება, რომელსაც შესაწყნარებლად მიაჩნია სილატაკე... კაცობრიობა, რომელსაც შესაწყნარებლად მიაჩნია ომი, მიმაჩნია დაბალი სახის: საზოგადოებად და კაცობრიობად. მე მინდა საკუთრება გაეხადი საზოგადო, საერთო, რაც არ ნიშნავს საკუთრების გაუქმებას, მე მინდა მოისპოს პარაზიტიზმი; ყოველი ადამიანი იქნება მესაკუთრე და არავინ იქნება ბატონი: აი, ჩემი სოციალური ეკონომია. თუ ეს მიზანი ჯერ კიდევ შორს არეს, ეს კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ხელი ავილოთ ამ მიზნისაკენ სწრაფვაზე... მე ვკიცხავ მონობას, ვდევნი სილატაკეს, ვასწავლი უგიცებს, ვიკვლევ სნეულებას, ვანათებ სიბრელეს, მძღლს სიძულე ვილი. ასეთი ვარ მე. აი რატომ დავწერე „უბედურნი“. ჩემი აზრით „უბედურნი“ არის წიგნი, რომლის საფუძველს წარმოადგენს ძმობა; ხოლო მიზანს — პროგრესი.



ՅՈՒԹՈՒ ՅՈՒՑՈՒ

Նախ. Ե. ՀաճաՇվոլովս

რასაკვირველია, პიუგოსათვის ბოლომდე მიუწვდომელი დარჩა „სოციალური ორგანიზმის იმ დიდი სიცოცხლის“ ძირითადი კანონზომიერება, რომლის სამსახური მან მწერლობის დაწყებიდანვე მიზნად დაისახა. პიუგო ხედავს, რომ ადამიანთა საზოგადოებაში გამეფებული ბოროტება და უსამართლობა როგორლაც დაკავშირებული არიან ისეთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, როგორიც არის ეკლესია, ბურუუაზიული სახელმწიფო, ბურუუაზიული მორალი; რომ ეს ინსტიტუტები აიძულებენ უან ვალუანს, პატიოსას მშრომელს, შეიდი სულის მრჩენელს, გახდეს ქურდი, გაატაროს 17 წელი კატორლაში და მთელი სიცოცხლე იაროს კატორლელის დაღით. პიუგო გრძნობს, რომ ადამიანის ჭირვარამის, უბედურების ფესვები სადღაც ამ მოვლენებში—ბურუუაზიულ კანონმდებლობაში, სახელმწიფოში, რელიგიასა და მორალში მარხია, მაგრამ იგი ვერ პოულობს ყველა იმ სოციალურ ბოროტების ძირითად მიზეზს, რომელიც ბორკავს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, პატიოსან მუშავს აქცევს ქურდად და მაწანწალად, მშრომელ ქალს მეძავად. პიუგოსათვის მიუწვდომელი მწვერვალია ის, რასაც მიაღწია ბალზაკშა, რომელსაც ადამიანის ყოველგვარო ყოფააქცევა, ყველა მისი მოქშედება გამოჰყავს ეკონომიური ურთიერთობისაგან. პიუგო პარტიზანულად ებრძვის დოგმატებს „პარიზის მღვთისმშობლის ტაძარში“, ბურუუაზიულ კანონიერებას—„განწარულნში“. ის ვერ ჩაწერა იმას, რომ ყველა ეს უსამართლობა არის რგოლები ჯაჭვისა, რომელიც ხელფეხს უბორკავს ადამიანს ყველა იმ ფორმის საზოგადოებაში, რომელიც ემყარება უმცირესობისაგან უმრავლესობის ჩაგვრას და ექსპლოატაციას.

მაგრამ მას, რასაც პიუგო ვერ ხედავს მთლიანობაში, მკითხველი ამოიკითხავს პიუგოს ნაწარმოებებში („განწარულნი“, „ზღვის მაშვრალნი“, „აქცი რომელიც იცინის“, „საშინელი წელი“ და სხვ.) ასახულ სინამდვილის სურათებიდან.

ტეირთმძიმეთა, დამცირებულთა და შეურაცყოფილთა პოეტი—პიუგო აღვილად პოულობდა გზას ფართო მასების გულის დასაპყრობად. მის ნაწარმოებთა სოციალური სიმართლე წვდებოდა მასიური მკითხველის გულს. მისი რომანები, ისე როგორც თავის დროზე ისენის და პაუპტმანის დროები, ზოლას რომანები, ობიექტიურად უაღრესად რევოლუციურ ნაწარნოებებს წარმოადგენდენ, და ამიტომაც იყო, რომ მეფის მთავრობი ყოველი გზით ხელს უშლიდა მათ გაფრცელებას მასებში. პიუგოს ნაწარმოებებიდან მკითხველებს გამოჰქონდათ იმაზე მეტი, ვიდრე მათში იყო მოცემული. მშრომელებს იძყრობდა და იტაცებდა პიუგოს ნაწარმოებთა ღრმა ემოციურობა, მისი ურუუარი ჰუმანიზმი, მისი თანაგრძნობა დაჩაგრუულ და ტეირთმძიმე ადამიანებისადმი, მაგრამ მშრომელი მასები არ კმაყოფილდებოდენ მისი მოწოდებით—ადამიანური სინდისიერებისაკენ, ისინი ისწრაფოდენ ბრძოლით დაემხოთ ჩაგვრასა და მონობაზე დაფუძნებული საზოგადოება. დედამიწის ერთ მეექვსედზე მათ მრალწიეს კიდეც თავის მიზანს—შექმნეს პირობები ნამდვილი ჰუმანიზმის ასაყვავებლად.

არიან მწერლები, რომელნიც თითქოს სითბოს გამოასხივებენ, ამ კათუგორიის მწერლებს ეკუთვნის ჰიუგოც. მას არ სჩეორდა ოლიმპიური სიმშვიდე. და მიუკარებლობა. ის ყოველთვის ახლო მიდიოდა მკითხველთან. მისი ამაღელვებელი მოწოდება, როგორი რიტორიულიც არ უნდა ყოფილიყო. იგი, ყოველთვის პოულობდა გზას მკითხველებისაკენ. და ეს იმიტომ, რომ მის რიტორიულობას არ აჩნდა სიყალბის და პოზის დაღი. მას გულწრფელად აღფრთვანებდა ყოველი დიალი და მაღალი; გულწრფელად აღშფოთებდა სოციალური ჯუსამართლობის ყოველი ფაქტი.

პარიზის პროლეტარიატის საბარიკადო ბრძოლები 1848 წელს, მისი დამარცხება, ამის შემდეგ გამეფებული კონტრრევოლუცია, პარიზის შერომელთა გმირული აღტყინება, 1871 წელს, გამხეცებულ ვერსალელთა მიერ დამარცხებულ კომუნართა ხოცაუ-ულებტა—ბრძოლების და ქარტეხილების მოელი ეპოქა დგას მკითხველის თვალწინ, და ამ სურათებში ბევრი რამ არის წარმტაცი და ამაღლებული. მიუხედავად მიამიტი გულკეთილობისა, რომელიც სამტრო განაკებს. შორის გადასროლილ შემარიგებელ ხიდს წარმოადგენს, ჰიუგოს ნაწარმოებთა კითხვის დროს მაინც გრძნობთ, რომ მან მიაგნო ისტორიის მაჯისცემას, რომ მან მრავალ სწავლულ ისტორიკოსზე უკეთ შეიცნო ისტორიული პროცესის აზრი.

იმ, დავუგდოთ ყური გოვენის და სიმურდენის საუბარს, (რომანი „93 წელი“) გოვენი არის ტოკრატიულ ოჯახიდან გამოსული რევოლუციონერია, რომელსაც მისჯილი აქვს გილიოტინაზე კონტრრევოლუციურ ვანდეებს ხელმძღვანელის მარკიზ ლანტენაკის განთავისუფლებისათვის სიკუდილი; სიმურდენი—მოსამართლე, გოვენის ყოფილი მასწავლებელია, რომელმაც გოვენს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

გოვენი: „მზადდება დიდი ამბები: იმას, რასაც ამჟამად ჰქმნის რევოლუცია, ჩვენგან ჭარაეს მომავლის წყვედიადი. ხილულ მუშაობის იქით იმალება უხილავი მუშაობა. ის, რასაც ვხედავთ; სასტუკი რამ არის; ის, რასაც ვერ ვხედავთ,—უმშვენიერესი—ლვთაებრივია. ახლა მე ცხადად ვხედავ რაციქნება. რა საუცხოვო, რა მშვენიერია ეს მომავლი... წარსულისაგან ნაანდერძევ გაკვეთილს ფუჭად. არ ჩაუვლია: იგი ქმნის ამ იშვიათს ოთხმოცდაცამეტ წელს“.

იგივე გოვენი ჯდამიანთა საზოგადოების მომავალ წყობაზე შემდეგს ამბობს:

„უწინარეს ყოველისა, მოსპეცით ყოველგვარი პარაზიტისმი. შემდეგ ეცადეთ გამოიყენოთ ჩვენი სიმდიდრეები. საფრანგეთში მიწების სამი მეოთხედი მოუზნავია; მოხანით მთელი მიწა, გაანაწილეთ თანაბრად მცხოვრებთა შორის. მაშინ ერთი ასად გაიზრდება ქვევნის საერთო ნაყოფიერება... ჩემი ლოზუნგია: წინ და წინ. ლმერთს რომ სდომოდა, რომ ადამიანი უკან, იხევდეს, მას თვალებს კვედის უკან გამაბაძმა. ჩვენი თვალები მუდამ განთიადისაკენ, სიცოცხლის ჩასახვისაკენ, აყვავებისაკენ უნდა იყოს მიძყრობილი. როცა ტრომოკმული ძირის ეცემა, სიცოცხლისათვის ახლად ფეხადგმულს უბნება: იცოცხლე! ძირის დაცემული ბებერი ხის ლაწანი არის მოწოდება ახალი ნორჩი ხეებისადმი. ყოველი საუკუნე თავის საქმე აკეთებს: დღეს წესრიგში დგას საკითხი უფლებაზე, სვალ ხელფასზე. სიტყვა „ხელფასი“ და „უფლება“ არსებითად სინნინია. უფლება ადამიანისაგან განუშორებელი, თანდაყოლილი ხელფასია“.

ეს, თითქოს 1848 წელს ბარიკადებზე მებრძოლ პარიზელ პროლეტარიატის ლოზუნგის სტერეოტიპული განმეორებაა: „ვიცხოვროთ შრომით ან გავწყდეთ ბრძოლით“.

— რა განსხვავებაა ჩვენს ორ უტოპიას შორის,—ეკითხება გოლერი ყოფილ მასწავლებელს სიმურდენს და თავადვე აძლევს პასუხს:—თქვენ ოცნებობთ ყველა-სათვის სავალდებულო ყაზარმაზე, მე კი ვიცენებობ—სკოლაზე. თქვენ გინდათ აღზარდოთ ადამიანი—ჯარისკაცი, მე—ადამიანი—მოქალაქე. თქვენ გინდათ ის იყოს მრისხანე, მე კი მინდა იყოს სააზროვნოდ დაფიქრებული. თქვენ ჰქონით მა-ხვილების რესპუბლიკას, მე კი ვქმნი, მე კი შევქმნიდი (გაასწორა გოვენმა) გო-ნიერთა რესპუბლიკას.

მიწაზე თვალმიშტერებულმა სიმურდენმა თავის აუწევლად ჰქონთხა:

- ჯერჯერობით კი რა გინდა?
- ის, რაც არის.
- მაშ, შენ ამართლებ ამ მომენტში?
- დიარ.
- რატომ?

— იმიტომ, რომ ქარიშხალია. ქარიშხალმა მუდამ იცის, რას აკეთებს. მე-ხისგან გადამწვარ ერთ მუხაზე, ვინ იცის რამდენი ხე, რომელიც გამაძლარა ნა-ჰქექუხლებზე მოსულ ნიაღვარით. ცივილიზაცია დაჭირიანებული იყო. რევო-ლუციის გრიგალმა გაფანტა ჭირი. შესაძლოა, ხანდახან მას კარგთან ერთად მოაქვს ავიც. მაგრამ განა შეიძლება სხვანირად? მან უნდა მოახდინოს საფუძლი-ანი გაწმენდა. ჭირის საშინელებასთან შედარებით, რა არის ქრისტიანება? ესეც არ იყოს, რატომ უნდა მეშინოდეს ქარიშხალის, თუ კი მაქვს კომპასი. რა-ტომ უნდა მეშინოდეს უსასტიკესი ამბების, თუ ჩემში ცოცხლობს, სინდისი?

რამდენი აზრია აქ, ჩვენს ეპოქას რომ ეხმაურება.

ჰიუგო ყველა თავის ნაწარმოებში მიზნად ისახავდა გაფეაფა გზა კაცო-ბრიობისათვის „ბოროტებიდან სიკეთისაკენ“, „უსამართლობიდან სამართლია-ნობისაკენ“. ამ მიზანმა განსაზღვრა მისი შემოქმედების. თემატიკა და მხატვ-რული ხერხებიც. ჰიუგო ხშირად მიმართავს კონტრასტებს, იდეალიზაციას, დი-დაქტიკას. ასეთ დიდაქტიკურ მიზანს ავტორი მიჰყავს. რიტორიკისა, სქემა-ტიზმისა და ნაწარმოებთა კონსტრუქციის ერთფეროვნებისაკენ, მაგრამ, მიუხე-დავად ამისა, საფრანგეთის და მთელი ქვეყნის ასეული მილიონი მკითხველები ვერც კი ამჩნევდენ ჰიუგოს შემოქმედების ამ ნაკლს, რაღაც ამ დიდ მწერალ-თან ერთად მილიონიან მასებს სჯეროდათ, სწამდათ სიკეთისა და სიმართლის გამარჯვება. ეს რწმენა აძლიერებდა მათ პათოსსა და ენტუზიაზმს შემდეგი ბრძოლებისათვის.

( 11 თებერვალი )

## ის ორნმებს შორის

(Elle était déchaussée)

ის ლერწმებს შორის ნაზი იჯდა და ფეხშიშველი,  
 და მას, ომაგაშლალს, არაფერი ჰქონდა სამოსად.  
 ფერიად ვთვლიდი, თითქოს თვალმა მე ვერ მიშველა,  
 და შევეკითხე: გსურს თუ არა ველად წამოსვლა?  
 მან შემომხედა ზეციური, ისე ქალური  
 და დამარცხებულ სილამაზის მწველი თვალებით,  
 და შევეკითხე: ნუთუ არ გრძნობ, თვე სიყვარულის  
 რა გამძაფრებით გვიწვევს ტყისკენ იდუმალებით?  
 მან შეიმშრალა ვარდისფერი ფეხი ბალახზე  
 და შემომავლონ ვრცელი მზერა განმეორებით,  
 ნაზია გიუმაუმა წუთით ფიქრის მხარე გადასხსნა...  
 ოჭ, როგორ უღერდა ფრინველებით ტევრის მორევი!  
 როგორ დიოდა წყალი წყნარი და უფერული...  
 ლერწმები თრთოდენ, ნაკადმა რომ უხვად დანამა!  
 და მოდიოდა ჩემსკენ ქალი, მკრთალი, ველური,  
 ჩამოშლილ თმებში თვალები რომ ფართოდ განაბა.

თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა.

## ოზის ოჯახი

(Ocean nox)

ნეტავ რამდენი კაპიტანი და მეზღვაური,  
 ალტაცებული შორეული სივრცის ხმაურით,  
 გზადაკარგული ველარ ნახავს მშობელ ტრამალებს.  
 სასტიკო ბედო! შენ სიცოცხლეს უმიზნოდ არლვევ.  
 გადააფარე ზღვა უძირო, უმთვარო ლამე  
 და უსინათლო ზღვების ფსკერზე დაასაბარე.

ვაჟკაცთა ლეშით ველარ გაძლა ზღვათა მუცელი.  
 აპა, ცხოვრების ურაგანმა დღეთა ფურცლები  
 ერთი შებერვით დაარღვია და მისცა ტალღას:  
 აქ უკანასკნელ შეკივლებას ვინ გაიგონებს,  
 როცა ზვირთები განწირულებს უცბად იმონებს,  
 ზოგს მიაქანებს უფსკრულისკენ, ზოგს ისგრის მალა-

არავინ იცის თქვენი ხედრის სურათი მკაცრი:  
ზღვათა მინდვრებზე როგორ გორავს დამხრჩალი კაცი,  
წყალქვეშა კლდეებს როგორ ურტყამს შებლი მაღალი:  
რამდენი დედა იმ იმედით არ ხუჭავს თვალებს,  
რომ დაკარგული მისი ვაჟი შეაღებს კარებს  
და ლონემიხდილს მოეხვევა მკლავი მაგარი.

თქვენ გიგონებენ, როცა მიწას ბინდი მოიცავს.  
შხიარულ წრეში თქვენს სახელსაც სიტყვა მოიტანს,  
სახელს, რომელსაც პბურავს ახლა მწუხარე ჩრდილი.  
როცა ეს ხალხი ან იცინის, ან მღერის რამეს,  
ან როცა სატრფოს უყვებიან უცნაურ ამბებს,  
ამ დროს თქვენ გძინავთ და გედებათ ხავსი და ჩრჩილი.

სადა ხართ, ნეტავ? თუ იპოვეთ უცხო კუნძული,  
და შეიძულეთ ჩვენი მხარე მწირი, უძლური,  
ვაგლახ, რომ თქვენი მოგონება სამარეს მიაქვს;  
ტანი ტალღამ და დავიწყებამ მოჰკლა სახელი,  
და ეს დროება. უცნაურის გამომსახველი,  
ოკეანეზე დავიწყების აქროლებს ნიავს.

თქვენი არსების მცირე ლანდიც გაჰქრება მალე.  
ყველა ზრუნავს აქ, ყველა უხდის ცხოვრებას ვალებს.  
და ლამე, როცა დედამიწას გრიგალი უვლის,  
ქვრივი ქალები, როს მიწყდება ხმაური ტერფის,  
თქვენ გიგონებენ, უნდათ ისევ გაღვივდეს ფერფლი  
დამქრალ კერის დამქრალი გულის.

და თქვენი ხსოვნა არ დარჩება აქ ადამიანს,  
არც სამარეზე მივიწყებულს ლოდებს. ნამიანს,  
ჰირისუფალი როცა წავა უკნასკნელი.  
ფოთლებს ვერ დაჰყრის თქვენს საფლავზე ქარი უხეში,  
არც მათხოვრის ლექსს, რომ მღერიან ხიდის ყურეში,  
ალარ დარჩება მოგონებად თქვენი სახელი.

შეზღვაურები სად დამალა უმთვარო ლამემ?  
ზღვაო, ნეტავი ჭის გაუმხელ საზარელ ამბებს?  
ალბათ უყვები ალელვებულ ზვირთებს და ტალღას,  
როცა მოგორავ ნაპირისკენ სასოწარკვეთით.  
და შეჩს ხმაურში, ლრიანცელში ისმის გარკვევით,  
რომ კეშანი გოლიათსაც გტანჯავს და გლალავს.

თარგმანი მიქელ პატარიძისა

# ს.ს.მ.პ. ხარხთა ღიგვარაჭურა

## ბელორუსის ლიტერატურა

ოქტომბრის რევოლუციამდე არსებული ბელორუსის ლიტერატურა ათიოდე მწერლის ნაწერებით შემოიფარგლებოდა (ბელორუსულ ენაზე ოქტომბრამდე მხოლოდ 20—25 მხატვრული წიგნი რყოფილი).

ამ პერიოდში მწერლების ძირითადი თემა ბელორუს გლეხის უმწეო მდგომარეობა და ამ მდგომარეობის დატირება იყო. ამ განწყობილებამ ლიტერატურაში უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო რეაქციის პერიოდში—1907 წლის შემდეგ. საუკეთესო მწერლებიც კი, რომლებმაც ჩვენამდე მთაღწიეს კუპალა, კოლა და სხვ. რევოლუციურ აღორძინების პერიოდში თავის ნაწერების საშუალებით პროტესტს აცხადებდნენ ბელორუსის ხალხის ნაციონალურ და სოციალურ ჩაგრძის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ წარმოედგინათ ნაციონალურ-გამანათვისუფლებელ მოძრაობის როლი და ადგილი პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში, ვერ ხედავდენ მუშათა კლასს და მის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

ნაციონალისტური ხაზი ლიტერატურაში გაგრძელებულ იქნა (რა თქმა უნდა, ახალ შენიღბულ ფორმებში) ოქტომბრის რევოლუციის შედეგაც. ამას ხელი შეუწყობ ბ. კ. პ. (ბ) რიგებში მყოფმა ნაციონალ-აღორძინებმა და ისეთი ტიპის პროვინციალობა, როგორიც სამეცნიერო აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი იგნატიოსკი იყო. პარტიამ უდიდესი მუშაობა, ჩატარა ნაციონალ-დემოკრატებისა და მათი კონტრრევოლუციურ, ინტერვენტული მოქმედების გამომჟღავნებისათვის და მათ გასანადგურებლად. ამ ბრძოლაში ბ. კ. პ. (ბ) აქტიურად ეხმარებოდნენ ახალგაზრდა მწერალთა კატერები (ჩაროტი, ალექსანდროვიჩი, ლინკოვი და სხვა), რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ჯერ „Молодняк“-ში და შემდეგ ბელორუსის პროლეტარულ მწერლობის ასოციაციაში.

ბურგუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც მაშინ მოკალათებული იყვნენ საგამომცემლო ორგანოებში სასტიკ წინააღმდეგობას: „უწევდენ პროლეტარულ სულისკვეთებით გაედენთილ მწერლებს.

ჩაროტის (პროლეტარული პოეზიის მმამთავრი) პოემა „Босая на вогнишче“ უარყოფით ნაწარმოებად იყო გამოცხადებული. მაშინ, როდესაც მხატვარმა-კომიტეტისტმა შეუდარებელი ოსტატობით გვიჩვენა არა მარტო მუშათა და გლეხთა ბრძოლა პოლონელ-თეთრგვარ-დიელთა წინააღმდეგ, არამედ მთელი რიგი. ტრალდებებისა წაუყენა ბელორუსიელ ინტელიგენციას.

ნაციონალისტების ღრმა აღშფოთება: გამოიწვია: პროლეტარულ პოეტ ანდრეი ალექსანდროვიჩის პოემა „Цені на солици“, რომელშიც პოეტმა მოგვცა ნაცდემოკრატების „მოლვაწეთა“ პორტრეტები იმდენად აშკარად, რომ არა თუ თვით ნაცდემები ციხობილობდნენ თავიანთ თავს, პოემაში მათ ცნობილობდა ფართო პროლეტარული საზოგადოებრივობა.

„Молодняк“-ი და შემდეგ ბელორუსის პროლეტარულ მწერლობის ასოციაცია, მიუხედავად მთელ რიგ პოლიტიკურ ჩავარდნებისა, აწარმოებდნენ გამძაფრებულ ბრძოლას ნაციონალისტურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ და მათ კიდევაც, აიძულეს 1932 წლის 23. აპრილის დადგენილებამდე ცოტა ხნით ადრე, აღვარებიათ თავისი პოზიციების სიმცდარე და დაშლილიყვნენ.

23 აპრილის დადგენილებას შემდეგ ჩამოყალიბებული ბელორუსის მწერალთა ორგანიტეტი თავის დროის ვერ გაერკვა რთულ კლასიურ ბრძოლაში ლიტერონტზე და ნაციონა-

ლისტურ ელემენტების მიმართ გამოიჩინა დამპალი. ლიბერალიზმი, მაგრამ ნაციონალისტურ ელემენტების შენიღბული ტაქტიკა მალე გამომუდანებული იქნა, ნაციონალისტები გამორიცხულ იქნენ მწერალთა კავშირის რიგებიდან და მწერალთა საზოგადოებრივობა დარაზულ იქნა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ.

სრულიად ბელორუსის მწერალთა I ყრილობამ შეაჯამა ბელორუსის მწერლობის მიღწევები 16 წლის განმავლობაში. ეს მიღწევები, როგორც ერთერთი მაჩვენებელთაგანი საბჭოთა ბელორუსის ნაციონალურ კულტურის ზრდისა და განვითარების, მეტად საგულისხმოა.

საბჭოთა ბელორუსის ლიტერატურამ აღხარდა ისეთი მწერლები, როგორიცაა მი ხა ს ჩა რო ტი, ანდრე ი ალექსან დ რო ვიჩი, ებრაელების პროლეტ-პოეტი ხარიკი, რომელთა შემოქმედებას ყოველთვის ფართო გამოხმაურება აქვს მითხველთა მასებში და მათი, ნაწერები გადათარგმნილია და იბეჭდება არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

საბჭოთა ლიტერატურამ გამოხარდა დრამატურგები: კობეცი, კურდინი, რომან ვიჩი, რომელთა პიესებიც შეტანილია საბჭოთა კავშირის: მრავალ თეატრების რეპერტუაზში.

დაბოლოს მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეს შეეძლო ალექსარდა ისეთი პროზაკოსები როგორიც ლინკოვი და გალავანი იმას, რომ ბელორუსის საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები უდიდესია, იგი მაინც ჩამორჩება. სოციალისტურ მშენებლობის ტემპებს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ოქტომრამდე არსებულ მდგომარეობას, და იმას, რომ ნაციონალისტები ყოველ ღონის ხმარობდენ, რათა შეეწირებიათ ბელორუსის ლიტერატურის ზრდა, მაშინ ნათელი გახდება თუ რისოვის ითვლება ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა უდიდეს მიღწევად არა მარტო ბელორუსისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

ბელორუსის ლიტერატურის მოძრაობის ძრითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს მწერალთა რიგების ნაციონალისტურ ელემენტებისაგან გაწმენდა.

ნაციონალ-დემოკრატები ცდილობდენ ბელორუსის: ლიტერატურა გაეხადათ თავიანთ მახვილ იარაღად რევოლუციის წინააღმდეგ. ისინი ყოველ ღონის ხმარობდენ ლიტერატურა გაუქცენთა წაციონისტური სულით, ამისათვის ისინი ცდილობდენ მხატვრული ენა დაენა-გვანებიათ ათაიმებით, პოლონისმებით და განენდევნათ ის სიტყვები, რომლებიც ჰყავდა რუს სულ სიტყვებსა ან და რომლებიც რევოლუციამ შემოიტანა. და დაკანონა. (მაგ. პროლეტარიატი—გადათარგმნეს „Галота“, ბარიკადი—„Загородка“, დიალექტიკა „Пустословие“. თვითონ სიტყვა „ბელორუსი“, იმიტომ რომ შიგ „რუსი“ ერთა შესცვალეს სიტყვა „Кривич“—ით.).

რა, თქმა უნდა, ნაციონალიზმის ნარჩენები მთლიანად დღესაც არ არის აღმოფხვრილი, მაგრამ უდიდესმა აღმზრდელობითი მუშაობამ შესაძლებელი გახდა ნაციონალიზმს ჩამოშორებოდა სიტყვის ისეთი დოდი ისტატები, როგორიც არიან კუპალა, კოლა დ უკ ლი ია, გარტნი, ზარეც კ და სხვ. ეს მწერლები სოციალისტურ მშენებლობაში, აქტიურად არიან ჩაბმულნი მხატვრული სიტყვის იარაღით.

რესპუბლიკის სახალხო მწერალი ია კ უ ბ კ თ ლ ა ს ი, რომელიც შესანიშნავად აგვიშერდა და ძველ, რევოლუციამდე არსებულ სოფელს და რომელიც დიდხანს ვერ ერკვეოდა ახალი საკოლმეურნეო სოფლის შექმნის პროცესებში, თავის პოემაში „Адшакапанеи“ გვიხატავს ამ ახალ სოფელს, სწორად გვაჩვენებს. ახალ საკოლმეურნეო წყობილების წარმოშობას.

რესპუბლიკის მეორე სახალხო პოეტის კ უ ა ლ ა ს, რომელიც სიტყვის უდიდეს სტა-ტად ითვლება და რომლის ნაწერებზე სწავლობს მწერლობის ახალი თაობა, იდეური გარდავენა უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს (მისი პოემა „Над рекою Ареасаю“ და ლექსები „Борисовы“).

ღრმა ორგანიული გარდაქმნის პროცესი გაიარეს ბი ი ა დ უ ლ ა მ, ზარეც კ ი მ და სხვა.

ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სრულიად გადახალისდა საბჭოთა მწერლების თემატიკა. შეიცვალა ძველი ცრუ წარმოდგენა სოფლის სინამდვილეზე, უკანასკნელად მხატვრულ ნაწარმოებში გაშუქებულია ბელორუსის სოფელი მხატვრულად და რეალისტურ ფერებში (კ რა პ ი ვ ა, ბ ა ლ ა ვ ა ჩ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ თ ვ ი ჩ ი).

ბელორუსის ლიტერატურა ახალ მარტო სოფლის თემატიკით როდი კმაყოფილდება. უკვე შექმნილია საკმაო რიცხვი მხატვრულ წაწარმოებებისა საწარმოო თემებზე: ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ თ ვ ი ჩ ი ს „Напор“—ხის დამამუშავებელი კომბინატის მასალაზე, ბ რ თ ვ კ ი ს „Каландри“ ქალალდის ფარიკის მასალაზე. მ ი კ უ ლ ი ჩ ი ს „Мощь“ მაგნიტოგორსკის მასალაზე და მრავალი სხვა.

ბელორუსის ლიტერატურამ ნაცდემების ორიენტაციას კონტრრევოლუციაზე დაუპირდაპირა არიგნტაცია პროლეტარულ რევოლუციაზე.

ბელორუსის ლიტერატურის იდეურ-პოლიტიკური დონქ საგრძნობლად ამაღლდა. უკანასკნელ თრი-სამი წლის დირსშესანიშნავ ნაწარმოებებში დასმულია და სწორადა გადაწყვეტილი ბელორუსის სინამდვილის ყველაზე მძაფრი პრობლემები.

საგრძნობლად გაფართოვდა ბელორუსის ლიტერატურის თემატიკა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის და თავდაცვითი საკითხების გარშემო შექმნილია თვალსაჩინო მხატვრული ნაწერები, მაგრამ არსებული მრგომარეობა რა თქმა უნდა არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ სოფლის თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებები გაცილებით სჭარბობს ინდუსტრიალურ თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებებს. ლიტერატურული სილუვის ძველი ოსტატები ჯერ კიდევ საჭაოდ ვერ, დაეუფლენ ინდუსტრიალურ და თავდაცვითი თემატიკას.

საგრძნობლად გაიხარდა დრამატურგია. გასულ წელს გამოცხადებულმა კონკურსმა სავულისხმი შედგი გამოიღო. პრემირებულ იქნა: კრაპი ვას „Конец дружбы“, ზისკინდას „Восстание жнецов“, გოლოვჩინენ რის „Зеликодушие“.

აღსანიშნავია ამ პიესათა მაღალი იდეური დონე და საკმაო მხატვრული დორებულება: ცოტა რამ ლიტერატურულ ახალგაზრდობაზეც.

უკანასკნელ წლების განმავლობაში გამოვიდა ახალგაზრდა მწერლების მთელი რიგი შესანიშნავი წიგნებისა. მათ შორის უსათუოდ უნდა აღმინშენოს მიკული ჩირის „Мощь“, ზინკლენდის „Солиця-Шоук спасли“ და „Записки инструктора Томана“, სამუილენკოს „Теория календарей“, კულეშოვის „Амонад“ და „Горбун“, პოლონენ პოვტკუვალსკის პოემები და ებრაელ პროზაიკ კაცოვიჩის ნოველების წიგნი.

ახალგაზრდების დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი სწრაფად ითვისებენ და ეუფლებიან აქტუალურ თემატიკას. დღითი-დღე იზრდება მათი ნაწერების იდეურობა და მხატვრული დონე.

ბელორუსის ლიტერატურის საერთო წინსვლა დამახასიათებელია აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობაზე ლიტერატურისათვისაც.

ებრაელ მწერლებში ყურადღებას იქცევენ კულბაკი და დოლგობრი სკი.

პოლონელ მწერალთა შორის კი კოვალსკი, რომელიც კაია, გორავსკი და კრაინსკი.

პოლონურ მწერლების ზრდასთან ერთად ფართოდ იშლება მასიური ლიტომორაობა, რომელიც თავს იყრის გაზეთ „ОРКА“-სა და ბელორუსის მწერალთა კავშირის პოლონურ სექციაში.

ლიტერატურის საერთო ზრდასთან შედარებით ნელა იზრდება მხატვრული კრიტიკა. ამის მიზეზი უშთავერესად იმაშია, რომ ნაციონალისტები, რომლებიც მოკალათებულები იყვნენ, სამეცნიერო აკადემიაში, მთელი ძალით ხელს უშლიდენ ლიტერატურის მცირება. პროლეტკადრების მომზადებას.

მიუხედავათ ამისა, ბელორუსის მაინც ჰყავს ისეთი კრიტიკოსები, რომორიც არიან ბოლონ შტრინგი, დუნცი, ახალგაზრდებიდან ვოლოსკი და კუჩარი. რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის და ბელორუსის მერალთა კავშირის ძალით მიმართულია იქითვენ, რათა გაძლიერებულ და გაფართოებულ იქნეს მხატვრული კრიტიკის ფრონტი.



### გელორუსიის მფარლები საჩართვილოზ

სხედან: (მარჯვნიდან) საქ. მწერალთა კავშირის პ/მგ. მდივანი ამხ. დ. დემეტრაძე,  
განათლების სას. კომისარი და მწერ. კავშირის თავმჯ-რე ამხ. ა. თათარიშვილი,  
ამხ. ამხ. ვოლსკი, სამუილენკო და შ. დადიანი.

დგანან: (მარჯვნიდან) ამხ. ამხ. ა. ჭყონია, მიკულიჩი, კოვალსკი,  
ტ. ტაბიძე, ხვედოროვიჩი.

ՑԱՌՈՑՈՒՆ ՀՇԱՋԱՌԵՑՈ



(Հյալուգան—հրճուղայութուն ցիցն)

Ցյերդնի ցոյրաց, Ցյերդնի ցմալաց,  
տցալս Շամբամո դապարյ;  
Ծաօնինց, հյեմո ալլա,  
դատցուց եղիշաց տոցլնի տցալյեծ.

Ըա ամտյենարյեծ չամտրուս լամյ,  
պոնուլյեծն մուրուս, սուրացս;  
Ցյեն պուրս սցըյեծ սպեռ ամեցն  
Ըա սպէյրո սոնթմրուս սուրատս.

Ցյեն ալլաստան լամուս մուրմա  
դեզուս նանաց մուպուհիա;  
Ցյեցա մորս կորուս ծամեցուս դյուոլաս,  
Ցյեցաս յարո ալար սպիանս.

Իյուսկոնցը ցոցուս—ալլաս,  
կոմյացնորուս վնածացտ Շրյեշն;  
Ցանինարյեծ յս պյուրուլա,  
դեզուս մյերդնի գույս հռ եցնեշուս.

Ըանցրյա լամուս ծոյրչո,  
մուցըյեծ Ցյեցաս ալո.  
Ոյնեծ Ցացո, ոյնեծ լոյրչո,  
ցանլոմեծ ծացնշուս տցալո.

Ցոյցուս դեզուս, ոյնպէս Ռուրունս:  
—նուտու դատցուց լցըյեծ լուլուտ?..  
Հռոցա մոցա մուս Շմուրու,  
Սուրս մոցլուջուս մյերդնի լուլո.

როგორც მამის ხელი ნაზი,  
ბოლშევიკის ხელი მტკიცე  
ბავშვის ხალისს უცებ გაზრდის,  
სათამაშოს როცა მისცემს.

მერე ეტყვის შმიდტი მოცლით,  
თან უკოცნის ალლას ხელებს:  
—ვერას გვაზამს ჩვენ ნორდ-ოსტი,  
ჩვენ გავარღვევთ ყინვის ველებს;

ტოროსები თუმც ზღვას ჰქარგავს,  
არ გვაშინებს ყინვა ნისლი.  
შენ რომ მითხარ, მახსოვს კარგად—  
„ვართ ორივე კომუნისტი“.

თარგმანი მიქელ პატარიძისა

# მაკრიურ ლიტერატურული მოქარაობის საპირზები

სემონ ჭვერავა

## გავაძლივი ხოთ სალიტერატურო ჯრების მუშაობა

ლიტერატურული ახალგაზრდობა ორგანიზებულ შეკავშირებას და ხელ-მძღვანელობას საჭიროებს. ამ შეკავშირების ძირითად ფორმას წარმოადგენს ლიტერატურული შემოქმედებითი წრეები. ლიტერატურული წრე არის ის უჯრე-დი, რომელიც აერთიანებს მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულ ახალ-გაზრდობას, იმ ახალგაზრდობას, რომელსაც სწყურია ლიტერატურული ცოდ-ნის ამაღლება, შინაგანი შემოქმედებითი პოტენციის გამოყენება და საკუ-თარი წვლილის შეტანა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

ლიტერატურული წრეები ჩამოყალიბებულია: ფაბრიკა-ქარხნებსა, მუშა-თა კლუბებსა, ბიბლიოთეკებსა და მუშათა განათლების სკოლებთან.

ხელმძღვანელობას დებულების მიხედვით მწერალთა კავშირი და პროფე-სიონალური ორგანიზაციები უნდა უწევდეს. სინამდვილეში კი, მხოლოდ მწე-რალთა კავშირი ხელმძღვანელობს, რაც აუცილებლივ უნდა მიეწეროს, პროფე-ორგანიზაციების მიერ ლიტერატურული წრეების მუშაობის შეუფასებლობას და სუსტ მუშაობას ამ დარგში.

მწერალთა კავშირის მიერ ახლახან მოწვეულშა ტექილისის ლიტერატუ-რული წრეების შექრებამ ცხადჰყო ის უდიდესი ლტოლვა და ენტუზიაზმის მხატვრული ლიტერატურისადმი, რომელსაც ჩვენი მუშა-ახალგაზრდობა იჩენს. გამოიჩევა, რომ მწერალთა კავშირმა, წარსულ წელთან შედარებით, ლიტერა-ტურული წრეების მუშაობაში საგრძნობი მიღწევები მოიპოვა. ამავე დროს ტურული წრეების მუშაობაში საგრძნობი მიღწევები მოიპოვა. ამავე დროს მასიურ-ლიტერატურული მოძრაობის მიღწევები მოიპოვა. ამავე დროს განიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ლიტერატურული წრეების მუშაობას და მუშა ახალგაზრდობის ლიტერატურულ-მხატვრულ აღზრდისა. და მომსახურეობის საკითხებში.

საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო მწერალთა კავშირის დადგენილებით, მასიურ-ლიტერატურული მოძრაობის ორგანიზაციულ მატერიალური ხელმძღვა-ნელობა გადაეცემა, პროფესიონალურ კავშირებს: ამ დადგენილების მიხედვით, მწერალთა კავშირი ლიტერატურულ წრეებს და ლიტერატურულ ახალგაზრდო-ბას იღეურ - მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს (კონსულტაცია, პროფ-რამების შედგენა, ხელმძღვანელის გამოყოფა, ბეჭდვა და სხვა), ხოლო პროფ-რამების შედგენა, ხელმძღვანელის გამოყოფა, ბეჭდვა და სხვა), ხოლო პროფ-რამების უკიდესობა ასეთ ლოგიზმიზაციულ ღონისძებათა განხორციელება, ორგანიზაციებს ეკისრება ისეთ ლოგიზმიზაციულ ღონისძებათა განხორციელება,

როგორიცაა: წრეების დაკომპლექტება, ბინების გამოყოფა, სამუშაო საათების შეჩევა, ლიტერატურის შექნა, ხელმძღვანელისათვის ხელფასის მოწესრიგება და წრის წევრთა ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ლიტერატურული წრეების ხელმძღვანელობას, დავინახავთ, რომ ზოგიერთი პროფორგანიზაცია თავის დროზე არ ღებულობს შესაფერ ზომებს მასიურ ლიტერატურული მოძრაობის გაშლისათვის.

აი, ფაქტები: ძირეული პროფორგანიზაციების მიერ ლიტერატურული წრეებისადმი უსულებულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულების შედეგად ჩაიშალა ლიტერატურული წრეების მუშაობა „ნეფტებურმაშში“, მაუდის ფაბრიკაში, დეპოში, აბრეშუმის ფაბრიკაში, მთავრობის სასახლის მშენებლობაზე, პოლიგრაფშარმოების სტამბასა და ტექნიკუმში და სხვ.

მაგალითისათვის მოვიყვანთ „ნეფტებურმაში“-ს ქარხომის ყოვლად დაუშვებელ მოქმედებას. ქარხომმა, ლიტერატურული წრეს ბინა არ გამოუნახა, სამუშაო საათები არ გამოუყო, წრის ხელმძღვანელი. მწერალი ი. ტატიშვილი ოცჯერ მაინც მივიდა ქარხანაში მაგრამ იმის გამო, რომ ხელი არ შეუწყვეს ადგილობრივ, მხოლოდ 7-ჯერ ჩაატარა მეცადინეობა.

ნაწილობრივ ასეთივე ძლგომარეობა იყო მაუდის ფაბრიკაში (თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლიტერების შეკრებაზე მაუდის ფაბრიკის წარმომადგენელმა დაპირება მისცა მწერალთა კავშირს, რომ ისინი ყოველგვარ პირობებს შეუქმნიან ლიტერატურულ წრეს ნორმალური მუშაობისათვის).

პოლიგრაფტექნიკუმის და სტამბის დირექციამ, ადგილკომთან ერთად, ლიტერატურული წრის ჩამოყალიბება ჩასთვალა მწერალთა კავშირის მიერ მათ შინაურ საქმეებში ჩარევად; ხელმძღვანელს ხელფასის მიცემაზე კატეგორიული უარი უთხრეს. ასეთი ფაქტების მოყვანა ბევრი შეიძლება, მაგრამ ამით დავკმაყოფილდეთ.

მაშინ, როცა ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრეების ხელმძღვანელობის და ლიტერატურული წრის ახალგაზრდობის აღზრდის ცენტრალურ ფიგურას წრის ხელმძღვანელი წარმოადგენს, მისი ხელფასის საკითხის მოუწესრიგებლობა და ზემოთ აღნიშნული პირობების მოუგვარებლობა ყოველთვის გამოიწვევს მუშაობის შეფერხებას.

რასაკვირველია, ეს მდგომარეობა ასე არ დარჩება. ამ საქმეში ჩაერევა საქართველოს პროფსაბჭოს ხელმძღვანელობა. და აგრძნობინებს ასეთ ძირეულ პროფეშანებს; თუ როგორ უნდა მოეცყრან ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს, მით უმეტეს, რომ ჩვენ მოგვეპოება ჩვენი პარტიის და მსოფლიო მეშათა კლასის ბელადის დიდი სტალინის ბრძნული მითითება კადრების შრუნველობით აღზრდის შესახებ.

მწერალთა კავშირს ლიტერატურული წრეების ხელმძღვანელობის დარგში, ერთგვარ მიღწევებთან ერთად, საგრძნობი დეფექტებიც ახასიათებს. ყველგან და ყოველთვის როდი ჩანს ლიტერატურულ წრეებზე ოპერატიულ-კონკრეტული ხელმძღვანელობა; ზოგ შემთხვეულში წრის ხელმძღვანელთა ხშირი ცვლა მიზეზია ლიტერების ჩაშლისა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ლიტერატურული

წრეების მუშაობაზე. ხელმძღვანელთა შერჩევა ზოგ შემთხვევაში ყოველ-მხრივ აწონილ-დაწონილი არ არის. მთელ რიგ ძირითად წარმოებებში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ლიტერატურული წრეები. წრეები, უმ-თავრესად, კლუბებსა, სკოლებსა და სამკითხველოებთან არსებობს. ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მასიური ლიტერატურული მოძრაობა გაიშალოს ძირითადად ფაბრიკა-ქარხნებსა, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობებში.

ყველა ამ უარყოფითი მხარის აღმოფხვრა მწერალთა კავშირის მუშაობაში, წარმოადგენს დღევანდელი მუშაობის მთავარ ამოცანას, რაც დაძლეულ უნდა იქნას მწერალთა აქტივის დარაზმეოთ და ფართო საზოგადოებრივობის მასიურ-ლიტერატურულ მოძრაობაში ჩაბმით.

უნდა ალინიშნოს, რომ მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევა: პლეხანოვის სახელმძღვის კლუბი, ვოროშილოვის სახ. კლუბი, ნავთლულის რეინის გზის კლუბი, „ტელასი“-ს კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა, ჯაფარიძის სახ. ბიბლიოთეკა, მუშათა განათლების ათწლები და სხვა. ამათ შორის განსაკუთრებული მზრუნველობით მუშა-ახალგაზრდობისადმი გამოირჩევა პლეხანოვის სახელმძღვის კლუბი.

წრის წევრების მხატვრული პროდუქცია ხშირად იძებელება საწარმოების მრავალტირაჟიან გაზეთებში. ზოგჯერ კი ლიტერატურულ უურნალებშიაც.

მათ შორის ყურადღებას იქცევენ: ტაბატაძე, ჯვარშეიშვილი, ნაზარბაევი, ჯლარკავა, ქისტაური, ფერაძე, მესხი, ხეველი, რატიშვილი, კოპალეიშვილი და სხვა.

ამჟამად, საზაფხულო მუშაობის გაშლის საფუძველზე და მის პარალელურად, მწერალთა კავშირმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ზუსტად უნდა გაითვალისწინონ ყველა ის დეფექტი, რაც ახასიათებდა წარსულ მუშაობას, რათა საზაფხულო მუშაობის დასრულებისას მომზადებული შევხვდეთ ახალ მუშაობას.

აქედანვე უნდა იქნას მოწესრიგებული ხელმძღვანელთა შერჩევის საკითხი.

ყველა მაღალ-კალიფიკაციის კრიტიკოსს და მწერალს როდი შეუძლია ლიტერატურული წრეების ხელმძღვანელობა? ამ აუცილებელ თვისებასთან ერთად, ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი უნარი და გამოცდილება, რომ მაღალ საფეხურზე დავაყენოთ მუშა-ახალგაზრდობის იდეურ მხატვრული აღზრდის საკითხები.

მწერალთა კავშირის და საქართველოს პროფსაბჭოს მჭიდრო ურთიერთობით, მწერალთა აქტივის და კავშირებში გაერთიანებული პროფესიონალური მასების დარაზმეოთ საესებით და მთლიანად აღმოფხვრილ უნდა იქნას ის ჩამორჩენა მასიურ ლიტერატურულ მოძრაობაში, რომელიც ამჟამად არსებობს.

განსაკუთრებით კი უნდა გაემახვილოთ ყურადღება სარაიონო ცენტრებში და საკოლმეურეო სოფელში ლიტერატურული წრეების ქსელის გაშლის საკითხზე. ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებული ჩამორჩენილობა გვაქვს.

# ქრონიკა ღა ინცორმაცია

ზოგოზედი გათი

ქურნალ „ჩვენი თაობასთან“ ჩამოყალიბებულია. ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებითი წრე. წრის მიზანია ასწის ახალგაზრდა ავტორთა კვალიფიკაცია. თვეში სამჯერ იმართება საჯარო სწორმები, არმლებზედაც უურნალის კონსულტანტებისა და კვალიფიციურ მწერალთა თანდასწერებით ახალგაზრდა მწერლები კათელულობენ თავიანთ ნაწერებს. რომელთა გარმშომიართება აზრთა გაცელა-ა-მოცულა. ეძლევა ავტორებს სათანადო მითითებები და სხვა.

წრის სამუშაო პროექტი შედის კლასიკური მემკვიდრეობისა და თანამედროვე მწერლობის შესწავლა. სათანადო მოხსენებებისა და ლაბორატორულ მუშაობის, საშუალებით.

ჩატარებულ იქნება სპეციალური საუბრები—როგორ მუშაობდენ ჩვენი კლასიკურები აგრძოვე მოეწყობა თანამედროვე კვალიფიციურ მწერლებთან შეხვედრები მათი შემოქმედებითი შეთთდის გაცნობის მიზნით.

## გორგის კრიზტიანი

საპეტრიერო აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტი სცემს დესნიცესა და ბალტიატის რედაქციით გორგის მეორე კრებულს. კრებულში მოთავსებული იქნება გორგის ჩაკლებად ცნობილი ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია მწერლის მიერ 90-იან წლების დასაწყისში, რამდენიმე საგანეთო წერილი, უდიდესი მიწერმოწერა: წერილები ჩეხოვთან, ა. კონთან, აიზმანთან; ფ. ბატიუშკოვის, პ. იაკუბოვიჩის და ი. ბუნინის წერილები გორგისთან.

კრებულში გამოყოფილია ცალკე განციფილება, რომელშიაც მოთავსებულია სახელმწიფო საარქივო დაწესებულებაში არსებული გორგის ყველა მხატვრულ ნაწარმოებთა ხელთნაწერების აღწერა.

ყოველ გამოცემაზე მასალას თან ახლავს სტატია ან ურცელი კომენტარია: კრებული გამოვა 50 ნაბეჭდ ფურცელზე.

## უცხოელ ავტორთა რჩეული ნაშრობი.

რესეტის სახელმწიფო ლიტგამომცემლობამ გამოისცა კელერ რმანის რჩეული ნაწერების II ტომი.

ამ მოკლე ხანში გამოვარო მას მას მარის მეხუთე ტომი, რომელშიაც მოთავსებულია „ჯალოსნური მთის“ მეორე ნაწილი. მზადდება გამოსაცემად პირველი ტომი („ბულენ-ბროკები“).

ანდრე უიდის რჩეულ ნაწერების პირველ ტომში მოთავსებული იქნება: „ანდრე. ვალტერის ლექსები“, „ცუდათ მიჯაჭვული პრომეთე“, „იმორალისტი“, „4 ტრაქტატი“, „იზაბელლა“, „საულ“ და 5 კრიტიკული წერილი. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორის შემდეგი სიტყვებით მიმართავს საბჭოთა მექიზელს:

„ჩვენ ჯე მოჩვენებებთან გვიხდება. ბრძოლა, რომელთაგანაც თქვენ განთავისუფლებულნი ხართ... თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგიოთ რა არის ჩვენთვის საბჭოთა კავშირი? ჩვენი ოცნების, აღსრულება... საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ადამიანებო, იყავით შედგრად! თქვენის მეორებით ჩვენი იმედები გამარტიდნ“.

გამოიცემა აგრძოვე სტეფან ცვეიგის რჩეულ ნოველების კრებული კრებული ილუსტრირებული იქნება კრავჩინოს მიერ.

## დასავლეთის თანამედროვე ლიტერატურა

რუსეთის სახელმწიფო ლიტერატურულობა სცენის ინგლისელ მწერლის რ. შერიფის პიესას „გზის დასასრული“ (თარგმანი მეტალიკოვის). აღნიშნული პიესა მოკლე ხანში დადგმულ იქნა ეკრანის მრავალ თეატრში და ცეკვებან უდიდესი გამოხვაურება ჰპოვა. პიესა აგებულია იმპერიალიკტურ ამის მასალაზე. ამ პიესის მიხედვით გაკეთებულია კინოფილმი და დაწერილია რომანი, რომელიც არ ჩამოუგარდება რემარკის ცნობილ წიგნს „დასავლეთის ფრონტზე ყველაფერი უცვლელია“.

ამ მოკლე ხანში გამოვა ორ ტომად მარტინ ანდერსენ ნესკეს რომანი „დამპყრობი—პელლე“.

გამოცემული იქნება ოსკარ მარია გრაფის რომანი „საშინელი საჯარო ვაჭრობა“. სიუ-შეტი ადებულია ჩვენი საუკუნის 20-იან წლების ბავარიის სოფლის ცხოვრებიდან. რომანი ავგიშერს სოფლის გაღატაკებას.

### 4 თ. 6 კ უ რ ს 0

რუსეთის ლიტერატურულობამ გამოაცხადა რუსულიკათა ლიტერატურის მხატვრული პროგნოსის საუკეთესო თარგმანზე.

კონკურსის მიზანია სსრკ ხალხთა მხატვრულ პრობის საუკეთესო მთარგმნელთა შერჩევა და მათი გამომცემლობაშთან დამაგრება ხელშეკრულებათა საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველები ადგენენ გამომცემლობაში თარგმანთა ნიმუშებს. ბიურო შედგენილია ნაციონალურ რესუბლიკების მწერალთა კავშირის წარმომადგენლებისა და რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენლთაგან.

საუკეთესო ნიმუშებისათვის გაცემულ იქნება პრემიები: ერთი 3.000 მანეთიანი, ორი 2.000 მანეთიანი, ხუთი 1000 მანეთიანი და ექვსი 500 მანეთიანი.

### რომელ როლანის დღიურები

გასულ წელს ლენინის საკუშირო ბიბლიოთეკამ რომენ რილანიდან შიიღუ ამისა და რეკოლეციის წლების დღიურების ასლები.

ამას წინედ მწერალმა შეატყობინა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას; რომ მათ სახელზე კიდევ გადმოგზავნილია ხელთხაწერების რამდენიმე ჩვეულება.

ბიბლიოთეკის მიერ რომენ როლანისაგან მიღებული მასალები, მწერლის სურვილის მიზედ დევიოტ, ათი წლის განმავლობაში დაბეჭდილი იქნება შენახული, ამ ვადის გასვლის შემდეგ ბიბლიოთეკას უფლება ეძღვება: მკვლევარებს მისცეს „დღიურების“ შესწავლის საშუალება.

### რომელ როლანის ფიცენი

1930 წელს გამომცემლობა „ვრემა“-მ პირველად სსრკ-ში დაიწყო რომენ როლანის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. განზრახვა პერიდათ გამოცემულიყო 15 ტომი. ოთხი წლის განმავლობაში (1930—34 წ.) გამოვიდა „უა კრისტოფი“, „კოლა ბრენიონი“, „ლილიული“, „პირი და ლიუსი“, „კლერამბო“ და სხვა. სულ დაბეჭდილ იქნა 15 ტომი. აღნიშნულ კრებულებში ვერ მოთავსდა როლანის თხზულებები.

რუსეთის სახ. გამომცემლობამ განაგრძო როლანის თხზულებათა გამოცემა. მისი მარკით უკეთ გამოვიდა ოთხი ტომი (9, 16, 17 და 18) წელს კიდევ გამოვა ორი უკანასკნელ ტომი და ამით დასრულდება როლანის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა.

## „პოლონე ბიბლიოთეკის“ მცირე ხელია

ლენინგრადის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ აწარმოებს მუშაობას „პოლონე ბიბლიოთეკის“ მცირე სერიის გამოსაცემად („პოლონე ბიბლიოთეკა“ დაარსებულია მ. გორქის ინიციატივით). მცირე სერიაში შევა 70 წიგნი, რომელებშიაც წარმოდგენილი იქნება მხოლოდ რუსული პოეზია.

ეს სერია გამოდის ახალგაზრდა პოლებისათვის სწავლების მიზნით. წიგნები გამოცემულ იქნება 2 დღის განმავლობაში ქრონოლოგიის შესის დაცვით. წელს გამოვა 8 წიგნი. პირველი ორი ტომი მიძღვნილი იქნება რუსული ფოლკლორისადმი. თვითოული წიგნის ტიტანი 20.000.

### რ. როლანი და ჩუსიძა

უდიდესი შწერალი, ფილოსოფიასი, პოეტი და პუმანისტი რონენ როლანი ითვლება ამავე დროს დასაცელ ევროპის ერთერთ უდიდეს მუსიკის მცადნეთ. მთელი წლების განმავლობაში იგი დაულალავად მუშაობს მუსიკის ისტორიის რომელიმე ეპოქის ან და ცალკეულ მუსიკოსის გაშუქებისათვის. ამიტომ იგი ითვლება მუსიკის ერთ-ერთ ძირითად ისტორიკოსად. რომენ როლანისათვის მუსიკალურ მოვლენების ანალიზი ისეთსავე აუცილებლობას წარმოადგენინ. როგორც ლიტერატურული შემოქმედება.

როლანის სამუსიკომცოდნეო მუშაობის ცენტრშია უდიდესი მუსიკოსი ბეთოვენი. როლანის ნაწერები ბეთოვენის შესახებ—ყველაზე უფრო ძლიერი და დამაჯერებელია იმ ნაწერთა შორის, რაც კი საერთოდ დაწერილა ამ მუსიკალურ გენიოსის გარშემო.

როლანმა, საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს უდიდესი ყურადღება მიაქცია საბჭოთა მუსიკალურ შემოქმედებას. მან მოისმინა და იგი გაეცნა საბჭოთა მუსიკის ღირებულებაზე ნიმუშებს.

შეცდომების გასწორება

#### დაბეჭიდილია

6 გვ. შამილ, შამილ ამომტყდარი  
მთიდან (პირველი სტრიქონი)

#### უნდა იყოს

შამილ ცეცხლად ამომტყდარი მთიდან

27 გვ. მ. ორბელი

ვ. ორბელი

„ აქროს თვალებით (პირველი  
სტრიქონი)

ოქროს თვალივით

რედაქტორი—დავით დიმიტრაძე

3/მ. მდგავანი—ნიკოლოზ ჩაჩავა

3060 2 856.

